511/40 10583

რესპუბლიკური საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, 7 სექტემბერი, № 36 (2764) გამოცემის 58-ე წელი, 1990 ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



კრძალვით მივეახლოთ!

საქართველო ელოდა ამ მემორიალს.

მართალია, მოლოდინი დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ, როგორც ჩანს, კარგი მოიპოვება მხოლოდ მოთმინებითა ჩვენითა...

მემორიალს ეს ბორცვებიც ელოდნენ, ელოდნენ ეს ტყეები, ეს გზები და ტყისპირები, ელოდა ეს გორაც, წმინდა მთა, რომელსაც თავისი ხაფარველით ხაუკუნოდ დაუცავს გმირთა დაღლილი ძვლები.

დღეიდან აქ რეკენ მარადიული ზარები. ეს „ძლევაჲ ხაკვირველის“ კანტატაცაა და ხაუკუნო ისტორიული ღამის გათენების მაცნეც.

მადლობის ღირსნი არიან მემორიალის ავტორები. მათ კურთხეულ მარჯვენას ჭეშმარიტად ეგებოდა ერთ-ერთ სტელაზე ხაშვილიშვილოდ ამოეკვეთა სიტყვები: „კრძალვით მივეახლოთ ამ წმინდა ადგილს, სადაც 1121 წელს 12 აგვისტოს დავით აღმაშენებელმა ძლევამოსილი ომი გადაიხადა და შეწევნითა ღვთისათა იხსნა საქართველო“.

მურმან ჩაჩუას ფოტო.

დიდგორი

ქართლოსიანნო!

ერის სული, ერის ენერგია დრო-სივრცის გადაკვეთის რომელიღაც წერტილში თითქოსდა მკვრივდება, ხორცს ისხამს, განსაგნდება და განსაქმდება. ეს ჟამი დაგვიდგა ქართველებს აქ, დიდგორს, ათას ას ოცდაერთი წლის თორმეტ აგვისტოს, როს შეწევნითა ღვთისა და საფასად სისხლისა ჩვენისა მოგვეცა ძლევაჲ საკვირველი. დიდებული იყო ჟამი იგი, ღირსი ნატვრისა — შეყოვნდი, წამო! და მოხდა სასწაული—წამი იგი, გაიწელა და საუკუნეებს გადმოსწვდა, დიდგორმა არამარტო გადაგვარჩინა — დიდგორმა შეგვინახა და დიდგორისავე „ნამცვრევებმა“ მოგვატანინა სული აქამომდე.

ძეგლი მხოლოდ მარმარილოსაგან როდი ითლება — დიდგორი თავად არის ძეგლი ხელთუქმნელი; ამგებელი მისი სრულიად საქართველოა, ხოლო ხუროთმოძღვარი — ქართველთა შორის უპირველესი აღმაშენებელი, დავით მეოთხე ბაგრატიონი. „რა წარმოდგეს ჟამი წვლილთა და ხმელთა აღმოფშვრვათაჲ, მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო“, — ევედრებოდა დავითი უფალს. და როს დადგა ჟამი სულის აღმოფშვინვისაჲ, როს წარხდა ზარი მეფობისაჲ და დაშრტა დიდებაჲ, სხვამან მიიღო სკიპტრა სხვასა შეუდგნენ სპანი, მაშინ შეიწყალა უფალმან დავით, შეიწყალა გელათისათვის, შეიწყალა „სინანულისათვის“, შეიწყალა დიდგორისათვის.

და აჰა, დიდგორს, სულიერ ძეგლს ქართველობისას, ედგმება ოსტატისაგან ხელთქმნილი ძეგლიც.

ორმოცდაშვიდი ჯავარდენია — ჯვრადამოზრდილი ჯავარდენი — ჩარტყმული დიდგორის მკერდზე; ასჯერ ორმოცდაშვიდი მახვილი არ გვეყოფა რომ თვითეულს ჩვენი გარდახდილი ომების სახელები დაეწეროს — შამქორი და ბასიანი, დიდგორი და მარაბდა, მარტყოფი და ასპინძა, ტაშისკარი, ხრესილი, კრწანისი... და, ვინ მოთვლის, სხვა რამდენი...

შვიდი სვეტია დადგმული დიდგორზე; ათასჯერ შვიდი სვეტი არ გვეყოფა, რომ თვითეულს ჩვენი აგებული ტაძრების სახელები დაეწეროს — ბოლნისი და სვეტიცხოველი, გელათი და ბაგრატი, ატენი და ბანა, ჯვარი, სამთავისი, ოშკი... და, ვინ მოთვლის, სხვა რამდენი...

ერთი დედაბოძი ადგას დიდგორს თხემზე, მაგრამ ბევრისბევრი, უთვალავი დედაბოძი ჩაუდგამს ქართველს თავის კერაში. და დედაბოძი ესე გვეღაღადება: არ მომშალოთ, არ ამომძირკვოთ, მტერს ნუ გაახარებთ, გამრავლდით ქართველებო!

დიდგორზევე ამოსულა ხე სიცოცხლისა და მას ჩამობმული ზანზალაკებიც ნიჟვის ყოველ გატოკებაზე წკრიალებენ— გაძლიერდით ქართველებო!

კბოდეზე გადშომდგარი მებუკე — იერიქონის საყვირიო რომ აზანზარებს საქართველოს ჰაერს — ფილტვების დასკდომამდე გვიხმობს — შეერთდით, ქართველებო!

სისხლისგან დაცლილი, ჩამუხლვილი, მაგრამ ხმალგაუგდებელი მოლაშქრეც ამას გვევედრება — განმტკიცდით ქართველებო!

გაძლიერდით...

განმტკიცდით...

გამრავლდით...

შეერთდით...

დიდგორის თხემიდან, მაღლიდან, ზეციდან ეშვება ხვალის საქართველო — სასხლავ-საჭრეთლიანი, ხმლოსანი, წიგნიერი საქართველო, ნინოს ჯვრით გზაგანათებული.

ამაღლდი საქართველოვ!

თამაზ კვაჭანტირაძე

სიტყვა თქმული დიდგორის მემორიალის ხაზეიმო გახსნაზე 1990 წლის 1 სექტემბერს

ზნეობისა და გაუტეხელი ნებისყოფის გზით

დღეს, რუბრიკას „100... პარტია“ ვუთმობთ საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის თავმჯდომარეს თეიმურ ჟორჟოლიანს.

1. როგორ აფასებთ დღეს საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, როგორია თქვენი ტაქტიკა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამ ეტაპზე?

2. მოკლედ თქვენი სამოქმედო პროგრამის შესახებ; შესაძლებლად თვლით თუ არა თქვენი პროგრამის თუნდაც რამდენიმე პუნქტის. განზორციელებას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე?

3. რა წინამძღვრებია საჭირო საქართველოში ოფიციალური არასაბჭოური არჩევნების ჩასატარებლად?

4. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის ლიტვური, ლატვიური, ესტონური ვარიანტების სახესხვაობის მიუხედავად, საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებით ამ სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი არაკანონიერად, გათილად გამოცხადდა. რა დასკვნა შეიძლება გამოიტანოს აქედან ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ?

---

1. საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა, ე. წ. უზენაესი საბჭოს არჩევნებისადმი დამოკიდებულებით გამოწვეული კრიზისიდან, თანდათანობით გამოდის. ახლა, უზენაესი საბჭოს მორიგი სესიის დამთავრების შემდეგ, თვალნათლივ გამოიკვეთა ეროვნული ძალების განლაგების სრული სურათი. შინი ერთი ნაწილი (ზომიერი რადიკალები, ლიბერალები, ცენტრისტები) მომავალ არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, ანუ იბრძოლებს მანდატებისათვის. მეორე ნაწილი (მაქსიმალისტი რადიკალები,) ამავე არჩევნებში კენჭს არ იყრის და ოპოზიციაში დარჩება. ე. ი. ფაქტიურად ეროვნული მოძრაობა ორ ნაწილად გაიყო და მისი კონსოლიდაცია ახლო მომავალში (არჩევნების დამთავრებამდე მაინც) მოსალოდნელი არ არის. ბუნებრივია საზოგადოებას ებადება კითხვები: როგორ ხასიათს ატარებს ეს გაყოფა? პიროვნებებს შორის არსებულ კონფლიქტში ხომ არ არის ჩათრეული ეროვნული მოძრაობა? რას მოუტანს იგი საქართველოს დამოუკიდებლობის ჩვენთვის სანუკვარ იდეას? ხომ არ არის ეს პოზიციების ისეთი დაპირისპირება, რომელიც ბრძოლის, რომელიმე შემდგომ ეტაპზე ერთმანეთს შეავსებს? და სხვ. ამ კითხვებზე დღეს გაცემულ პასუხს, ობიექტურობაზე პრეტენზია არ ექნება; ამას მომავალი გვიჩვენებს. მაგრამ მომავლის განსაკვრეტად აუცილებელია პასუხი გაეცეს კითხვას — რატომ გახდა ე. წ. უ'ენაესი საბჭოს არჩევნებისადმი დამოკიდებულება ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობის კრიზისისა და მისი ძალების სხვადასხვა პოზიციებზე დადგომის მიზეზი?

ცუდია თუ კარგი, დღეს უკვე მიღებულია საარჩევნო კანონი, დანიშნულია მისი ჩატარების თარიღი და, ამდენად, არჩევნებში მონაწილე თუ არამონაწილე ყველა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ამ არჩევნების მიმართ.

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია, ისევე, როგორც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა ჯანსაღი პოლიტიკური ძალები, ეძებდა და ეძებს იმ კონსტრუქციულ, ზნეობრივ გზას, რომელიც საქართველოს სამართლებრივად მიიყვანს სრულ დამოუკიდებლობამდე. სწორედ ამ კონსტრუქციული გზის ძებნად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის ინიციატივით მრგვალი მაგიდის დაარსება, რომელმაც პირველსაწყისი ფუნქცია ამოწურა.

მრგვალ მაგიდაში მონარქისტული პარტიის ყოფნის პერიოდში კიდევ ერთხელ გამოაშკარავდა ცენტრალური ხელისუფლების მცდელობა — ლიბერალური გზით წაიყვანოს საქართველოს ეროვნული მოძრაობა, გაითამაშოს პოლიტიკური ფარსი — ეროვნულ-პოლიტიკური ძალების ფსევდო-დემოკრატიულ არჩევნებში მონაწილეობით. ე. წ. უზენაესი საბჭოს დეპუტატობით, დაკმაყოფილოს — რადიკალური ოპოზიციონერისათვის მიეღებელი — კოლაბორაციონიზმის, პირადი პოლიტიკური ამბიციების, განდიდებისა და პოლიტიკური კარიერისათვის ზრუნვის ზოგიერთ მსურველთა პატივმოყვარეობა. აქციოს ეხინი მოდენიზებული იმპერიის ფსევდო-დემოკრატიული იდეოლოგიის მეხოტბეებად. მათი მომხრეები კი ჩამოაშოროს ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობას, ერთი დიქტატი შეცვალოს მეორით, კოფედერაცია საბრძოლო და მოსაპოვებელი მოაჩვენოს ხალხს.

საოცრად ნიშანდობლივია ხომხეთის მაგალითი: ახლადარჩეულმა უზენაესმა საბჭომ, რომელსაც ამჟამად „ყარაბაღის კომიტეტის“ ყოფილი წევრი, ხომხეთის ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ტერ-პეტროსიანი მეთაურობს, ხომხეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტის დეკლარირების შემდეგ, შიდა პრობლემების გადასაწყვეტად და პოლიტიკური მონინააღმდეგეების გასანადგურებლად მეთამეჯერ — უკვე თვითონ — კომენდანტის საათი დააწესა.

სამწუხაროდ, მსგავსი ტენდენცია საქართველოში ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნებამდე იკვეთება. მაგ. მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით საქართველოს სამართლიანობისა და ეროვნული ერთიანობის პარტიას, საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიულ პარტიას, საქართველოს გლეხთა პარტიას, საქართველოს შრომის პარტიას, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნულ პარტიას, სრულიად საქართველოს სოციალური სამართლიანობის საზოგადოებას „ლემი“ (იმერეთის რეგიონი), დემოკრატიულ მოძრაობა „ერასტანს“, საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირს და საქართველოს აგრარულ კავშირს უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე, რაც ანტიდემოკრატიულია და, ფაქტიურად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო კომპანიიდან, უკვე რეგისტრირებული პარტიებისათვის არასასურველ მოწინააღმდეგეთა უკანონო ხერხებით ჩამოცილების ცდაა.

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია ამ გზით არ ივლის. მას საბჭოთა სოციალისტურ სტრუქტურაში, მის უზენაეს საბჭოში არაფერი ესაქმება. ჭეშმარიტი მონარქისტი — კრემლის პოლიტიკურ თამაშში — ფსევდო-დემოკრატიულ არჩევნებში, თავისთვის გაუცნობიერებელი და უღირსი გზით ხალხის წაყვანის მცდელობაში, საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მამულიშვილების დისკრედიტაციაში, ხელოვნურად შექმნილ ეთნოკონფლიქტებში — მონაწილეობას არ მიიღებს, რამეთუ ქართული გენი და ტრადიცია, მომავალი ქართული სამეფოს ღირსება, მისთვის უზნეობითა და მედროვეობით მოპოვებული დეპუტატის მანდატ-სიდელ-თანამდებობებით არ განისაზღვრება.

საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის გაზეთ „ძლევაი“-ს 1990 წლის 27 მაისის ნომერში გამოქვეყნებული განცხადების სრული ტექსტი:

საქართველოს მონარქისტული პარტიის შემქმნელები მიზნად ვისახავდით სრულიად საქართველოში ნაციონალისტური, მონოლითური ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რომელიც თავის რიგებში გააერთიანებდა ერის ტრადიციების აღდგენისათვის მებრძოლ, ჯანსაღ ძალას, რომელიც იბრძოლებდა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენისა და კონსტიტუციური მონარქიის დამყარებისათვის.

ჩვენი საბოლოო მიზანია ქართველ მეფეთა, ბაგრატიონთა გვარის კანონიერი წარმომადგენლის ტახტზე აყვანა, რომლის შემდეგაც მონარქისტული პარტიის ფუნქცია ამოიწურება და იგი თვითლიკვიდაციას გამოაცხადებს.

ვვარაუდობთ, რომ საქართველოში მონარქიის აღდგენისა და პარტიის თვითლიკვიდაციის შემდეგ, მონარქისტული პარტიის ყოფილი წევრების ის ნაწილი, რომელიც მოისურვებენ პოლიტიკაში მოღვაწეობას (სხვა მსურველებთან ერთად) შექმნიან კონსერვატიულ პარტიას. კონსერვატიული პარტია კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფოებრივი მმართველობის დროს მონაწილეობას მიიღებს მრავალპარტიული პარლამენტის მუშაობაში.

აქვე მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მე, კომუნისტური რეჟიმის პირობებში ბატონების მ. კოსტავას, ს. გამსახურდიას, ი. წერეთლის, გ. ჭანტურიას და სხვათა მსგავსად არსებულ ხელისუფლებას არასდროს დავპირისპირებივარ, არასდროს ვყოფილვარ დისიდენტი და ძნელბედობის ჟამს არავითარი წვლილი შემიტანია საქართველოს განთავისუფლების საქმეში. მე გარკვეული დროის მანძილზე ვმუშაობდი კომკავშირის პარატში და აქედან გამომდინარე, ფაქტიურად ვემსახურებოდა იმპერიულ რეჟიმს, რის გამოც ზნეობრივად უმართებულოდ მიმაჩნია ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მონაწილეობა მივიღო ნებისმიერი პარლამენტის მუშაობაში და დავიკავო სახელმწიფო მნიშვნელობის რაიმე პოსტი.

ქართველი ერის კეთილდღეობის და აგრეთვე ჩემი პირადი ღირსების საქმედ მიმაჩნია საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის დამყარება, რის შემდეგაც მე, თეიმურ ჟორჟოლიანი, აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე უარს ვაცხადებ.

თ. ჟორჟოლიანი,

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის თავმჯდომარე

2. ჩვენი პარტიის პროგრამა ორი ძირითადი ეტაპისაგან შედგება. პირველი — ეს გახლავთ საქართველოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება და მეორე — სახელმწიფოებრივ წყობად კონსტიტუციური მონარქიის დამყარება.

ჩვენ ვთვლით, რომ მომავალი პარლამენტი საქართველოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე ერთ-ერთი ეტაპია და ჩვენთვის სრულებითაც არ არის სულ ერთი, თუ ვინ გაიმარჯვებს ოქტომბრის არჩევნებში და რას მოიმოქმედებს შემდგომში.

ამასთან იმედი გვაქვს, რომ მომავალი პარლამენტი უფრო დემოკრატიული იქნება და მეტი საშუალება მოგვეცემა პოპულარობა გავუწიოთ კონსტიტუციური მონარქიის იდეებს.

რაც შეეხება ეროვნული კონგრესის არჩევნებს, შესაძლებელია საერთაშორისო სამართალმა იგი ერის ნების გამომხატველად არ ცნოს. მაგრამ, საქართველოს ხელისუფლება ხომ იქნებოდა იძულებული ელიარებინა და ანგარიში გაეწია მისთვის? მას კი ეს არ აწყობს და კონფედერაციის მოტრფიალეთა დახმარებით, ყველა ზომას ხმარობს, რომ ასეთი ორგანოს არჩევა არ მოხდეს.

3. იმისათვის, რომ საქართველოში ჩატარდეს ერთადერთი ოფიციალური არასაბჭოური არჩევნები, აუცილებელია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილება მიეყვანილი იქნეს ლოგიკურ დასასრულამდე.

ეროვნული კონგრესის არჩევნების მიმართ აზრის შეცვლამ განაპირობა მრგვალი მაგიდის შექმნა და მისი პოლიტიკური კონცეფცია — ერთადერთი არასაბჭოური ოფიციალური გარდამავალი ხელისუფლების არჩევნების ჩატარების შესახებ. რამდენად რეალურად გამოიყურებოდა ასეთი არჩევნების ჩატარება?

მრგვალი მაგიდის კონცეფციაში აღნიშნულია, — იმისათვის, რომ ჩატარდეს ასეთი არჩევნები უნდა შესრულდეს სამი პირობა: 1. საქართველოს უნდა მიეკუთვნოს შეიარაღებული აგრესიისა და ანექსიის შედეგად მიღებული რეალური სტატუსი (კოლონია). 2. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნდა შეჩერდეს საბჭოური კონსტიტუციის მოქმედება. 3. შემუშავდეს ახალი, არასაბჭოური ... აღდგეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. ამავე კონცეფციაშია ნაგულისხმევი, რომ ამ პირობების შესრულებამ არსებული ხელისუფლებისაგან რეალურად შესაძლებელია (იხ. „ახ. ივერიელი“, 15 მაისი, 1990 წელი).

მრგვალ მაგიდას ჰქონდა იმის საფუძველი, განეცხადებინა აღნიშნული სამი პირობის შესრულება არსებული ხელისუფლებისათვის შეუძლებელია. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებას, ამ დადგენილებაში აღნიშნულია „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ადასტურებს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ... ურთიერთშეკრულების დარღვევის პოლიტიკურ და სამართლებრივ შეფასების საკითხთა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კომისიის დასკვნას ... ელიარებს. რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოს საბჭოთა კავშირში შეყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით“. ამავე დადგენილებაში აღნიშნულია — „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აცხადებს უკანონოდ და ბათილად 1921 წლის 21 მარტს და 1922 წლის 12 მარტს დადებულ სამოკავშირეო ხელშეკრულებებს და არაკანონიერად 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ“. განა ამ დადგენილების ლოგიკური გაგრძელება არ იქნებოდა საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მისცემოდა რეალური პოლიტიკური სტატუსი, შეჩერებულად გამოცხადებულიყო საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მოქმედება და დანიშნულიყო ერთადერთი, არასაბჭოური, ოფიციალური, გარდამავალი პერიოდის ხელისუფლების არჩევნები, 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციის შესაბამისი მუხლების გათვალისწინებით? არსებულმა ხელისუფლებამ ეს არ გაკეთა. 1990 წლის 9 მარტის დადგენილება არ მიიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე იმიტომ, რომ მას სუვერენიტეტის მხოლოდ დეკლარირება შეუძლია და პრაქტიკულ ნაბიჯებს, ასეთი დადგენილების მიღების შემდეგაც კი, ვერ დგამს; ეს იყო ფანდი ვნებათაღელვის ჩასაცხრობად გაკეთებული ისევ დროის მოგების ტაქტიკა.

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოურ არჩევნებში კენჭს არ იყრის და შეურიგებელ ოპოზიციაში რჩება, თვლის, რომ — არჩევნები უნდა ჩატარდეს: იმედია ამავე აზრისა იქნებიან სხვა რადიკალური პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები.

ის, რომ ამ ეტაპზე საბჭოურ არჩევნებში კენჭს არ იყრის რიგი პოლიტიკური ორგანიზაციისა და ისინი შეურიგებელ ოპოზიციაში რჩებიან, არ ნიშნავს აბსოლუტურ დაპირისპირებას არჩევნებში მონაწილეთა მიმართ. პირიქით, თუ მომავალი პარლამენტი იხელმძღვანელებს ერის ინტერესებით, მტკიცე პოზიციაზე იდგება ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების საკმეში, თუ ის 1990 წლის 11 მარტის საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებას ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანს, საქართველოს მისცემს შესაბამის პოლიტიკურ სტატუსს, შეაჩერებს საბჭოთა კონსტიტუციის მოქმედებას, **რაც საშუალებას მისცემს ქართველ ერს ჩაატაროს არასაბჭოური, ჭეშმარიტად დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნები,** რომლის დეპუტაციაც უფლებამოსილი იქნება საქართველოს სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადოს (რა სახელი ერქმევა მას — კონგრესი, გარდამავალი პერიოდის ხელისუფლება თუ სხვა რამ, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს), მაშინ ოპოზიცია მისი მოკავშირე და ერთადერთი დასაყრდენი ძალა გახდება — ქართველ ხალხთან ერთად. ამდენად, რადიკალური ოპოზიცია აუცილებელია და რამდენადაც ძლიერი იქნება იგი, იმდენად მეტი სიკეთის გაკეთებას შეხძლებს მომავალი პარლამენტი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, მედროვეები, რომელთაც საქართველო პოლიტიკური კარიერისთვის, პირადი ამბიციებისა და პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ხჭირდებათ, დღეს იქნება თუ ხვალ — გამეღვნდებიან, ერი მათ მოიკვეთს. ეს ყველას უნდა ახსოვდეს — პარლამენტში მიმავალსაც და მის გარეთ დარჩენილსაც, ფორმალსაც და არაფორმალსაც, რიგითსაც და წინამძღოლსაც.

4. ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის დღევანდელი პარლამენტები არჩეულნი არიან საბჭოთა კონსტიტუციით. ხამიგე ქვეყნის პარლამენტმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა საბჭოთა კონსტიტუციით გათვალისწინებული წესის გვერდის ავლით. ანუ დარღვია ის კონსტიტუცია, რომლის პროდუქტსაც თვითონ წარმოადგენს.

მოქმედი კონსტიტუციით არჩეულ პარლამენტს უფლება აქვს იმოქმედოს იმავე კონსტიტუციის ფარგლებში. თუ ეს შეჩერებულად გამოაცხადებს ამ კონსტიტუციას, მაშინ უნდა უარყოს თავისი თავიც და ასეთ შემთხვევაში მოხდეს ახალი პარლამენტის არჩევნები არა საბჭოური კონსტიტუციით.

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა ამის გათვალისწინებით ცნო ბალტიის რესპუბლიკების მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობა (მათი სახესხვაობის მიუხედავად) უკანონოდ და ბათილად.

მოგეხსენებათ, საბჭოთა კონსტიტუციაში იმ მუხლებს, რითაც განსაზღვრულია, კავშირიდან რესპუბლიკების გასვლის წესი, სრულიად სამართლიანად უწოდეს „არ გასვლის კანონი“. ამდენად, თუ ჩვენი მომავალი პარლამენტი დამოუკიდებლობას გამოაცხადებს საბჭოთა კონსტიტუციის გვერდის ავლით, იგივე ბედი გვეწევა. თუ გვინდა თავიდან ავიცილოთ ეს, მომავალმა — ოქტომბერში არჩეულმა უზენაესმა საბჭომ — წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების შესრულების შემდეგ საქართველოს კოლონიის სტატუსი უნდა მიანიჭოს, შეაჩეროს საბჭოთა კონსტიტუციის მოქმედება, ლეგიდირებულად გამოაცხადოს თავისი თავი და ერთდროულად ჩაატაროს არა საბჭოური გარდამავალი ხელისუფლების არჩევნები — 1921 წელს შეჩერებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად. ამით ფაქტის წინაშე დავაყენებთ კრემლს და ის იძულებული იქნება სცნოს ეს პარლამენტი; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვერცერთი საბჭოური პარლამენტი ამის გაკეთებას ვერ შეძლებს, თუ მას გარეთ ძლიერი ოპოზიცია არ ეყოლება.

როდესაც მოსკოვიდან ჩამოსულმა პრუნსენემ აეროპორტში დამხვედრ თანამემამულეებს უთხრა — ბენზინი და პროდუქტი ჩამოგიტანეთო, ხალხმა უპასუხა — ჩვენ ბენზინი კი არა თავისუფლება გვინდაო. მიუხედავად იმისა, რომ ბალტიის ქვეყნები დასავლეთს საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში არასოდეს უცვნია და დღევანდელი იმპერიის ხელძძღვანელობა ბალტიის წასვლას უფრო შეეგუება, ვიდრე ჩვენსას, როგორც გეოპოლიტიკური თუ სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით შედარებით მნიშვნელოვან ობიექტს, დასკვნა ერთია — თავისუფლების მოპოვების მზამზარეული თარგი არ არსებობს, მაგრამ ალალი ზნეობისა და გაუტეხელი ნებისყოფის კარეში მასთან მიახლოებაც კი შეუძლებელია.

Литературная Россия

არ გათეთრდება ყორანი

გრიგოლ აბაშიძე

რუსეთის მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი „ლიტერატურნაია როსსია“, ეს ერთი ხანია, თავგამოდებით ცდილობს იმის დამტკიცებას, რის დამტკიცებაც ყოვლად შეუძლებელია.

გაზეთი ნომრიდან ნომერში ქებათა-ქებას ასხამს რუსი ხალხის „კეთილშობილ მისიას“ იმპერიაში შემავალი ერების მიმართ, რომელთა თავმოყრას ერთი გვირგვინის ქვეშ, ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, ამ ხალხების ოცნების განხორციელებად, ლამის აქვეყნიურ სამოთხეში დამკვიდრებად წარმოგვიდგენს.

იმის დასამტკიცებლად რომ სხვადასხვა დროს, ძალით დაპყრობილი თუ იმპერიაში „ნებაყოფლობით“ გაერთიანებული ერები ბედნიერები იყვნენ და სულაც არ განიცდიდნენ ჩაგვრას, გაზეთი იშველიებს ავტორიტეტებს წარსულიდან და ცნობილი რუსი ავტორების ციტატებით „ასაბუთებს“ იმპერიის ხალხების თანაცხოვრების იდილიურობას.

ამავე დროს სრულ იგნორაციას იჩენს თვით ამ ხალხების წარმომადგენელთა მიმართ, რომლებმაც სხვაზე უკეთ იციან თავიანთი ცხოვრების ავკარგი.

როგორც ჩანს, ამ ხარვეზის ამოსავსებად, გაზეთს ა. წ. № 34-ში მოუწვევია სწავლული ვ. ბ. მირონოვი, რომელიც „სსრკ-ს აკადემიის ინსტიტუტებში იკვლევს მსოფლიო ცივილიზაციის ფართო სპექტრს“.

მკითხველის წინაშე ესოდენ პრესტიჟულად წარდგენილი ვლ. მირონოვი ამაღლებულად იწყებს გიურად არაფრით არ ესადაგება საქართველოს რუსეთთან შეერთებას), ხოლო მეორე ზოგადად ლაპარაკობს ქართველებისათვის სპარსული ორიენტაციის მიუღებლობაზე, რაც სრულიად ბუნებრივი იყო ევროპულად განათლებული ქართველი პატრიოტი მწერლისათვის.

ალექსანდრე ჭავჭავაძე სწორედ ის ფიგურაა მე-19 საუკუნის საქართველოში, რომელიც სტატიის ავტორის კონცეპციის უარყოფად

და რუსეთის იმპერიის „ხალხთა საპყრობილედ“ რომ აცხადებდა.

ცარიზმმა „ევროპის ჟანდარმის“ სამარცხვინო სახელი დაიმსახურა თავის დროზე. იმპერიის მეხოტბეებს ამის არ რცხვენოდათ მაგრამ, რომ ხდომოდათ კიდევაც ამ დამღის მოშორება, როგორ უნდა უარეყოთ ის ფაქტი რომ რუსეთის იმპერია იყო ის რეაქციული ძალა, რომელიც ევროპის ხალხთა რევოლუციებს ხიხლში ახრჩობდა (პოლონეთი, უნგრეთი).

თარგმნელობითს პრაქტიკაში დედანთან მსგავსი პოლემიკა შეიძლება დღეს ვინმეს ეგრეთწოდ ერეკნოს. მაგრამ ი. ჭავჭავაძე პირველად რადი გამხადავდა ქართველი ხალხის რეაქციას რუსი ავტორების მიმართ, როცა ისინი ჩვენი ერის წარსულსა და აწმყოზე მიუღებელ თვალსაზრისს გამოსთქვამდნენ.

ნუთუ მირონოვს ჩვენგან სჭირდება იმის შეხსენება, რომ ლერმონტოვს ცარიზმზე ეკუთვნის სტრიქონები, რომლებიც გაცლებით უფრო დამახასიათებელია მისი მებრძოლი სულისათვის:

Прощай немытая Россия,
Страна рабов,
страна господ,
И вы мундиры голубые,
И ты им преданный
народ.

ეს ლექსი „მწირზე“ გვიანაა დაწერილი, როცა პოეტი უკეთ გაეცნო კავკასიის ხალხთა ცხოვრებას და რუსეთის ხინამდვილის შეფასებაც უფრო დამაჯერებლად შეეძლო.

„მონათა ქვეყანაში“ შესანიშნავი რუსი პოეტი მარტო ბატონ-ყმობის უღელში მგმინავ რუს გლეხს როდი გულისხმობდა, იგი რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების მონურ ყოფასაც კარგად ხედავდა, რომლებიც რუსი ხალხისაგან განსხვავებით, სოციალურს გარდა, ნაციონალურ ჩაგვრასაც განიცდიდნენ.

ცარიზმისა და ხალხთა საპყრობილის წარმოდგენა რომანტიკულ ფერებში უიმედო და უნაყოფოცდაა, რადგან „არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვეშითა“.

ეს კარგად ესმით დღევანდელი რუსეთის მოწინავე შვილებს, რომლებიც კონსერვატულად მოაზროვნე თანამემამულეთაგან განსხვავებით, რუსეთის მომავალს დემოკრატიულ გარდაქმნებში ხედავენ და არა უკვე მზეჩახულ „დერეკავას“ რეანიმაციაში.

მაგრამ, როგორც ვნახავთ, სტატიის ავტორმა ტუუილად შეაწუხა მათი აჩრდილები, რადგან ცრუმოწმეებად ისინი არ გამოდგნენ და ავტორის მტკიცებას ვერაფერი შემატეს.

ციტატები ლეონტი მროველის მატიანედან და ქართველი პოეტის ალ. ჭავჭავაძის გამონათქვამიდან, ზოგადი მსჯელობის ნიმუშია. პირველი ქართველთა მოდგმის ურთიერთ მტრობასა და შუღლზე მოგვითხრობს ფეოდალიზმის ხანაში (რაც საერთოა ყველა ხალხის წარსულში და ქრონოლოგიურად

მშობლიური „დერეკავას“ ხოტბას. „ათასწლობით იქმნებოდა ჩვენი სახელმწიფო, რომელიც ერთი მმართველობის ქვეშ უყრიდა თავს უამრავ ხალხებსა და მიწაწყალს“.

იმაში დასარწმუნებლად, რომ „დერეკავა“ მხოლოდ სიკეთეზე იყო დაფუძნებული, ვლ. მირონოვი იმოწმებს ძველ ქართულ მატიანეს „ქართლის ცხოვრებას“, მუსულმანთა საღვთო წიგნს „ყურანს“, რუს პოეტს მ. ლერმონტოვს, ქართველ ალ. ჭავჭავაძეს და აღმოსავლეთიდან — ომარ ხაიამსა და ალიშერ ნავოის.

უფრო გამოდგებოდა.

როგორც ჩანს, ვლ. მირონოვი ყურმოკრულ ცნობას დასჯერებია, თორემ ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიაში რომ ჩაეხედა, მიხვდებოდა, რომ ცრუ მოწმედ მისი მოყვანა შეუძლებელი იქნებოდა.

ალ. ჭავჭავაძე ის ქართველი პოეტი იყო, ვინც ქართველთა არა ერთ აჯანყებაში მიიღო აქტიური მონაწილეობა რუსთა მმართველობის წინააღმდეგ, რომელიც განსაკუთრებით სასტიკი იყო საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ წლებში. როცა 1832 წლის შეთქმულება კრახით დამთავრდა, ალ. ჭავჭავაძე ერთხელ კიდევ დაპატიმრეს და რუსეთის ადმინისტრაციის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის სამშობლოდან გადაასახლეს. ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მისი ცხოვრება, პეტერბურგის კარს რომ არ შეეწყვარებინა ქართველთა საგანგებო დესპანის შვილი, როგორც მისი უდიდებულესობის, ეკატერინა მეორის ნათლული.

აქამდე საყოველთაო ძალა ჰქონდა ლენინის მიერ ხატოვნად გამოთქმულ ფორმულას, ცარიზმსა

დასასრულ, მირონოვის კიდევ ერთ „საბუთზეც“ შევჩერდეთ:

«Очевидно не было пустым преувеличением, წერს მირონოვი — знаменитые строки М. Лермонтова:

И божья благодать сошла
На Грузию! Она цвела
С тех пор в гени
своих садов,
Не опасаясь врагов
За гранью дружеских
штыков.

ეს სტრიქონები მოტანილია ლერმონტოვის შესანიშნავი პოემიდან „მწირი“.

„მწირი“ ქართულად თარგმნა ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში, სტუდენტობის დროს. ილია ჭავჭავაძემ და რუსი პოეტის ზემოთ მოყვანილ სტრიქონებს თავისი პოლემიკური სტრიქონებიც მიაყოლა:

მას აქეთ, რაცა კურთხევა ღვთისა
მეცა ტანჯულს ივერიის ერს,
რაც კარგი ექნას რუსის შტიკსა
ღმერთმა იმ რუსსა ასკეცად
მისცეს.

სწორია — ბაღდათი

ძვირფასო რედაქცია, „ლიტერატურული საქართველო“ ის გაზეთია, რომელიც ყველაზე მეტად აქცევს ყურადღებას ამა თუ იმ სიტყვისა და სახელწოდების სწორად დაწერასა და გამოთქმას, ამიტომაც მოგმართავთ თქვენ. ძალიან გვიხარია, რომ უსამართლოდ დაკარგული სახელები დაუბრუნდა ბევრ სოფელსა თუ დაბას. ერთ-ერთი ჩვენი რაიონიც გახლავთ — ბაღდათი. დიახ, ბაღდათი და არა ბაღდადი. სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ამა თუ იმ ჟურნალსა თუ გაზეთში ბაღდათს კი არა, ბაღდადს წერენ. ეს, რა თქმა უნდა, არ არის სწორი. ბაღდადი ერაყის დედაქალაქია, ჩვენი რაიონი კი, სანამ სახელს შეუცვლიდნენ, მანამდეც ბაღდათი იყო და ახლაც, ჩვენდა სასიხარულოდ, ისევ ბაღდათია. ვწეროთ ისე, როგორც სწორია, როგორც ადრე იყო დამკვიდრებული.

მანონ ბეწაძე

სიქველე ღვთაებრივი ხვედრია

იძარცვებოდა ჩვენი ეკლესიები, რამდენი ეროვნული კულტურისთვის მნიშვნელოვანი ნივთია დაკარგული, რამდენი ხატი. ბოლო 70 წელს, ხომ საბოლოოდ გაპარტახდა მრავალი ეკლესია. ეკლესიისადმი ასეთმა ბარბაროსულმა დამოკიდებულებამ, რა თქმა უნდა, მხატვრობაზეც იმოქმედა, ამიტომაც, განსაკუთრებულად მწირია ჩვენი ახალი ხატწერა.

საქართველოში დაწყებულმა დეფორმირებული ეროვნული თვითშეგნების კათარზისმა, სულიერმა ფერისცვალებამ, ყველაფერს უნდა უშველოს, შველა კი ძალიან ბევრ რამეს სჭირდება. თუმცა, ძველი ბერძენი ამბობდა, „სიქველე ღვთაებრივი ხვედრია, რომელიც ღვთაებრივი წილისყრით მიემადლება კაცს. სიქველის სწავლა არ შეიძლება, სიქველეს საკუთარ შვილებსაც ვერ ასწავლიანო“, მიუხედავად ამისა, ჩვენ ყველამ უნდა ვისწავლოთ სიქველე, ეს ერთ-ერთი გზა არის ჩვენი ეკონომიკური და სულიერი წარმატებისა, რომლის გადაწყვეტაშიც მონაწილეობს ბევრი სასიქადულო მამულიშვილი, დარწმუნებულნი ვართ, მომავალშიც ბევრი შეუერთდება საქველმოქმედო გზას...

ასეთი განწყობილება დაგვეუფლა მარიამობის სწორზე კახეთში, სოფელ აწყურის ზემოთ, მთაზე მდებარე წმინდა გიორგის ეკლესიაში ყოფნისას. ეკლესიას საოცრად ლამაზი მდებარეობა აქვს, იგი მთელ კახეთს გადაჰყურებს. აქ მთელი კახეთი მოდის სალოცავად, მისი მრევლი არ შეუშინებია საეკლესიო რეპრესიებს... იგი ყოველთვის ერთგული იყო რწმენის.

ამიერკავკასიის გაერთიანებული ენერგოსისტემების სადისპეტჩერო სამმართველოს კოლექტივმა (სამმართველოს უფროსი კაკო პეტრიაშვილი), ეკლესიას შესწირა დიდი ზომის წმინდა გიორგის ჭედური ხატი და 22-სანთლიანი შანდალი, რომელიც კოოპერატივ „ბექას“ ჭედური ხელოვნების ოსტატთა მიერაა შესრულებული მაღალ პროფესიულ დონეზე. მამა ალექსიმ გადაიხადა პარაკლისი, აკურთხა შენაწირი, წმინდა გიორგის ხატმა სიცოცხლე დაიწყო...

განა ასეთი საქციელი მისაბაძი არ არის? საპატრიარქო ვერ შეძლებს ყველა ეკლესიის ფონდის მაღალმხატვრული ნიმუშებით გამდიდრებას, ყველა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა რომ ასეთი შენაწირი გაიღონ, ჩვენი ეკლესიებიც დამშვენდება და, თანაც, აღორძინდება ქართული ხატწერა.

ნათია კობიაშვილი

პროფესიონალიზმია პატრიოტიზმი!

ერის კონსოლიდაციის საქმეში მნიშვნელოვანია კულტურის მუშაკთა როლი, ამდენად, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს კულტურის დარგის მაღალ კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებას, რომელთაც უმაღლესი მორალური სიმტკიცე და რწმენა გააჩნიათ. სამწუხაროდ, ასე როდია; წლების მანძილზე დეგრადაციას განიცდიან ჩვენი კულტდაწესებულებები. ხშირად, ძნელი გასაგები იყო, რისთვის ეწყობოდა, რა მიზანს ემსახურებოდა ესა თუ ის შეხვედრა-საღამო.

ასე გაგრძელება დღეს აღარ გვარგებს. დროა. უარი ვთქვათ მავანთა ხელშეწყობით დანიშნულ პიროვნებებზე, წინ აღვუდგეთ ცრუპენტელურ ქაღალდმთხზველობას, სიყალბესა და ფორმალიზმს, დროა შევიგნოთ, რომ ასეთი კადრები მომავალშიც ვერაფერს შემატებენ დარგს.

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჩვენი ნიჭიერი, შემოქმედებითი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი უმუშევარია. მათი ადგილი სულ სხვა დარგის სპეციალისტებს უკავიათ; რომ დღეს რესპუბლიკაში მხატვრული თვითშემოქმედების ზოგიერთი დარგი დაღუპვის გზაზეა. აუცილებლად უნდა დაარსდეს საქართველოში ერთი საჩვენებელი კულტურის სასახლე. ჩვენი ღრმა რწმენით, დარგის ხსნა ერთშია: კომპეტენტურმა კომისიამ უახლოეს ხანში უნდა შეამოწმოს პირველი ჯგუფის პროფკავშირული კულტდაწესებულებების დირექტორებისა და სამხატვრო ხელმძღვანელების პროფესიული დონე.

ჯილდა გოგოლაძე
ნანული მუჩიაშვილი
მადონა ცომაია

თბილისი. აბანოთუბანი. ილარიონ ბაევის ფოტო.

წერილი რედაქციას

4 ივლისს გაზეთ „ქართულ ფილმში“ გამოქვეყნდა ხათუნა ივანიშვილის წერილი „პრობლემა... პოზიცია“, რომელიც კიცხავს ჩვენს თანასოფლელებს იმის გამო, რომ პიკეტი მოუწყეს ყვარლის რაიონში მცხოვრებ ლეკებს. ჩვენი აზრით, წერილი საქმეში ჩაუხედავი ავტორის ხელით არის დაწერილი, და სხვის ნაკარნახევს უფრო ჰგავს, ვიდრე საკუთარი თვალით ნანახს და გაგონილს.

საქმე ის იყო, რომ აქამდე დამუნჯებულმა ხალხმა მიტაცებულ მიწაზე უკანონოდ აშენებული სახლის დანგრევა გაბედა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 23 დეკემბრის 86-ე დადგენილება და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის 107-ე მუხლი კრძალავს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების თვითნებურად აშენებას, მითუმეტეს, თუ ეს სახლი მიტაცებულ მიწაზე შენდება. ყვარლის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის 1989 წლის 22 დეკემბრით დათარიღებულ 317-ე გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ სოფ. თიკში და ჩანტლისყურეში ნაზოგადო ნაკვეთებზე უნებართვოდ აშენებული სახლების დანგრევა დაევალათ საბჭოს თავმჯდომარეებს და შინაგან საქმეთა განყოფილების ინსპექტორებს. როგორც ვხედავთ, ექვსი თვე აცალეს ლეკებს, თავიანთი ნებით შეეხრულებინათ რაიაღმასკომის კანონიერი მოთხოვნა, მაგრამ მათ ყურიც არ შეიბერტყეს. სახლის დასანრევად მივიდნენ არა მობალიე ქართველები, არამედ ყვარლის მილიციის უფროსი, საბჭოს თავმჯდომარე და სხვა ოფიციალური, პასუხისმგებელი პირები. რათა სისრულეში მოეყვანათ ყვარლის რაიაღმასკომის გადაწყვეტილება. პიკეტი მოეწყო 15 ივნისს, მანამდე კი, ერთი დღით ადრე ქართველები თვითონ თავაკაცებთან შეთანხმდნენ. გთავაზობთ ამ დოკუმენტს.

„ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე თვეში ექსტრემალური სიტუაციის განმუხტვის მიზნით შეიქმნას საგუშაგო ყვარლელების მონაწილეობით. საგუშაგო, თვის ანალოგიურ ჯგუფთან ერთად, ვალდებულებას კისრულობს დაღესტანში წარგზავნილი თვის დელეგაციის დაბრუნებამდე უზრუნველყონ აღნიშნულ ტერიტორიაზე სრული წესრიგი, რაზედაც პასუხისმგებლობას არ იხსნის არცერთი მხარე“. შეთანხმებას ხელს აწერენ ქართველებიც და ლეკებიც.

წერილის ავტორმა ან არ იცის ამ შეთანხმების არსებობა, ან განგებ დახუჭა თვალი. ლეკები საჩივლელად ყოველთვის მოსკოვში გარბოდნენ, ახეთი ჩივილის შედეგად მიიღეს მათ ახლახანს 23,5 ჰექტარი ქართველი ხალხის კუთვნილი მიწა, მაშინ, როცა ჩვენი რაიონის ქართველებს ამაზე ოცნებაც არ შეუძლიათ, თუმცა რაიონში ბევრია ახეთი ოჯახი, 3-ზე მეტი ვაჟიშვილი რომ ჰყავს და სხვაგან ეძებს თავშესაფარს.

მოსკოვიდან ახლაც გამოეშურა ყრილობაზე მყოფი რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რასულ მიქაილოვი, რომელსაც „ამჯერად ფრიად არასასიამოვნო და დრამატული ამბების გამო მოუხდა თვეში ჩამოსვლა“, როგორ თუ შეიარაღებულმა ქართველმა ახალგაზრდობამ პიკეტი მოუწყო ლეკებსო. თურმე მთელი დაღესტანი ფეხზე დამდგარა და საქმე იქამდე მისულა, რომ „26 ივნისს მაჰაჩყალაში უნდა ჩატარებულიყო სანქციონირებული მიტინგი ყვარელ ლეკთა მხარდასაჭერად, სინამდვილეში კი გარკვეული ძალები ჩაატარებდნენ დიდ ანტიქართულ კომპანიას“, — აცხადებს წერილის ავტორი. ხედავთ, სანქციონირებული მიტინგი უნდა ჩატარებულიყოო, იმის გამო, რომ გაჯიდეთ და კანონის სისრულეში მოყვანა დავაპირეთ. ამაზე მეტი ანტიქართული კამპანია რაღა უნდა იყოს, როცა წლების განმავლობაში მიტაცებულ მიწებზე უკანონოდ აშენებენ სახლებს. ერთი დაუმთავრებელი სახლის დანგრევის გამო დაღესტანი სანქციონირებულ მიტინგს აპირებს ისე, რომ მტკუანისა და მართლის გარჩევას არ ცდილობს. საინტერესოა, როგორ ეკანონიან დაღესტანში კანონის დამრღვევებს? იქნებ დაღესტანში არ არის აღმასრულებელი ორგანოები და არც დამნაშავეებს სჯიან? ჩვენ სიმართლეს არასდროს ბოლომდე არ ვამბობთ. ქალებმა და ბავშვებმა კინაღამ ქვებით ჩაქოლეს ახალსოფლის საბჭოს თავმჯდომარე, მილიციის მუშაკი და სხვები. გაზეთი „ქართული ფილმი“ გვამუნათებს: „ამ დროს მამაკაცები არასდროს არ არიან შინ, სხვაგან არიან წასულებიო“. საინტერესოა, სად არიან, როცა რაიონში ამდენი სამუშაოა? აღსანიშნავია ისიც, რომ მეურნეობებში წელს ლეკებს არცერთი დღე არ უმუშავიათ, და, საერთოდ, სიბეჯითით არ გამოირჩევიან.

თურმე კოჩუბეის რაიონში მცხოვრებმა ქართველებმა იწყინეს და შეშფოთებულები ჩამოსულან ყვარელში „აქაური ამბავი ჩვენზე გადატყდება, ჩვენ რაღა დაგიშავეთ, რას გვერჩითო“. კოჩუბეიში მოკალათებულ ქართველებს ის ურჩევნიათ, თავიანთ თავს მიხედონ, გონზე მოვიდნენ, აქაურ ლეკებს სახლები გაუცალონ, სამშობლოში დაბრუნდნენ და ჩვენთან ერთად იბრძოლონ თავისუფალი საქართველოს მოსახალოებლად.

საინტერესოა, რატომ არ მიდიან საცხოვრებლად ლეკები თავიანთ სამშობლოში, როცა ამდენი დაცარიელებული სოფელი აქვთ. თიველებმა მიზანს მიაღწიეს. 75 უკანონო დაცარიელებული სახლი ისევ დგას თვეში. ლეკები ხან მოსკოვში დარბიან საჩივლელად, ხან დაღესტანში. წერილის „პრობლემა... პოზიცია“ ავტორი გვმოძღვრავს: მართალია, ლეკთა სოფლები ქართველების ხარჯზე იზრდება, მაგრამ ქართველების უკმაყოფილებაც იზრდებაო. თუმცა საკუთარი ღირსებისა და მამულისადმი გამძაფრებული მგრძნობელობა გაგიჩნდათ, თუმცა ლეკები ზოგჯერ თქვენს კუთვნილ მიწას იტაცებენ, მაგრამ ყველაფერი უნდა მოითმინოთ, როგორც ადრე მოგითმენიათ, თორემ თუ აქაურ ლეკებს ხმას გასცემთ თუნდაც კანონიერად, დაღესტანიც. კოჩუბეიში მცხოვრები ქართველებიც და საინგილოში დასახლებული ჭარელი ლეკებიც საქმაგეროს გადაგვიხდიანო. რაც შეეხება რასულ მიქაელოვს (ლეკებს ბევრი ახეთი მფარველი ჰყავთ მოსკოვში), თბილისში იგი იმიტომ ჩამოვიდა, რომ მოსკოვში მხარი არ დაუჭირეს ისე, როგორც ადრე ხდებოდა ხოლმე. თიველებს მოსკოვის გზა გაკვალული აქვთ. აკი ვიღაცეების დახმარებით გალანძღეს კიდეც, ყვარლის რაიონი. ამ რამდენიმე წლის წინ გაზეთ „პრავდაშიც“ დაიბეჭდა წერილი და საკავშირო ტელევიზიამაც სპეციალური გადაცემა მიუძღვნა აქაურ ლეკებს — როგორ თუ თიველ ლეკებს კლუბს არ უშენებთ და უწყალოდ ხოცავთო. ვინც არ ყოფილა თვეში, ჩავიდეს და თავის თვალით ნახოს, რამხელა ხევი ჩამოუდიხ გვერდზე სოფელს, რაც შეეხება ახალსოფელს, დღემდე უწყალო სოფელია, კლუბი არც ჩვენს სოფელს გააჩნია, მაგრამ ხაჩივლელად მოსკოვში არ გარბიან, და გინდაც წავიდნენ, მათ ყურსაც არავინ ათხოვებთ. „ჩვენს ურთიერთობაში ახალი ერა უნდა დადგეს. ლეკები და ქართველები ჭირშიც ერთად ვიყავით და ლხინშიცო“. — ვის სჭირდება ასეთი გაცვეთილი ლოზუნგები, განა მარნეულის, სამაჩაბლოს ამბები არ არის იმისი მაგალითი, რომ ნაძალადევი ძმობისა და ერთობის ქადაგების დრო წავიდა, ვისაც ჩვენი ენის შესწავლა არ სურს, საქართველოს მიწაზე ქართულ სკოლას ცხვირწინ უბოდიშოდ გვიკეტავს და რუსულ სკოლებს ხსნის მათ სანაცვლოდ, ვინც ყოველ წუთს და ყოველდღე მიტაცებულ მიწაზე უკანონო სახლებს აშენებს (ღამით, ქურდულად), ის ძმობას ვერ გაგვიწევს. ყვარელში ჩასახლებული ლეკები ყველანაირად ცდილობენ ჩვენი მიწის ხელში ჩაგდებას, მაგალითად, აქაური ქალების დიდი უმრავლესობა დაღესტანში არ თხოვდება, დაღესტელ კაცზე კი ქორწინდება, მაგრამ ქმარი ყვარელში მოყავს და ალაზნის ველზე სახლდება. გარდა ამისა, ლეკები ჩამოდიან დაღესტნიდან ნათესავებთან ან ნაცნობებთან. ეწერებიან დროებით, მერე კი ჩივიან, მიწა არ გვყოფნისო. ცალმხრივი მეგობრობა და ძმობა არ არსებობს. ლეკების უმრავლესობამ, რაკი ასეთი ქომაგი დაინახეს გაზეთ „ქართული ფილმის“ სახით, განცხადებები უკან გაიტანეს ახალსოფლის სასოფლო საბჭოდან, ჩვენ მთელი საქართველო მხარს გვიჭერს და ერთი მუჭა ახალსოფელი რას დაგვაკლებენ. ჩვენ „გვაქვს ლეკების გვერდის ბეჭედი“, ვინც თვითნებურად მიტაცა მიწა. — არის უფრო ძალიან დარღვევები, სარუსოში და თიკში. დაახლოებით 90 ისეთი ოჯახია, რომლებსაც აქვთ სახლი და მიწა, მაგრამ ახალსოფლის საკომლო წიგნში არ არიან გატარებულები, ე. ი. მათთვის არც მიწა მიუცია ვინმეს და არც სახლის აშენების პროექტი აქვთ. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს არ უხდიან არც საშემოსავლოს, არც დაზღვევას, ერთი სიტყვით, ქურდულად ცხოვრობენ ჩვენს ქართულ მიწაზე. საინტერესოა, რა ჰქვია ამას გაზეთ „ქართული ფილმის“ ენაზე? ჩანტლისყურეში, რადგან თავისუფალი მიწა აღარ იყო, ქართველი კაცის ხელით გაშენებული ვენახები გადაჭრეს და ლეკთა სამოსახლეოებისათვის ისე უზვად არიგეს მიწები, რომ ერთი ძროხის ხაძოვარი ადგილიც არ დარჩა.

1988 წლის 25 თებერვლის 35-ე დადგენილებით თიველების 82 ოჯახს და სარუსოს 72 ოჯახს მიუზომეს სამოსახლო მიწები, მიუხედავად ამისა, ლეკები მაინც არღვევენ კანონს, მაგალითად, თვის სკოლის დირექტორს (ქართული სკოლის დახურვის ინიციატორს) საკომლო წიგნში ჩაწერილი 80 კვ. მ სახლის ფართობის ნაცვლად ფაქტიურად 150 კვ. მეტრი აქვს, მოჰამედ ალიბალოვს 80 კვ. მ. აწერია, სინამდვილეში 150 მეტრი აქვს, რაზეათა ბულათოვს 10 კვ მ. ნაცვლად 100 კვ. მ. აქვს.

არიან ისეთი ოჯახებიც, რომელთაც საკომლო წიგნში აწერიათ ერთი სახლი, სინამდვილეში კი იმავე ეზოში მეორე სახლიც აქვთ უკანონოდ აშენებული.

დიახ, იმიტომ გაიზარდა და გამრავლდა ლეკის ოჯახები, რომ უკანონოდ მიტაცებულ, უკანონოდ აშენებული სახლის დანგრევის უფლება ქართველს არ ჰქონდათ. ამის ნებას მოსკოვი არ იძლეოდა, რადგან ლეკების მფარველობდნენ. თუ „ქართული ფილმისთანა“ ჟურნალი კიდევ გამოუჩნდათ ლეკებს, მალე ქართველებს ალაზნის ველზე ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ დარჩებათ.

წერილს ხელს აწერენ ახალსოფლელები. სულ 77 ხელმოწერაა.

ყველამ თავის სამშობლოში უნდა იცხოვროს!

გაზეთ „ქართულ ფილმში“ გამოქვეყნებული ხათუნა ივანიშვილის წერილი „პრობლემა... პოზიცია“ ბრალს მდებს 1989 წლის 31 მარტს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დასტამბული წერილისთვის „სოფლის სახელით“, სადაც ლაპარაკი იყო ყვარელში მცხოვრებ ლეკებზე.

ავტორი წერს: „ლიტერატურულმა საქართველომ“ ბოლო გვერდზე ორჯერ მოიხადა ბოდიში. რადგან თავდასხმისა და ცემის რამოდენიმე ფაქტი არ დადასტურდა და წერილის ავტორს, რამდენადაც ვიცი, ლეკებისთვის ბოდიში არ მოუხდია“.

„ლიტერატურულმა საქართველომ“ ბოდიში კი არ მოიხადა, გაზეთის პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ინფორმაცია, სადაც პროკურატურა იტყობინებოდა, შუბითიძეზე თავდასხმის და დევიძის ცემის ფაქტი არ დადასტურდაო. ცნობილია, მაშინ რა უბედურება დატრიალდა საქართველოში. ჯერ 9 აპრილის ტრილობები არ გვქონდა მოშუშებული, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ამბებიც დაგვატყდა თავს. საქართველოში ისედაც დაძაბული ვითარება შეიქმნა და აღარ მინდოდა გამემწვავებინა ლეკებთან ურთიერთობა. გარდა ამისა, ლეკების ერთმა სოფელმა თბილისწყაროს სოფლის საბჭოში განცხადებები შეიტანა დაღესტანში წასვლის თაობაზე (ეს სოფელი უკვე წავიდა). რადგან ჩემი წერილის მიზანიც ეს იყო, გაჩუმება ვამჯობინე.

მე ხელთ მაქვს დევიძის სახელზე გაცემული ცნობა, რომელსაც ხელს აწერს ყვარლის რაიონის მაშინდელი მილიციის უფროსი. ცნობაში გარკვევით წერია, რომ დევიძე ლეკმა სცემა და შეუძლია სასამართლოში წარადგინოს ხაჩივარი.

რაც შეეხება შუბითიძეს, იგი რამდენჯერმე დაიბარეს მილიციაში და რა გასაკვირია, თუ პირველი ჩვენება გადააქმევინეს. თოფი პატარა ბიჭებმა მესროლესო, იცრუა შუბითიძემ და ამით მილიციას თავი დააღწია. გაჩენის დღიდან შიშისა და ტერორის ქვეშ გაზრდილი გლეხი კაცის დაშინება არცთუ ისე ძნელია. მე მაქვს წერილები, რომლებიც ჩემს სიმართლეს ადასტურებენ, მთელმა სოფელმა იცის — შუბითიძეს იმიტომ ათქმევინეს, თოფი ბავშვებმა მესროლესო, რომ მილიციასთან სადავო აღარ ჰქონოდა. მოწმეებიც არსებობენ და იმედი მაქვს, შუბითიძე იმას მაინც არ გადათქვამს, რომ მისმა დაშინებულმა მეუღლემ ნერვიულობას ველარ გაუძლო და ამის გამო კარგა ხანს საავადმყოფოში იწვა. ალბათ ერთ-ერთი მიზეზი ესეც გახლდათ, რომ სიჩუმე ვამჯობინე. „პრობლემა... პოზიციის“ ავტორი იმასაც მიკიჟინებს, ლეკმა ექიმებმა მშვენიერი ქართული იციან და ტყუილად ცილს ნუ სწამებთო. მაშინაც ვწერდი და ახლაც ვიმეორებ: ყვარლის რაიონში მომუშავე ლეკები რუსულ ენაზე ავსებენ ანკეტებს, ავადმყოფობის ისტორიას და რუსულ ენაზე დაწერილ ცნობებს იძლევიან, თუ ამას ქართულის ცოდნა ჰქვია, მაშინ მართლაც ბოდიში მქონია მოსახდელი. გარდა ამისა, თუ ყვარლის რაიონს „უნდობლობა გამოუცხადა მთელმა დაღესტანმა, ჭარელმა ლეკებმა და სხვებმა“, ჩვენ როგორ ვანდოთ ჩვენი ბავშვები და დედები ლეკ ექიმებს. როცა აფხაზი ექიმების მაგალითი წინ გვაქვს. ხათუნა ივანიშვილი ბრალს მდებს, თითქოს ხალხთა შორის ინტერნაციონალური ძმობის ხელისშემშლელი ვიყო და წერს, ლეკების წასვლის პრობლემა თავისთავად გვარდებაო. დაშინებით, ძალადობით მოპოვებული ძმობა არავის სჭირდება. გარდა ამისა, ამ საკითხის თავისთავად მოგვარება ერთობ საეჭვოა — მიტაცებულ მიწაზე ერთი უკანონოდ აშენებული სახლის დანგრევის გამო მთელი დაღესტანი ფეხზე დადგა. ლეკები კი დაღესტანში წასვლაზე ფეხს ითრევენ და განცხადებების გამოხატანად სოფლის საბჭოში დადიან.

მე არავინ მძულს, მაგრამ ერთი რამ მტკიცედა მწამს, ყველამ თავის სამშობლოში უნდა იცხოვროს. ვისაც თავისი სამშობლო არ უყვარს, სხვის სამშობლოს ვერ შეიყვარებს. ლეკებმა ალაზნის ველზე საუკეთესო მიწები მითვისეს და მაინც ჩვენი უმადურები არიან, სიყვარულს ვინ ჩივის, ოდნავი პატივისცემაც არა აქვთ, არც ჩვენი ენისა, არც ჩვენი სარწმუნოებისა და არც ჩვენი ხალხისა. წერილის ავტორი მასწავლის: „სოფელი მთელი სამყაროს მოდელია, ქურდიც ცხოვრობს და პატიოსანიც, მატყუარაც და მართალიც... გამიკვირდა, 2000 კომლიანი ახალსოფელი როგორ დააშინა 200 კომლიანმა თიკმა“.

როცა ბრალმდებლის როლში გამოდის ვინმე, კეთილი უნდა ინებოს და ფაქტები დააზუსტოს, თიკში 200 კომლი კი არ ცხოვრობს, არამედ 350 კომლზე მეტი. ჩანტლისყურეში 250 კომლია. ამას სარუსოც დავუმატოთ, ყოველ ოჯახში 20 სულზე მეტი რომ ცხოვრობს, და თუ მაშინდელ თხილისწყაროსაც ვიანგარიშებთ, სადაც ლეკების ოჯახები მრავალრიცხოვანია, ადვილად მივხვდებით, რაოდენ შესაბარალისები არიან ლეკები თავიანთი სიმცირის გამო.

„დაღესტანმა იწყინა ეს სილა. გაოგნდა, მაგრამ შეგვრჩაო“, ამბობს წერილის ავტორი. მე ერთი რამ ვიცი — ჩემს ხალხს მათი წყალობით სამოსახლო მიწები აღარ შერჩათ. ისიც ვიცი, რომ მიტაცებულ მიწაზე აშენებული სახლები ლეკებს დღემდე შერჩათ და ახლაც თვალი ისევ „ცენტრისკენ“ უჭირავთ. შველას იქიდან ელიან.

არავის არა აქვს უფლება ისეთ დიდ პრობლემაზე, როგორიც არის მიწის საკითხი, ასე გულგრილად და ზერელედ იმსჯელოს. „პრობლემა... პოზიციის“ ავტორი რიხიანად და კატეგორიულად აცხადებს: „მედეა კახიძის წერილი აღვიქვი არა მარტო დაღესტნის, არამედ საქართველოს ღირსებებისთვის შემოკრულ სილად“. მე არ ვიცი, ვის როგორ ესმის სიტყვა „ღირსება“, მაგრამ ჩემი აზრით, — მე კი არა და ყვარელში ჩასახლებულმა ლეკებმა შემოჰკრეს სილა დაღესტნის ღირსებას, რადგან ღირსეული ადამიანი სამშობლოს თავისი ნებით სხვის სამშობლოზე არ გაცვლის. დაღესტანს რატომ უნდა სწყინდეს, თუ ჩვენ ყვარელში ჩასახლებულ ლეკებს მოვუწოდეთ, ქართველი ხალხივით იბრძოლონ, იცხოვრონ საკუთარ ჭერქვეშ. საკუთარ ენაზე ისწავლონ, ილაპარაკონ (და არა რუსულ ენაზე), დაბრუნდნენ მშობლიურ მიწაზე, ზნე-ჩვეულება და რჯული შეინახონ, იბრძოლონ დამოუკიდებელი დაღესტნის შესაქმნელად. განა ვინმემ უნდა გვისაყვედუროს ამისთვის?

ნეტავ საქართველოსაც დაუდგეს ნანატრი ჟამი, დაიბრუნოს ბედუკულმართი ისტორიის გამო დაკარგული შვილები, რომლებიც სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობენ.

მედეა კახიძე

ამირანის სიმბოლური სახეობა

როსტომ ჩხეიძე

შეუძლებელია გვახსოვდეს, როდის ჩნდება ჩვენს აღქმაში ამირანის სახელი და მისი ტანჯული ბედი, პირველად როდის შემოიგრება კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული გმირის სახება.

ალბათ, ძალიან ადრეულ ასაკში, თითქმის ცნობიერების გაღვიძებისთანავე.

ჩვენი ცხოვრების ეს ხანა ისევეა ბურუსით მოცული, როგორც ამ მითოსური ეპოქის ძეგლის წარმომავლობა, მაგრამ ხომ სწორედ იმ დროიდან აგვედევნება და მერე კი თვითვე აგვიყოლიებს ეს გმირი და მისი ბედი, რათა მთელი ცხოვრება თან გაგვყვეს.

და თუმცა შეუძლებელია გვახსოვდეს, პირველად ჯერ კიდევ როდის ავუღელვებივარ ამირანის თავგადასავალს, მაგრამ ასევე შეუძლებელია, ის ადრეული მღელვარება უკვალოდ გამქრალიყოს.

რამდენნაირი განცდა უკავშირდებოდა და უკავშირდება ამ სახელს.

ყველა ეს განცდა ერთ ოცნებად ერთიანდებოდა, მიჯაჭვული გმირის ახსნის ოცნებად. თუმცა ზღაპრულ ქარგაში მოქცეული ამბავი გვარწმუნებდა, ამირანი გაუთავებელი გამარჯვებებისაგან ისე გაამაყდა, ხალხის შეწუხებას მიჰყო ხელიო, მერე დედამიწაც აღარ იმყოფინა და თვით თავისი ნათლია, ქრისტე ღმერთი გამოიწვია საჯიდაოდო, ჩვენი ხანუკვარი ოცნება და გულისთქმა მაინც ამირანს შეჰხაროდა.

ამირანი გმირი იყო, თუმც შებოჭილი, მაგრამ მაინც გაუტეხელი გმირი.

ეგ იყო, შველა ჭირდებოდა, რათა მერე თვითვე მოგვვლენოდა მშველელად.

როგორ აგვეხსნა ჯაჭვები?.. იმ მღვიმისათვის რანაირად მიგვეგნო, წელიწადში ერთხელ რომ იღებოდა და მიჯაჭვული ამირანის ნახვა მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი? ან ის მჭედლები როგორ გვეპოვნა, ყოველ დიდხუთშაბათს გრდემლზე კვერს რომ დაჰკრავდნენ და ამირანის მიერ გაწყვეტამდე მიყვანილ ჯაჭვებს ახე ერთი დაკვრით ამოელებდნენ?

ხან ასე ვოცნებობდით, ხან კი ამას სხვა ოცნებაც შეენაცვლებოდა, უფრო მძაფრი და გაბედული: ჩვენივე თავს წარმოვიდგენდით ხოლმე ამირანად... აბა!.. ოღონდ წარმოვიდგენდით არა კლდეზე მიჯაჭვულად, არამედ გამარჯვების წუთებში, ზეციდან მოტაცებული ცეცხლი რომ მოჰქონდა დედამიწაზე.

თქმულება ყამარის მოტაცების ამბავს გვიყვებოდა. მაგრამ უკვე ისე ვიცოდთ, რომ ყამარი ცეცხლს გამოხატავდა, ზეციდან ცეცხლის მიწაზე ჩამოტანას გულისხმობდა.

და ეს ცეცხლი ჩვენ მოგვქონდა ჩვენი დამზრალი, უსახოო მამულისათვის, მოვაპობდით უსაზღვრო სივრცეს, მოვდიოდით და მოგვქონდა... ჩვენი მოტაცებული იყო.

თან, რარიგ უცნაურიც არ უნდა ჩანდეს, ჩვენს თავსაც შევყურებდით შორიდან: ის გმირი უშუალოდ ჩვენც ვიყავით, ხელში ალი რომ აიბრდღვიალებინა ანდა ყამარი შემოესვა თეთრონზე, და თითქოს ვიღაც სხვაც იყო.

თუ მარტო თვითეული ჩვენგანი ვიყავით, ამ გაშეშებულ — თუმც შინაგანი ექსპრესიითა და დაუოკებელი ჟინით ალვსილ — წარმოსახვით ხატს გარედან როგორ შევყურებდით; და თუ მარტო სხვა იყო და ჩვენ იქ ხელი არ გვერია, საკუთარ თავზე როგორღა განვიცდიდით?..

ერთი სიტყვით, გამარჯვების წუთებში.

ხოლო რანაირად მივაღწიეთ ამ გამარჯვებას, იმ წამს ამის გახსენება ზედმეტად მიგვაჩნდა, თუმც თავისთავად მშვენივრად გვახსოვდა მთელი ის გზა, რაც მანამდე უნდა გაგვევლო. ისიც კარგად ვიცოდით, რაც გველოდა, მაგრამ დაუმცხრალ ლტოლვას რა შეაჩერებდა.

ამ განცდას — თუმც არა ასე დანაწევრებულად — ერეკლე ტატიშვილიც ახსენებს, როგორც ქართველი ბავშვის სულსა და სისხლში გამჯდარ შეუპოვარ წადილსა და სწრაფვას, და მეტი სიმძაფრისათვის კონტრასტის ხერხსაც იშველიებს, „ყველა უსუსურს ბავშვსო“, ახე როცა წერს:

„... ყველა უსუსურს ბავშვსაც კი წარმოდგენილი აქვს, რომ ზეცას ცეცხლი მოსტაცა, რათა თავის მომძმე უბედურ მომაკვდავთ ძვალ-რბილი გაუთბოს, რა გასაკვირველია: ჩვენი ქვეყანა ხომ ამირანის ქვეყანაა!?“

ისიც ნიშანდობლივია: ვინც ამ ქვეყანას მოწყვეტილიყო და ბედს ანუ უბედობას სხვაგან გადაეტროლა, ამ თქმულებით იბრუნებდა სუნთქვას, ინარჩუნებდა სასიცოცხლო ძარღვს და ფეხვების გადაჭრისაც არ ეშინოდა, რადგან შვილსაც ამირანის თავგადასავლით ზრდიდა, „ამირანის ყოფის ტრაგიზმის თანაგრძნობასა და მისი უთუო აშვების რწმენას უნერგავდა; და პატარა ბიჭისათვის სულიერი მხნეობის შთაბერვასთან ერთად მშობლიური ენის გასაკვეთადაც უკეთესი საამბობი რა უნდა ყოფილიყო. ასეთი შემთხვევა ოთარ ჩხეიძის რომანშიც, „ვენეციური ჭაღი“, არის გახსენებული და მძაფრი ეროვნული პათოსითა და ფსიქოლოგიური ნიუანსობრიობით წარმოსახული: და ეს კერძო ნიმუში კი არაა, არამედ ვითარების ზოგადი მხარის გამომხატველი...

თაობა მიდიოდა და თაობა მოდიოდა, დაბადებითვე ამირანის აშვების იდეალს აყოლილი.

რარიგ ბუნებრივია ეს ყველაფერი, ყოველ ჩვენგანს რომ განუცდია მეტ-ნაკლებად.

და ისიც ბუნებრივია, რომ ეს თქმულება ასეთი განუყოფელია თვითეული ჩვენგანის ცხოვრებისა და მსოფლმხედველობრივი მრწამსისაგან, ისევე, როგორც საერთოდ ჩვენი ეროვნული შეგნებისა და მსოფლმხედველობისაგან.

თუმცა თავიდან ამეებისა არაფერი გაგვეგებოდა და არც არავითარ მითოსურსა თუ ეპიკურ აზროვნებაზე გვქონია წარმოდგენა, ცხადია, ამირანსაც არავითარ სიმბოლოდ არ წარმოვიდგენდით, ეს მხოლოდ ჩვენთვის ყველაზე მახლობელი და საყვარელი გმირის თავგადასავალი ჯახლდათ, რისი ჯერ მოსმენა და მერე კი კითხვა არ გვწყინდებოდა.

უჩვეულო, ნაადრევი დაბადება და გადარჩენა, ძმები ბადრი და უსუპი, სანადიროდ წასვლა და ტრიალ მინდორზი ერთ ყოველმხრივ დახშულ კოშკში — ამირანმა შესასვლელი მუხლის დაკვრით რომ უნდა შელეწოს — გარდაცვლილი და დაუმარხავი გმირის პოვნა, რომელსაც უამრავი დევი შეუმუსრავს, მაგრამ ერთი ბაყბაყ-დევის ჯავრი წაჰყოლია... მერე ამირანისა და ბაყბაყის შერკინება და მელოდიასავით აკვიატებული „ამირან დევი შეიბნენ, მიწას გაჭონდა გრიალი...“, იმგვარ მელოდიასავით, რომლის აღსავალ რიტმსა და განწყობილებასაც — „ამირანმა დევი დასცა, ადგილი შეხვდა ქვიანი, დასცა და მხარი მოსტეხა, დაიწყებინა ღრიალი“ — თვითონ სტრიქონები კი არა, ჩვენი აღტაცებული ყოფნა უფრო ამოლოვებდა... ბრძოლა სამ გველეშაპთან, ძმებმა ამირანი გასაჭირში რომ მიატოვეს და გაიქცნენ... ამირანის ჩაყლაპვა შავი გველეშაპის მიერ... ძმების უთუო სინანული და მცდელობა დახმარებისა... ამირანის მიერ გველეშაპის შიგნეულის გამოკვრა და კვლავ სამზეოზე გამოსვლა... გაცვენილი წვერ-ულვაში და იგრი-ბატონთან მისვლა, რათა იმან უწამლოს და ხუხალა გოკს აღარა ჰგავდეს... მერე ყამარის საძებნელად წასვლა ზღვის გაღმა, მისი მოტაცება ზეციური კოშკიდან და ყამარის მამის, ღრუბელთ-ბატონის დადევნება, ბრძოლა და ძალზე ძნელი გამარჯვება ყამარის შემწეობით, ამირანს რომ ეხმარება მამის წინააღმდეგ... ძმების აღსასრული... ჭრილობისაგან ამირანის დაღუპვაც და სასწაულმოქმედი ბალახი... ყამარი აცოცხლებს ამირანსა და მის ძმებს...

ამირანი აქამდე ზღაპრულ გმირსა ჰგავდა, მაგრამ აქედან უკვე თხრობა მკვეთრად იცვლებოდა და ამბავი, ჩვენთვის კარგად ნაცნობი ზღაპრებისაგან განსხვავებით, ამირანისა და ყამარის ქორწილითა და საყოველთაო ბედნიერებით სრულებითაც არ მთავრდებოდა.

ფინალში თხა და მგელი ერთად არ ძოვდნენ და არც მეზღაპრე გვარწმუნებდა, გუშინ იმ ქორწილში ვიყავი და დღეს აქ მოვედიო.

სულ სხვა რამ ხდებოდა.

ყამარიც, ბადრიცა და უსუპიც ერთბაშად თხრობის მიღმა რჩებოდნენ, რათა ამირანს ის უმთავრესი ეპიზოდი გადახდენოდა — ღმერთთან შერკინების წადილი და ღვთისაგან მოვლენილი საუკუნო სასჯელი ასეთი წადილისათვის— რაც განსაკუთრებულ მიმზიდველობასა სძენდა და სიდიადით მოსავდა გმირის სახეს.

ვერაფრით ვერ ვიჯერებდით, ასეთი კეთილი გმირი უეცრად ბოროტ ძალად როგორ უნდა ქცეულიყო. თან განა ეხიც დასაეჭვებელი არ იყო, აი, ის სცენა: მიჯაჭვულ ამირანთან მღვიმეში შემთხვევით მონადირე თუ მეცხვარე რომ შეაღწევს, ამირანი პურს გამოართმევს, ზელს მოუჭერს და სისხლს გამოადენს, მერე თავის პურს — ღმერთს საზროდ რომ მიუცია — მოუჭერს ხელს და იმას კი რძეს დაადენს და მონადირესა თუ მეცხვარეს ეტყვის, თუ ავიშვი, ქვეყანაზე ყველა ასეთ პურს შეჭამს, სისხლი რომ არ ერიოსო.

განა ეს ბოროტი ძალის მოქმედებასა და ნათქვამს ჰგავდა?..

არა, თუ ამ დაპირებთი მოტყუებას ლამობდა (თუნდ ვინმეს ასიც ეფიქრა), ის როგორღა იყო, მონადირისა თუ მეცხვარის პურს სისხლი რომ გასდიოდა წურწურით, ამირანის პურს კი — რძე?

და, აბა, რა გასაკვირია, იმ მღვიმეში შეღწევა ჩვენც რომ გვენატრა, მერე კი მონადირისა თუ მეცხვარისაგან განსხვავებით, საბედისწერო შეცდომა აღარ მოგვსვლოდა, ღვედი უჩუმარის პირით წაგვეღო და არც უკან მოგვეზიდა, რათა მღვიმის შესასვლელი ჩვენც დახშული არ დაგვხვედროდა...

ანდა ეს განცდაც რამდენს გაახსენდება —

ყოველი ახალი მკითხველის თუ წაკითხვისას, ერთი სული გვქონდა, თხრობისას რაღაც შეცვლილიყო, უცებ აღმოჩენილიყო, რომ ყველაფერი თურმე ისე კი არ მომხდარა, როგორც მანამდე ვიცოდით, არამედ ამირანის თავგადასავალს სულ სხვა გაგრძელება და დასასრული ჰქონია...

„არსენას ლექსის“ მოხმენისა არ იყოს, იქაც ხომ ასევე. „შაირსიტყვითა მეხტვირემ ღმერთი მაღალი ახსენა, ღმერთმა მოგცეს გამარჯვება ოძელაშვილო არსენა“-ო, დაიწყებოდა თუ არა, იმას ვნატრობდით, ეს ლექსი არსენას სიკვდილით არ დამთავრებულიყო, არსენასა და კუჭატნელის ეპიზოდი ან სულ აღარ ყოფილიყო ან იქ შემწყდარიყო, არსენას ხმალი ვადაში რომ გადაუტყდება და ამ სტრიქონს, „ხმალი ვადაში გადუტყდა, ის ცარიელი დარჩესა“, აღარ მომყოლოდა, „მაშინა თქვა არსენამ: „დღეს ჭზე დაბნელდა ჩემია! ვაბ, რა დროს მიღალატე, გაგიწყრეს გამჭედელია“; და, რაც მთავარია, არც ის, „შემოუქნია გიორგიმ, მოსჭრა მარჯვენა ხელია“. ამის ნაცვლად თუნდაც არაბუნებრივად მიბმოდა რომელიმე სხვა ეპიზოდი. ისე ველოდით, თითქოს ეგაა პირველად ვისმენთო... იქნებ მართლა რაღაც შეცვლილიყო... მაგრამ შაირ-სიტყვა თავისი გზით მიედინებოდა და ჩვენს ბავშვურ სურვილს პოემის ძირეული მრწამსი ვერ ემსხვერპლებოდა... გიორგის უნდა შემოექნა და უიარაღო არსენასათვის მარჯვენა მოეჭრა, მერე ლეკის ბიჭს ბეჭებში დამბაჩა უნდა დაეცა და ზურგზე ბოლი აედინებინა. მერე კი „დაღონებული არსენა აიწევს და ვერ ადგესა“... ცრემლები გახრჩობს, წამკითხველს პირზე ხელს აფარებ, აღარ გინდა გაგრძელოს... არა, არაფერი იცვლებოდა.

ან ამირანის თავგადასავალში რა უნდა შეცვლილიყო... ის სხვა-გვარი გაგრძელება თუ დასასრული რა უნდა ყოფილიყო, ცხადია, მკაფიოდ ვერ წარმოგვედგინა. მერე და მერე გუმანით, ალბათ გვერჩია, როგორც ამირანი, ისე არსენა იდუმალებაში დანთქმულიყვნენ... თან თითქოს გვცოდნოდა მათი ბედი, თან დაბეჯითებით არცა გვცოდნოდა... თან გვეოცნება ამირანის გათავისუფლება, თან იმის ფარული იმედიც გვქონოდა, რომ იმას ჩვენი ხაშველი არაფერი ჭირდა და, როცა საჭირო გახდებოდა, თვითონვე გამოჩნდებოდა.

როგორ გავიხარეთ, როცა აკაკი წერეთლის პოემაში „თორნიკე ერისთავი“ ეს სტრიქონები შეგვხვდა, გამარჯვებით შემოქცეული ქართული ლაშქრის სიმღერა, რომელიც ახე ზუსტად გამოხატავდა ჩვენს გულისნადებს: „... მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გახსნეულს გმირთა-გმირი!.. სიხარულად შეიცვლება იმდენი ხნის გასაჭირი“-ო.

ცხადია, მაშინ არც დავფიქრებულვართ, რატომ უნდა ემღერა გამარჯვებულ ლაშქარს ისეთი შინაარსის სიმღერა, რომლის მიხედვითაც თავისუფლება უკვე ხელთ კი არ ეპყრათ, არამედ მის ხორცშესხმას მომავალში ოცნებობდნენ.

ის გვახარებდა. რასაც ეს სტრიქონები გვარწმუნებდა. აკაკი ამირანის „მარადიულ ტანჯვას“ ცვლიდა „ხანგრძლივი ტანჯვით“ და ამ ცვლილებით, არსებითად, ახალ ლეგენდას ჰქმნიდა — ლეგენდას ამირანის დაბრუნებისა, რწმენითა და იმედით აღსავსე ლეგენდას.

მსგავსი ლეგენდა, ეს უკვე არსენას უკან დაბრუნებისა, ხალხის ფანტაზიამაც შეჰქმნა და თუმცა არსენაზე გამოთქმულმა მესტვირულმა სიმღერებმა იმთავითვე

(დასასრული)

ამირანის სახე სწორედ ახე განზოგადდა და ასეთი ღრმა და ყოვლისმომცველი შინაარსით პირველად აკაკიმ გაიაზრა.

ქართული ლაშქრის სიმღერაში — როცა კავკასიის ქედზე მიჯაჭვულ ამირანს ქვეყნად ცეცხლის მოტანისათვის ყვავ-ყორანი ეხვევა და გული აქვს დაფლეთილი, გული, რომელიც რაღაც მანქანებით ისევ მთელდება; ის კი, ამირანი, არც კვნესის, არც ოხრავს, უსამართლო ძლიერებას მოწურად ქედს არ უხრის და ბოლოს გამარჯვება მას დარჩება — უაღრესად გამშვირვალე სიმბოლიკა თავისთავად აჩენდა ამირანის სახის ალეგორიულ შინაარსს, მაგრამ აკაკი არ კმარობს თვით ახეთ გამშვირვალე სიმბოლიკასაც და ალეგორიის შინაარსს იქვე ბოლომდე აშიშვლებს:

კავკასიის მაღალ ქედზე,
მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი ყვავ-ყორანი.

„მოვა დრო და თავს აიშვებსო“, ამ სტრიქონებს მოსდევს.

ხოლო ბოლომდე აშიშვლებს არა იმიტომ, თითქოს შიშობდეს, ამირანის სახის ნამდვილი შინაარსი ვინმესთვის დაფარული არ დარჩესო, არამედ ექსპრესიის გასაძლიერებლად იყენებს პარალელიზმის ხერხს და ეს ხერხი აქ განსაკუთრებით ეფექტური იმიტომაცაა, რომ პარალელიზმი საერთოდ ნიშანდობლივია ზეპირსიტყვიერი ყაენრებისათვის და ბუნებრივად გვხვდება თვითონ ამირანის თქმულების დღევანდელ ვერსიებშიც.

ოღონდ ამავე ვერსიებში უშუალოდ არსად გვხვდება ამირანის მიერ ქვეყნად- ცეცხლის მოტანის ეპიზოდი.

ეს ეპიზოდი ნაწილია ძველი ბერძნული მითისა პრომეთეზე, ზეცას რომ ცეცხლი მოსტაცა, ადამიანებს ჩამოუტანა და დედამიწაზე ცივილიზაცია დაუფუძნა. ადამიანებს ყველა ხელობის ცოდნა პრომეთესაგან აქვთ მომადლებული, როგორც ესქილე გვარწმუნებს, ავტორი ტრილოგიისა პრომეთეს შესახებ, საიდანაც ერთად ერთი ტრაგედიაა გადარჩენილი, „მიჯაჭვული პრომეთე“.

აკაკი „ქვეყნად ცეცხლის მოტანას“ ამირანის ღვაწლად რომ თვლის, ამით ბერძენი ტიტანის ღვაწლს ქართული თქმულების გმირს კი არ მიაწერს, არამედ მტკიცედ მიაჩნია, პრომეთეს მითი ამირანის თქმულებიდან წარმოიშვა.

იგი არ იზიარებს გავრცელებულ თვალსაზრისს, მითების სამშობლო ძველი საბერძნეთიაო: „... დარწმუნებულნი ვართ, რომ პირიქით, ბერძნებმა გაიტანეს სხვა ქვეყნებიდან სულ სხვა ხალხების ამბები, შეისისხლხორცეს, თავისებურად გადააკეთეს და ფერცვლილი უკანვე დაუბრუნეს, — ახე აღნიშნავს დრამატული პოემის „მედეას“ შენიშვნებში და ამ ზოგადი მოსაზრების ნათელსაყოფად პრომეთეს და არგონავტების მითებს იხსენებს, — ამას ნამდვილად გვიმტკიცებენ, სხვათა შორის, ძველისძველი მითები „პრომეთეოსზე“ და „იაზონ-მედეაზე“, ერთიცა და მეორეც ჩვენი ქვეყნის შვილია: აქ შობილან, აქ გაზრდილან და კოლხეთით ახე გადასულან ზღაპრულად ელლადაში“.

აკაკის ამ მოსაზრების (ამირან-პრომეთეს „გვიეობისა) მთავარი საყრდენია თვითონ ძველი ბერძნული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც პრომეთე ურჩობისათვის მიჯაჭვულია არა ელადის რომელიმე მთის მწვერვალზე, არამედ კავკასიონის ქედზე. ახე იყო დამკვიდრებული და შეუძლებელი ჩანდა „კავკასიონის ქედი“ ამ ტრადიციაში შემთხვევით გაჩენილიყო. აკაკი ამიტომაც ირწმუნებოდა, პრომეთეს მითი ხაბერძნეთში კი არა, აქ იშვა, აქ გაიზარდა და ელადაში კოლხეთიდან გადასულაო.

აკაკი ამ ერთ — თავისთავად უაღრესად საგულისხმო — ხაბუთს არ დასჯერდა და იგივეობის დამადასტურებლად კიდევ რამდენიმე ხაბუთი მოიტანა ანუ ბერძნული მითის რამდენიმე ადგილი, რაც მისი აზრით, არცთუ მთლად მკაფიო და დასრულებული ჩანდა, ქართული თქმულების საფუძველზე ახსნა.

ოღონდ არაფერი უთქვამს ცეცხლის მოტანის ეპიზოდის თაობაზე, ძნელი სათქმელია, რას ვარაუდობდა: ეს ეპიზოდი თქმულების დღევანდელ ვერსიებში პირწმინდად დაკარგულიყო თუ ამ ღვაწლს რომელიმე სხვა ეპიზოდი შეესატყვისებოდა, რომელიც თავისებურად ინახავდა ცეცხლის მოტანის ხსოვნას. დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მკვლევარმა (ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროყვა, შალვა ნუცუბიძე...) მართებულად ეს მეორე მოსაზრება მიიჩნიეს: პრომეთეს მიერ ზეციდან ცეცხლის მოტაცების ეპიზოდი ამირანის მიერ ზეციური კოშკიდან ღრუბელთ-ბატონის ასულის, ყამარის, მოტაცების ეპიზოდს შეუფარდეს.

აკაკის რწმენით, ამირანი იტაცებდა ცეცხლს და აფუძნებდა კულტურას, სწორედ ის იყო ქართული ცივილიზაციის შემქმნელი და ამიტომაც მოსდევდა ამ ცივილიზაციას მთელი ისტორიის მანძილზე. როგორი ხანგრძლივიც იყო ეს ცივილიზაცია, უშორეს წარსულში ჩაკარგული თავისი ფესვებით, ასევე შორს იკარგებოდა ამირანის თქმულების პირველანდრეზიც. ამიტომაც წარმოსდგება მისი სახება ასე სრულყოფილად ქართული ეროვნული სულის წიაღიდან ამოჭქონდა, რათა მისივე გამოხატულებად ექცია.

იქნებ შემთხვევითობაა, მაგრამ იქნებ თავისებური ღრმა კანონზომიერების გამოვლენაც, რომ იმავე 1884 წელს, როცა „თორნიკე ერისთავი“ იწერებოდა, შეიქმნა ქართული პოეზიის კიდევ ერთი შედევრი, ვაჟა-ფშაველას „ამირანი“. მართალია, გამოქვეყნებით ცოტა მოგვიანებით გამოქვეყნდა, მაგრამ დაწერით სწორედ იმავე წელს დაიწერა; და თუმცა, ამ ლექსში ამირანის სახე ისე პირდაპირ არ არის საქართველოსთან გაიგივებული, მაგრამ, არსებითად, ამ აზრის შემცველია, რადგან მთლიანად ეროვნული თავისუფლების იდეითაა განმსჭვალული და ეს იდეა კვლავ ამირანის მიერ ჯაჭვების დალეწვის ნატვრითაა გამოთქმული.

და ამიტომაც წარმოისახება ლექსის ფინალში ცისა და ქვეყნის შეძვრის კოსმიური სურათი, დახატული განსაკუთრებული პოეტური ექსპრესიით: მთა-კლდეს დგრიალი გააქვს, მიწა იძვრის, ღრუბლები ფუოიან და შავადა ხტიან, კეკლუცნი წვრილნი ვარსკვლავნი მთებზე ჯარადა სხდებიან, ზღვა ტკბილ საკრავს უკრავს და ცას ხელს აწვდის, იქიდან ღრუბელი წვება და ხშირი ცეცხლ-სეტყვა ჩნდება... და მთელი სამყარო. ცა და მიწა, უთუოდ ახე შეეგებება გმირის აღდგომას.

ეს კოსმიური ზეიმი გმირის გათავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის დასტურია.

ვაჟა ოდნავადაც არაფერს მიგვანიშნებს პრომეთეს მითზე (ახსენებს მხოლოდ ქართული თქმულების ვერსიებისათვის ნიშანდობლივ ეპიზოდებსა თუ მომენტებს: დევ-ეშმაკთა ულტა, მღვიმეში დაყუდებული ხმალი, ამირანის ფეხებთან ჩაწოლილი ფინია, დაუსვენებლად რომ ლოკავს ჯაჭვს და აწვრილებს; მგედელი, გრდემლზე ოროს რომ დაკრავს და ჯაჭვს ისევ ამთელებს), მაგრამ ამირანის სახის სიძველესა და მარადიულობას სხვაგვარად ხდის საცნაურს. სახელდობრ, მიჯაჭვული გმირის ყოფაში მითოსური ელემენტის მიგნებით მკაფიოდ გამოჭკვეთს მთელი ამ სცენის მითოსურ პირველსაწყისს, მითოსური მსოფლგანცდისათვის ნიშანდობლივ უმთავრეს პრინციპს მოვლენათა დაუსრულებელი რიტმული მონაცვლეობისა.

მითოსური პირველსაწყისის გამოსაკვეთად აქაც პარალელიზმის ხერხია გამოყენებული: ჯაჭვების გაწვრილებისა და გამთელების დაუსრულებელი მონაცვლეობა სიმბოლურად გაიგივებულია ზამთარ-გაზაფხულის ასევე დაუსრულებელ მონაცვლეობასთან, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ამირანის ხანგრძლივი ძილისა (ამას მიგვანიშნებს ეპიგრაფად მოტანილი ხალხური ლექსის სტრიქონი, „ადე, ამირან, რას გძინავს?“) და გაღვიძების დაუსრულებელ მონაცვლეობასთან.

ძილიც, ჯაჭვის გაწვრილებაც, ყინულიც („ტანზე აჰსხმია ყინული“) ერთ სემანტიკურ წრეს ეკუთვნიან და, არსებითად, ერთსა და იმავე შინაარსს გულისხმობენ, — სიკვდილს; ხოლო გაღვიძება, ჯაჭვის გამთელება და ყინულის დნობა („ჩამოხდნობოდეს ყინული“) ჰქმნიან საპირისპირო სემანტიკურ წრეს და საპირისპირო მოვლენასაც გულისხმობენ, — სიცოცხლეს.

მითოსური თვალთახედვით, ამირანი ყოველწლიურად კვდება და კვლავ ცოცხლდება (ზამთრისა და გაზაფხულის მონაცვლეობის ალეგორია). ის, რაც თქმულებისეულ ჯაჭვის გაწვრილებასა და გამთელებაში შინაგანად იყო ჩადებული, ახლა ღრმა აზრის შემცველ მეტაფორად იქცა, რათა ამ ფონზე უფრო თვალსაჩინოდ წარმოსახულიყო მარადიული გაზაფხულის იდეა და მისი ალეგორიული შინაარსი.

ის რაც „თორნიკე ერისთავში“ პირდაპირ გამოთქვა, მეტაფორული გააზრება შეიძინა „ამირანში“.

მართლაც საოცარი დამთხვევაა და ალბათ ერის სულიერი მოთხოვნილებით თუ აიხსნება, რომ ორ დიდ პოეტს ერთდროულად ამოაქვს ზეპირსიტყვიერებიდან ერთი და იგივე გმირის სახება და მსგავსი გააზრებით (თუმც მკვეთრად განსხვავებული მხატვრული ხერხებით) ქმნიან ერთსა და იმავე სიმბოლიკას, განმსჭვალულს ეროვნული თავისუფლების რწმენითა და სულისკვეთებით.

სხვათა შორის, ვაჟასეული მეტაფორის მსგავს მეტაფორულ გააზრებას მიმართა აკაკიმ დრამატულ პოემაში „მედეა“ (1895 წ.). ამ პოემაში არის გრძნობა ძველი მითოსის სულისა, შენიშნავს პავლე ინგო�ოყვა და თავისი თვალსაზრისის დასტურად ამირანის სახესთან დაკავშირებულ პასაჟს იხსენებს: „მითოსის შეგრძნებით არის აღბეჭდილი... „გაზაფხულის ბუნიობა“, როდესაც ზამთარ-გაზაფხულის მიჯნაზე შესწორდება დღე და ღამე, დგება ყამი, როდესაც — „არც ბნელს, არც ნათელს არ ჰსურს დაკლება, საზღვარს არც ერთი არა სცილდება“. „გაზაფხულის ბუნიობის“ ეს ღამე არის „ღამე ამირანისა“, როდესაც ყოველწლიურად ხდება ამირანის ჯაჭვის გამაგრება მგედლების მიერ. ამირანის ამ მიჯაჭვას, მგედლების საბედისწერო ოროს დაკვრას თითქოს ეხმაურება თვით ბუნება, რომელიც მღელვარებს და შფოთავს ბუნიობის სასწორთან, ზამთარ-გაზაფხულის მზღვარზე“.

და აქვე: როცა ამირანის სახის ასეთ სიმბოლურ-ალეგორიულ გააზრებაზე ვსაუბრობთ, უთუოდ დამფიქრებელია ერთი ვითარება: ამირანი არ კვნესის არც აკაკის „თორნიკე ერისთავში“ —

ჰქონდა ჭირში მოთმინება,
არც ჰკვნესოდა, არც ოხვრიდა;
უსამართლო ძლიერებას
მონურად ქედს არ უხრიდა.

და არც ვაჟას „ამირანში“

გულის მდნობელი ნაღველი
უხმოდ დუღს იმის მკერდშიო.

რადგანაც ვაჟა უშუალოდ თქმულების ქართულ ვერსიებს ეყრდნობა, ბუნებრივია ვიფიქროთ, ამ შემთხვევაშიც მათ კვალს მიჰყვება... ვერსიების მიხედვით კი ამირანი არც კვნესის, არც ბოდავს... მართალია, თვით ფშაურ ვერსიაში (თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი) ამირანი კვნესის — მონადირეს მოეხმის ერთი კლდიდან მისი საშინელი კვნესა და გმინვა — მაგრამ, როგორც გარკვეულია, თედო რაზიკაშვილს ეს ვერსია პირდაპირ ამ სახით კი არ ჩაუწერია მთქმელებისაგან, არამედ სხვადასხვა ვარიანტი გაუერთიანებია და, თანაც, სტილურად გადაუმუშავებია. ამ ვერსიას აშკარად ამჩნევია ინდივიდუალური შემოქმედების, გამხატვრულების კვალი; ხოლო რამდენადაც ამირანის კვნესა მხოლოდდამხოლოდ ამ სტილურად დამუშავებულ ვერსიაში გვხვდება და სხვაგან არსად, აქ ეს პასაჟიც იმავე გამხატვრულების ნაყოფი ჩანს.

ჰო, ვაჟა ქართული ვერსიების კვალს მიჰყვება ამ შემთხვევაშიც, მაგრამ რამდენადაც აკაკიმ პრომეთეს მითი ამირანის თქმულების ვერსიათა წრეში შემოიტანა, თითქოს უფრო მოსალოდნელი ის უნდა ყოფილიყო, რომ ამირანის სახისათვის პრომეთეს კვნესაც დაეკავშირებინა.

პრომეთე რომ კვნესის და მისი კვნესის ხმა შორს ეფინება, ეს ფაქტი ძველი ბერძენი ეპიკოსის, აპოლონიოს როდოსელის, საგმირო პოემიდანაც („არგონავტიკა“) დასტურდება.

„მცირე ხნის შემდეგ (არგონავტებმა) ღვიძლდაკორტნილი პრომეთეს გულგამგმირავი კვნესა გაიგონეს; ჰაერი გმინვას მანამ გამოსცემდა, სანამ კვლავ არ იხილეს სისხლის მწყურვალი არწივი, რომელიც იმავე გზით მოჰქროდა მთებიდან“.

როდოსელის ამ ეპიზოდს კარგად იცნობდა აკაკი, როშელიც დრამატული პოემის ერთ-ერთ წყაროდ „არგონავტიკასაც“ იყენებს (პოემისათვის დართულ შენიშვნებშიც ამირანის სახის ანალიზისას რამდენჯერმე იმოწმებს) და როცა მის პოეტურ ნააზრევში ამირანი არც კვნესის და არც ოხრავს, ამით აკაკი მკვეთრად უპირისპირდება ამ ცნობას, საერთოდ, ამგვარ წარმოდგენას. ასეთი მტკიცე თვალსაზრისის შექმნის მიზეზი, ცხადია, „ქართული ლაშქრის სიმღერის“ ერთიანი ბეროიკული პათოსია; ეს სიმღერა, არსებითად, მოფიქრებულია, როგორც ეროვნული ჰიმნი, ხოლო ეროვნული ჰიმნის თავისებურება პირწმინდად გამორიცხავს ყოველგვარ არაბეროიკულს, კერძოდ, მონუმენტური სახე-სიმბოლოს ნიშნად რაიმე ადამიანური „სიხუსტის“ არსებობას.

ის, რომ ამირანი შეიძლება კვნესოდეს, აკაკისათვის ამ თქმულების ეზოტერული (დაფარული) მხარეა. ეზოტერული მხარე კი — რაც რელიგიებისთვისაა ნიშანდობლივი, აქ კი მხატვრულ ხერხად გამოყენებული — შეიძლება იცოდეს მხოლოდ ადამიანთა ვიწრო წრემ და არა მთელმა ქვეყანამ, რათა საეკვო და საეჭვოსგან არავის არაფერი მოეჩვენოს. ეროვნული ჰიმნი, საყოველთაო სახე-სიმბოლო მხოლოდ შეურყეველ რწმენას უნდა აღვივებდეს.

აშკარაა, ამირანის სახის ეს ნიშანი ქმნის იმ საფუძველს, რასაც მისი გათავისუფლების ლეგენდა უნდა დაეყრდნოს.

და თუმცა ვაჟაც ასევე საგულდაგულოდ ნაღაბავს ამ ეზოტერულ მხარეს „ამირანში“ — რადგან ამ ლექსსაც მოეთხოვება თავისუფლების რწმენა მსჭვალავს — სხვა ლექსებში — „დაუსრულებელი კვნესა“, „სიზმარი ამირანისა“, და „ჩიტი-ჩიორა“ — სხვაგვარად ამჯობინებს. იქ უკვე ახალი ინტონაციები იჭრება, სკეპსისით განმსჭვალული, და ბუნებრივია, ეზოტერული მხარეც რამდენადმე გამხელილია.

„დაუსრულებელი კვნესა“ ერთი შეხედვით არ ეკუთვნის ვაჟას ამირანულ ციკლს, რადგან აქ ეს სახელი არსად გაიხმიანებს, მაგრამ მისი მხატვრული აღნაგობისა და პოეტურ სახეთა შესწავლა ჰბადებს აზრს, რომ ეს ლექსი არ უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი შინაარსისა: და თამაზ ჩხენკელიც გარკვეული ნიშნის საფუძველზე (ამირანის ხთონური ბუნების გამოხატვა) სამართლიანად აკავშირებს მას ამირანულ ციკლთან.

აქ ისიც საგულისხმოა, თუ როგორ შესჭიდებია ერთმანეთს ვაჟას შინაგანი განცდები: მთლად სააშკარაოზე გამოიტანოს თუ არა ამირანის სახის დაფარული მხარე; შესჭიდებია, რათა მოგვიანებით — სკეპტიკურ განცდათა მოძალების კვალდაკვალ („ამირანის სიზმარში“ გმირი ღვთისაგან მიტოვებულად რომ გრძნობს თავს და ჩივილსა და მუდარასაც აღარ თაკილობს) — ამ მხარის კიდევ უფრო მკაფიოდ გამეღავნების სურვილმა იძალოს.

ამიტომაცაა, რომ ლექსში „ჩიტი-ჩიორა“, სადაც ზამთრის პირზე გაძარცვული ბუნება მკვდარ ამირანსაა შედარებული (ტყე, როგორც გლახა, შეხაცოდა, ხოლო მინდორ-ველებს გულზე ხელები დაუკრეფიათ), თითქოს აქაც გადატანით, მაგრამ ეს ნიშანი მაინც უფრო მკვეთრად ცნაურდება —

ყველასგან მესმის
მე მხოლოდ კვნესა.

ეს „ყველა“, ახე რომ კვნესის, ტყე და ველ-მინდვრებია და, ამირანის სახესთან გათანაბრებულნი, არსებითად, ამირანის კვნესის ხმას გამოსცემენ.

დაფარული მხარე ახე თანდათან ილანდება დღის სინათლეზე...

თითქმის იმავე ხანს ჩვენი ხაუკუნის პოეტის ხილვებში სწორედ ეს ეზოტერული მხარე წამოიწევს წინ მკვეთრად, სწორედ ეს იქცევა ამ პოეტურ ხილვათა ძირეულ აზრობრივ ბირთვად.

გალაკტიონი ამ თვალით ალიქვამს ტანჯული ხაქართველოს სიმბოლოდქცეულ მითოსურსა თუ ეპიკურ გმირს: მისთვის ამირანი თვალით უხილავია, კვნესით უნდა გამოიცნოს მისი არსებობა. და თუ ვინმეს მისი მოძებნის ხურვილიც აღეძვრის, კვნესის ხმას უნდა მიხდოის და ისე ეძიოს.

ამირანის ძებნის მოტივის — უფრო ზუსტად: მისი (ამ მოტივის) ჩანასახობრივი სახის — გაჩენა ჩვენს მწერლობაში გალაკტიონის სახელს უკავშირდება (იხ. ჩემი წერილი: გალაკტიონის ამირანი. „მამული“, 1990, № 10.).

საგულისხმოა, რომ გალაკტიონის „მშობლიური ეფემერა“, რომელშიც მთელი სისავსით გამოიკვეთა ამირანის სახის ეს ახლებური გააზრება, აზრობრივადაც და მხატვრულადაც ხათავეს სწორედ ვაჟას „ჩიტი-ჩიორადან“ იღებს (ეს საგულისხმო პარალელი ემზარ კვიტაიშვილმა შენიშნა)...

ის მღელვარე განცდანი, რასაც თვითოეული ჩვენგანის არსებაში იწვევს ამირანის სახელითა და მისი ბედის ყოველი გახსენება, აკაკისა და ვაჟასგანაა დავალებული, მათგან გადმოგვცემია მემკვიდრეობად, მათ განმსჭვალეს ჩვენი ეროვნული ცნობიერება ამ სიმბოლიკით ისე, რომ ქვეშეცნეულად ამირანი ჯერ კიდევ ბაშინ არ თავსდება ჩვენი წარმოდგენით ზღაპრული გმირის ჩარჩოში, სანამ სიმბოლიკის დედააზრს, მას ალეგორიულ შინაარსს ჩავწვდებოდეთ.

ᲗᲔᲓᲝ ᲑᲔᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲚᲘᲠᲘᲙᲐ

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ცხოვრებას ბინდი ეცლება,
დგახარ სამოთხის კართან...
ყველაფრის ნება გეძლევა —
თავისუფლების გარდა!

ნერვთა დაჭიმულ ძაფებით
უმზერ სანუკვარ სურათს
და ვიდრე დაეწაფები,
ქვებზე გიმსხვრევენ სურას!

წყაროს წითელი ურჩხული,
ვინ დაუყენა მცველად?
შენი ყვირილი — ჩურჩულად
გადადის მთა და ველად...

ასე გვტანჯავდა ურჯულო,
ასე გკლავდა და გთხრიდა,
ცეცხლისგან შემორუჯული
ჩანდი ოთხივე მხრიდან...

ბედი, თუ ესეც ბედია,
ეს ბედი გერგო წილად...
ათას გიჟსა და ბნედიანს
აცოფებს შენი დილა.

აწ შუქი მოჩანს ცხოველი,
გადაწეულა ფარდა...
ნებადართულა ყოველი —
თავისუფლების გარდა!

ᲓᲐᲑᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ

დაიმშვენა უკვე არემარემ
მოყვავილე, მოხასხასე ფარჩა.
ეს მაისიც მიილევა მალე,
მაგრამ, ვაი, გაზაფხული არ ჩანს!

თუმც დროშები ვარდებივით ჰყვავის,
თუმც ზარებიც გუგუნებენ მარშად—
ლამის ყულფში გავუყარო თავი,
საქართველოს გაზაფხული არ ჩანს!

ᲖᲐᲠᲖᲛᲘᲡ ᲕᲔᲓᲠᲔᲑᲐ

ზარზმა და ჯვარცმა...
ფერნაცვალი უფლის კარავი,
ხმება ტაძარი,
როგორც ტყეში მუხა ზეხმელი...
მაცხოვარს მკერდში
უსასოო ჩაუკრავს კრავი,
შეკრთება მყისვე,
როცა კედლებს ხელით ეხები.

აქ ძველი ქართლი ჩანავლულა,
შანდალზე სანთლად,
მიმწყდარა ხმობა
ზარების და ზანზალაკების...
მიწად მიიწევს
აწ ტაძარი სიმაღლის ნაცვლად,
ერთ დროს ამაყი
და ნაცადი ხელით ნაგები.

ნავლიღა მოჩანს,
ძველი ცეცხლის ჩანაცრებულის.
აღარ საკმევლის სურნელება,
ჩაქრა სანთური...
დგას ახლა, როგორც
გოლიათი დამარცხებული,
მზერას არიდებს დრო,
გულგრილი და უმადური.

ივიწყებს უკვე
ვინ ააგო, ვინ ააშენა,
ვინ დაამშვენა
ჩუქურთმებით, ფერად ფრესკებით.
დგას ახლა იგი
გარდასულის მეტყველ ნარჩენად,
დასდუმებია ზართა ზრინვით
სავსე ზესკნელი.

კედლებს ასკდება
დანესტილი ძველი ფრესკები,
ქრება სახელი
სამცხის ამაყ ფეოდალების.

ადგას გვირგვინი
დავიწყების ბასრი ეკლების,
მაღალი შუბლი
ებზარება შავი ბზარებით.

მესმის მუდარა:
„არ იღება კარი დახშული,
სანთლების ალით
აღარ შრება ჩემი კედლები!
მუდამ მგლოვარი,
უმრევლობის დარდში დანთქმული —
ზეცავ, ქართულო,
შენ მოგმართავ და გევედრები:

მოჰმადლე ქართველს
მახსოვრობა თავის წარსულის,
მოჰმადლე ნიჭი პატრონობის,
ფესვების მოვლის,
ერთად შეჰყარე
გაფანტული და დაქსაქსული,
შენ აღადგინე,
აღმდგენელო, ამ ქვეყნად ყოვლის!

დათვლილი არის
დღენი ჩემი ამ მზის ქვეშ მყოფი,
მე აღარ შემწევს ძალი,
ძალთა კვლავ განახლების,
ვნახე ზეიმიც
და სიმუხთლეც ვიგემე სოფლის,
აწ ვალმოხდილი,
ქართულ მიწას მივეახლები!

მე წამსვლელი ვარ,
მარადიულს — მას ერთს — მიხედე!
მას, ვისზე ლოცვით
ივსებოდა ჩემი თაღები!
მე არას ვითხოვ,
მას მოჰმადლე მხოლოდ სიკეთე,
მადლით დაყურსე
განძარცვული მისი ბაღები!

ქვითკირი ჩემი —
წინაპართა ოფლით ნაგები —
უკვე მერღვევა,
მეთხოვება ქართლის მთა-ბარი...
მე ხომ არაფრის
იმა ქვეყნად არ ვარ წამღები —
არ დაანგრიო
საქართველო — ნადუღაბარი!“

ᲘᲨᲕᲐ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ

იშვა ნათელი!
შორი ბეთლემის
მღვიმე განათდა შუქით უხრწნელით!
განედლდა ყლორტი გასანედლები,
ხე შეიმოსა, მწვანე ფურცელით.

უწყოდი, დედავ,
რომ იყო იგი
ყველა მოკვდავის ცოდვის
მტვირთველი,
რომ ეკლისაგან მოქსოვილ გვირგვინს
თავს დაიდგამდა შუბლი შიშველი?

რომ კაცთა შორის ყველაზე ნეტარს
მიეგებოდა მისაგებელი...
საოცარია, რას გრძნობდა ნეტავ,
გული დედისა, ყოვლისმხედველი?

მოიჩქაროდა ყოველი მხრიდან,
თვალანთებული მოგვთა კრებული,
ხოლო ქალწული თვალს დაბლა ხრიდა,
უკვე ნაგრძნობით გაფითრებული...

თითქოს სამყაროს უხმობდა შველად,
ავსილი შიშით და ჟრუანტელით,
რადგან ხილულად ხედავდა ყველა,—
იშვა ნათელი! იშვა ნათელი!

●

ღრუბელი მოიგრაგნება,
აეფარება ალიონს,
ბნელში ბილიკის გაგნება,
გაგიჭირდება ძალიან.

მეხი წამოვა ქუხილით,
ელვა დაბზარავს ცის თავანს,
რომ ვეღარ ნახავ უხილავს
მაშინ რას იზამ, ღვთისავარ?

ცოდვის ლიაში ჩამდგარო,
ვინ გამოგიყვანს უვნებლად?
სნებაშეყრილი სამყარო,
რა წამლით განიკურნება?

სული ეშმასგან ძლეული,
როგორ იპოვის მშვიდობას?
ნუთუ არ გიგრძნობს სხეული,
რატომ არ შეჰკრავ კიდობანს?

ᲨᲔᲛᲒᲐᲠᲐᲕᲐᲓ ᲩᲐᲘᲐᲠᲐ ᲓᲠᲝᲛ

შემპარავად ჩაიარა დრომ,
გაზაფხული გაიყოლა თან.
დგას ზეხმელი ალვის თეთრი ზრო,
ვეღარ მალავს გაშიშვლებულ ტანს.

გული უფრო მეკუმშება დღეს,
ოდეს ხსოვნა ლავასავით დუღს,
ოდეს ჭკნობაშეპარული ხე,
ჩამოყრილი ფოთლებისთვის წუხს.

უკვე ზეცა დაწეულა ძირს.
ვეგუები უშენობას, კრულს,
შენთან მინდა. უშენობა მჭირს.
ერთადერთი შენ აკლიხარ გულს...

აბა, სხვას რას წაიღებდა დრო —
შენს გამოა თვალს რომ ცრემლი
ჰბანს.
დგას ზეხმელი ალვის თეთრი ზრო,
ვეღარ მალავს გაშიშვლებულ ტანს.

ᲣᲫᲘᲚᲝᲑᲐ

ვის შეუძლია
გაიგოს სრულად,
რა კოშმარები
აშრება ბალიშს,
როცა ყოველი
მოხუჭვა თვალის
ნიშნავს მომდევნო
საზარელ სურათს?

შუქი ჩამქრალი
ატყუებს მავანს,
ატყუებს ღამის
მშვიდი დინება...
ღმერთმა მაღალმა
ასე ინება,
აქ უნდა დუღდეს
ტკივილის ლავა...

აქ უნდა ბოლით
დილამდის ბოლო
დაკეტილი ᲥᲔᲜᲣᲚᲘ
წრიალი, ბორგვა,
რადგან არ ᲛᲘᲗᲔᲥᲐ
თავი და ბოლო
ცხოვრების
ავად დაბურდულ გორგალს.

რადგან ვილაცა
გივსებს სამსალით
ათასჯერ დაცლილ
ჯადოსნურ სურას,
რადგან ყოველი
მოხუჭვა თვალის
ნიშნავს მომდევნო
საზარელ სურათს!

●

თქვენ,
ვისაც ამა საწუთროში,
ამაო ფიქრი,
შემოგჯარვიათ,
ვით ბებერ ხეს
ეხვევა ფითრი —

მეოცნებენო,
სკიპტრებისა
და უკვდავების,
დაიღეთ დაბლა
აღერილი თქვენი თავები.

და დაინახეთ
(თუ მზერა არ დაგებინდებათ),
დროს როგორ მიაქვს
გაფუყული ყველა დიდება...

●

ჩაკარგული ვარ ამდენ ტკივილში
უკვალოდ, როგორც თივაში ნემსი.
მერეხის ხმაში, ქარის ხვივილში,
ვინ გაიგონებს მღერი თუ კვნესი!

გაღწევას ლამობ. გული არ იშლის —
მიეხეტება უღრანში ბავშვი...
სიმშვიდის ლოგინს ვინლა გამიშლის,
მოუშორებელ ეჭვებით დაშლილს!

მოდი, ყორანო, შენი ჯერია,
ჩამოჰყევ სერებს ფრთის დაცერებით,
ხელში მახვილი არ მიჭერია,
გულგრილად მმზერენ გლუვი სერები...

მოდი, ყორანო, ფრთების შხივილით,
უცდომელი გაქვს ალღო და გეში...
დროა, დამშვიდდეს ყველა ტკივილი—
სული ცას დარჩეს, მიწას კი — ლეში!



ᲐᲠᲜᲝᲚᲓ ᲕᲔᲒᲔᲤᲙᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

რეზო ჭეიშვილი

ალერი საღდანია

ბაბუაჩემი ვლადიმერ დიმიტრის ძე ეკიშელი მოსკოვში ცხოვრობდა. ქუთაისელი კაცი მოსკოვსა ვერ გადაეგარა, თუმცა ბარე ხამიელი წელი იყ ბაადარა, ეკიშელეები რუსეთში კი არა, არგენტინაში ცხოვრობენ და ბაბუაჩემის გამოსკოველებში არაფერი განხაკუთრებული. რეკოლუციის ერთმა ტალღამ, კოლხეთის დაბლობის ხამეკუნოდის წვერიც რომ მიიღოდა, გაათინა იგი ხამშობლოდან; გაუვა ზღაში წყალს, სრულიად ახალგაზრდად მიატოვა ცოლ-შვილი, ბაქაქიერი და ხანთეხაო. იცოცხლა დიდხანს, გარდაიცვალა მაინც იმ ხანლში, ხადაც დაიბადა; დაიმარხა შუა ქვაცერის ხასაფლაოზე. წინაპარია ბევრდიდი, ცორიელი ბაკიდა, ცარიელი დაბრუნდა მიძინებიხას და ხამარეზეკი, რაც ხაუნეთი ბუნებრივია, არაფერი ჩაბუოლია. უკეიინათო, ბოლანგელი, ხაზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის რეხაეკენახეელურიც. ადამიანებთან, გამორჩეული ქალეთან, ოიილი ურთიერთობის უნარს ამეკალნეიდა და თავის დარეკნა უცნოეთშიც არ უკრიდა. ერთი ხანობა შუალადა კრიმლეში. ეირადდა იცნობდა: ხტალინს, ორკონიკიძეს, ეხუკიაეს, ბუხარეკუსს, გამარნაკს, ბუდიონის, უნდა ვიგულისხმოთ, — ეოროშილოვს და ხეკუბნაკ. ხამკერ, დაანლოცთი ერთისადამავე თანამდებობაზე ეპილ ეხუკიძის ხელდასხმი მოეწყო კრემლში და ხამკერეე ერთნარად, ხაკუთარი დაუდევრობითა და ხხვისი ხელისწკავრით დატოვა ეკოეორობა; ხაბოლოოდ შერჩა ვაკრობას, მისი წარსულისა და რეპუტაციისათვის არც მოლად სახახელო ხაკმეს. უცნაურ, დაუკერებელ ამბებს თრობდა ხიბერეზი, ხანიდათი ეპიზოდებს (ხტალინი ცოცხალი იყო) ეხსენებდა კრემლის ბინადართა ცხოვრებიდან. ორკონიკიძემ თავი მოიკლალა, ამტკიცებდნენ. კომუნისტი შვილები მარტო ამის გაგონებაზე კარავდნენ ფერს, მეორეც ეგ სიხულელე არ ბაიმეორთო, ჯერ-ჯერობილ ტტოდა, ეხეკ ბანაბა მუშლადა კრემლში. ეხუკიაეს, ეხუკიაეს, ამ ბერ ვირის თავ-ფეხი მრჩება, რისთვის მოვედი ალი. მხალოდო, ლენინ გაბიბარეკედ. ოორმე, ვერ მტკრებთა ვართ ვარეკმოცეული, ბტრეზ, გაროული და ზინაური არ გვაძლევენ ბედნიერი და ნორმალური ცხოვრების საშეალებასა. მეუშები რომ ეკეორიდნენ, ეინაა ჩვენი მტრეზიო, ალალინს ბარათი ბეკეზეკეა ლენინისაოვის: მინა რომ მიწის მეშას მიეცი, ვარსანა ვარსნის მეშას რომ დაეოდეკ. ჩვენ რას გვეპარეკ, ეკრიელ ვაკრეკეს ოავი. ეს რა მიეო სპორტსეზენ კაკი, ბეიოკ ანა ბაკარეკეზეზე მუცლათ გაეოდილიმა.

ორკეკეზეა იკეა. ხახეეზმეკიმარი ახალგაზრდა ბძლილის ბეკრედთ იეო მოკალთეეული. ნაინმ, ბეზხიერებედან ძალად ამოგდებულ ზენობაზი ეეიეკანენ და მიხვდა, ედდან რომ არა ეეკრანი რა. ჩაუარეს ხალდათეზს, ბორიკეკ, ბანაეულელ, ეეოთლად მოფარგებულ ეკონიბარეზეზი გაჩერდნენ. დაკმეკნელი ქუდი ბაახეორა დიდი მინდოდმეკთ. ეკეკ ვერ ინეკავლი, ბოძ, ამ ხნის კაცმა! ჩაუარა ეიოცამ, როცა ბინამ ქუდი კარგად მოიგო თავზე. ბკეთხდამრიგებელი ბკეკრა, ბომცილებლებიც ალარ ჩანდნენ. ეაპაროსი ამოიღო, მიიეედ-მოიხედა და უკეთხვად ბაბბოა. ეოცეა ხნის შემდეგ ჩამოეეურდნო ტახრის გამრის, ეეთვლიმა და მოეჩვენა, რომ იდგა ბანკის ხალარხთან, ხადაც იგი არ იყო ნამყოფი.

„რაც მთავარია, დედა ცოცხალია!“

სხვაზე არ უნდოდა ეფიკრა და ვერ ახერხებდა, სხვა ფიკრი არ ეხსნებოდა, არ ანებებდა თავს. ნოეთე თავიდან იწეებოდა ყველაფერი. თანდათან ინიკრძეკანებდა, რა ჯირდა და ზეოოთვა ეკეატენოდა. ცხელოდა, ღია კარიდან ღია კარი და კარაგარეზელ ნახეკარი მორიგე ჩანდა. ნახეკარმორეზეს—ეეთ კიდეე იყო ღია კარი, ხადაღაც ყოფილი რეხაუბლიკის ქეეს, ყოფილი გუბერნატორის კანცელარიის ზენობის თეთრნინფერი ყიდელი ილანდეზოდა. მინა ფხიზლდებოდა, ალალ ეეარო ხზორად ეეეურებდა ქიდლის ხალეკ ეროლის ინრები ტაატი, მაგრამ ზეეკოკოდან მიჩინაკდნენ ეკნ. მიდიოდა ზეთენენაკე და მინა იდგა ზენობაზი, რომლის ხახელის ხნენებაკ არ უნდოდა.

„არ ჩამოკეულიეკ ნეტა თუ ინეკ ეს დღე მეელოდა!“

ახლა ეეარო ნათლად აზოოვნებდა, ეეარო ნათლად ჩანდა ხვრეკი ღია კარებებიდან. პირველი გამეკლილიკ ყალილაკ. პირველს მეორე მიეკა. მიდიოდნენ თავეკლეულნი გამეკლილნი ხიხხმეზე. მორიგეს მეკვანენკანალი ქუდი ჩამოდიოდა თავიდან და ინეკ უკან ბრუნდებოდა.

დილით დუეძახეს.

„— არაფერი არ მახსოვს!..“ ეეზადებოდა ხაპახუზოდ, კიბეზე რომ ეყავდათ.

„დაგავიწყდა ეეზნ?!“ — ბკითხა ბამენთეეეზ თანამშრომელმა, „ეაკარა ხარ, ეეზნ?!“

„ახხა-ვინმარტეხაკ არ დამაწერინეს!“ უკვირდა ეეზნ მოხულს. „რაღაცას მიმზადებენ, ან რაღაცაზია ხაკმე!“

ხაკმე კი მართლაც „რაღაცაზე“ იყო. ნაეზადილეკ მოკნარებით ალალ გაზეთი „კომუნარი“ და ხანამ გაეზლიდა, ხაინფორმაციო ცნობას ეოკრა თვალი პირველხავე გვერდზე. მოკეხნთან ალალ ბეკალაკ ხაკარ თვალის ეარეკეზეზე. ეეარეზეზ. ეეარ ეარ ეეარ ეეარ ე

მითი მარქსის შესახებ

...

...გზა, რომელზეც ვსხედვართ (sic), სწორია. ამისათვის ჩვენ დიდხანს და მხურვალედ უნდა გვიხდიდეს მადლობას ყველა. ჩვენ ვსხედვართ იქ, სადაც შესაძლებელია ადამიანისაგან ისინი, ცოტათი ადრე რომ მოეკიდათ ხელი მარქსისთვის და მაგრად შეესწავლათ თეორია", — ეს სიტყვები მიხეილ ყვანეცკის ეკუთვნის, კაცს; რომელიც თავისი სატირული თუ უფრო სატირელი იუმორით ცხოვრებას გვიმსუბუქებს, შეღავათს გვაძლევს.

ცნობილმა ინგლისელმა ფანტასტმა, ჰერბერტ უელსმა დაიჯდა — ოდესმე მაკრატლით შევიარაღდები და დავწერ მარქსის წვერების შეჭრის თაობაზეო. დანაპირები ვერ შეასრულა. შესაძლებელია, ვერ მოიცალა, ანდა ამ საქმისათვის მეტად სერიოზული კაციც გახლდათ და ხელი არ გაისვარა.

არ ვიცი, წარსულს სიცილით უნდა გაგოეთხოვოს კაცობრიობა თუ არა, მაგრამ ნათელია, ამჟამად მარქსთან, მარქსისტებთან სერიოზულ კამათს, ალბათ, აზრი არა აქვს. იუმორისტული სუბარია უმჯობესი. აღნიშნულის დადასტურებაა ის დიდი პოპულარობა და მხარდაჭერა, რასაც თამაზ წიგნიგაძის „მარქსისტულ" წერილებს ხვდა წილად ფართო საზოგადოებაში. ხალხი იღვიძებს, ახლებურ აზროვნებას იწყებს.

ჩემთვის დიდად სასიხარულო იყო, როდესაც გასულ წელს ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიას ახალგაზრდა დიპლომანტმა გაბედულად განუცხადა — ყოველივესთან ერთად მარქსს მისი მოძღვრების ამორალურობაში ვდებ ბრალსო. ცხადია, არ იყო ეს დასკვნა ორიგინალური, მაგრამ მისასალმებელი იყო დიპლომანტის გამბედაობა, რამდენადაც მისი ბედი დამოკიდებული იყო საგამოცდო კომისიის წევრთა მისთვის უცნობ თვალსაზრისზე. სასიხარულოა, რომ ახალგაზრდობა ცოცხლად, გაბედულად აზროვნებს, სხვა დროა და არც ეშინიათ ნააზრევის გაცხადების.

მარქსი ისტორიის ბებიაქალად რევოლუციას მიიჩნევდა და რადგან მისი მოძღვრება საზოგადოების განვითარების ახსნის ერთადერთ სწორ მსოფლმხედველობად ჩავთვალეთ, ამიტომ საბჭოური ისტორიოგრაფიის და, ცხადია, არამარტო ისტორიოგრაფიის, სფეროში გაბატონდა ხოტბა და აპოლოგია ძალმომრეობის, სისასტიკის, ნგრევა-განადგურების. მადლობა ღმერთს, ჩვენში ასეთები არ იყვნენ, მაგრამ რუსულ ისტორიოგრაფიას ცაში აყავდა სტეკა რაზინი, ემელიანე პუგაჩოვი და ძმანი მათნი (ამ ბოლო პერიოდში რუსულმა ისტორიოგრაფიამ მოახდინა პუგაჩოვის ნამდვილი ძმის, ფროლკას, რეაბილიტაცია).

შემდეგ განავითარეს მარქსიზმი. თუმცა, ამ საკითხს, ერთგვარი კომენტარი სჭირდება. — ცამდე მართალი იყო გრიგოლ რობაქიძე, როცა ზღვარს სდებდა მარქსსა და ლენინს შორის. ლენინისადმი მიძღვნილი მისი წერილი ბოლშევიკების მიერ დაპყრობილ თბილისში იყო დაბეჭდილი და რობაქიძემ ვერ დააკონკრეტა, რისი თქმა სურდა. აქვე უნდა დავძინო, რობაქიძის გარდა სხვაც მრავალი დიდ ზღურბლს სდებს მარქსიზმსა და ლენინიზმს შორის.

მარქსის მოძღვრების ზოგიერთი ძირითადი დებულება იმთავითვე დიდად საშიში იყო. პროლეტარიატის დიქტატურის მავნე იდეას საბუთიანი დამაჯერებლობით აკრიტიკებდა მარქსის ერთ-ერთი ძირითადი ოპონენტი ბაკუნინი. ამ ბოლო დროისათვის ისიც გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, რომ რუსეთის იმპერიის ჩამორჩენილობის გამო, ვერა ზასულიჩისადმი გაგზავნილ წერილში, მარქსი თვითონ არ მიიჩნევდა შესაძლებლად, რომ მის მსოფლმხედველობას რუსეთში განეკვლია ხორცშესხმა. შემიდეგში მარქსს ვეღარავინ დაეკითხებოდა და მისი საქმის გამგრძელებელმა სწორედ რუსეთში დაამყარა კომუნისტური ხელისუფლება, პროლეტარიატის დიქტატურა. „რუსეთს საშინელი კატასტროფა მოუვიდა, იგი ბნელ უფსკრულში შთაინთქა", — ასეთი კვალიფიკაცია მისცა რევოლუციის შედეგებს დიდმა რუსმა მოაზროვნემ ნ. ბერდიაევმა. ბუნებრივია, ცივილიზებულ ევროპაში, ამერიკაში მარქსიზმმა ვერ გაიმარჯვა, სავსებით ლოგიკურია, ვერც გაიმარჯვებდა. ვერ გაიმარჯვებდა, რადგან ხელყოფდა ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებას, ილაშქრებდა კერძო საკუთრების ინსტიტუტის წინააღმდეგ, აპირებდა დდემსხვრია მოწესრიგებული, თაობათა მიერ შექმნილი ადამიანთა საზოგადოებისათვის მისაღები სახელმწიფოებრივი ორგანიზმი.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რუსეთში მარქსიზმი, განსაკუთრებით კი მისი ლენინურ-ბოლშევიკური ნაირსახეობა ციდან არ ჩამოვარდნილა. „ბოლშევიზმი გაცილებით უფრო ტრადიციულია, ვიდრე მიღებულია ამაზე ფიქრი", — წერდა იგივე ნ. ბერდიაევი, იგი ეთანხმება რუსული ისტორიული პროცესის თავისებურებებს, მოხდა მარქსიზმის რუსიფიკაცია და ორიენტალიზაციაო.

ახლანდელ სიტუაციაში მარქსიზმის, ლენინიზმის დამცველები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მარქსიზმი ის არ არის, რაც დღემდე გვეგონა, რომ ლენინიზმიც სხვა რამ არის, რომ სტალინმა, მისმა სხვა მომდევნო კომუნისტურმა ლიდერებმა გაამრუდეს „კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ მიმავალი ნათელი გზა".

ამჟამად დისკუსიები ეძღვნება პრობლემებს: იმის შესახებ თუ როგორი იყო მარქსიზმი გუშინ, როგორია დღეს და რა პერსპექტივები აქვს ხვალ (იხ. ჟურნალი „ლათინური ამერიკა" № 5, № 6). დღესაც ჰყავს მარქსიზმს მრავალი თავწამკვდარი დამცველი. ზემოთ აღნიშნულ დისკუსიაზე მუშათა საერთაშორისო მოძრაობის ინსტიტუტის თანამშრომელმა, ფილოსოფიის კანდიდატმა კ. კანტორმა პათეტიკურად განაცხადა—„აკაბრიობის ხომალდის კაპიტნები მარქსის იდეალის ვარსკვლავეთის მიხედვით აიღებენ გეზს ხვალინდელი დღისაკენო". მანვე შეადარა მარქსის უარყოფა ქრისტეს შესაძლებელ დაუშვებელ უარყოფას რენესანსისა და რეფორმაციის ეპოქაში. თქვა, რომ მარქსიზმი „კაპიტალში" გადმოცემული მსოფლმხედველობაა, იქ კი პროლეტარიატის დიქტატურაზე, კლასების კვდომაზე და ა. შ. არაფერიაო ნათქვამი.

მართლაც, ძალიან ძნელია ლაპარაკი ერთიან მარქსისტულ მსოფლმხედველობაზე, მითუმეტეს, „კაპიტალის" გულდასმით წამკითხავი, მისი შინაარსის გამგები არავინ ჩანს და თუ რმე ნუ იტყვით, წიგნი მარქსსა და ენგელსსაც ვეღარ გაუგიათ სრულად.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელად ბევრ ახალ რამეს იგონებენ ერთადერთი სწორი მოძღვრების აღმსარებელნი. თურმე უკურნებლად დაავადებულ პროლეტარიატის ბელადს იმ დროს, როდესაც კაცმა არ იცის, რა დონეზე იყო მისი აზროვნება, თვალებზე ლიბრი აეხადა და მან სხვა გზით სიარული გადაწყვიტა. ლენინს რომ დასცლოდაო, ლენინი რომ ცოცხალი იყოსო... აგრესიული ათეისტები — მარქსისტ-ლენინელები პირდაპირ მისტიკაში გადავარდნენ.

საზოგადოების საფუძველია მისი დამოკიდებულება საკუთრების ფორმებთან. ეფემერულ, უპირობო ე. წ. საერთო-სახალხო საკუთრებას არ შეეძლო შესაბამისად ერთგვაროვანი ტიპის პოლიტიკური დესპოტიები არ წარმოექმნა. სათავეში ამ ტიპის სახელმწიფოებს მეტნაკლებად ერთგვაროვანი ტიპის ხელმძღვანელ-ბელადები წამოაჯდნენ. არ არსებობს არავითარი სტალინიზმი. სავსებით მართებული, რეალური შინაარსი იდო ლოზუნგში: „სტალინი — ლენინია დღეს" (დროდადრო ლენინზე უფრო ლენინი იყო). გაპობილი ვაშლივით ჰგავნან ერთმანეთს კომუნისტი დიქტატორები და თუ ადრეული ხანის ცრუ კერპებს სისხლში ჰქონდათ გასვრილი ხელები, შემდგომმა თაობებმა მოძღვრება „განავითარეს" და ჯორ-საკიდებელიც არ დაიკლეს, ოქროში და თვალ-მარგალიტში ჩაეფლნენ. ჩვენს პრესაში გაუთავებელი, ალბათ, სამართლიანი ლანძღვა-გინება არის სომოსასი, დიუვალიეს, პინოჩეტის... მაგრამ მხოლოდ და ისიც კანტი-კუნტად, გამოჩნდა ცნობები იმის შესახებ თუ რას წარმოადგენენ პოლიტიკური მოსტრები კიმ ირ სენი, ფიდელ კასტრო. გავიხსენოთ დიდებული კომპანია: ჩაუშესკუ, ჰონეკერი, ქიკოვი... მათი წინამავალი დიმიტროვი, პიკი, ჩერვენკოვი...

მცდარ დიქტრონალურ საფუძველზე აგებული საზოგადოება არ შეიძლება არ ყოფილიყო აღვირახსნილი დესპოტიის თარეშის ასპარეზი. კაცობრიობას ამის შესახებ მრავალი გონიერი მოაზროვნე ამაოდ აფრთხილებდა (ბაკუნინი, პლეხანოვი, კოროლენკო...). დიდი ილია ნოე ჟორდანიას „რუსი მარქსისტების თვალაბმულ თუთიყუშს" უწოდებდა მისი მარქსისტული დოქტრინებით ქაოში გატაცების გამო. ჩვენში ჯეროვნად ჯერ კიდევ დაუფასებელი, დიდი დრამატურგი პოლიკარპე კაკაბაძე ცხადია, პიესის პერსონაჟის პირით ამბობდა: „სოციალისტები (ალბათ, სურდა ეთქვა, კომუნისტები — ჯ. ო.) იმაზე ამბობენ მართალია, რასაც ამბობენ [illegible] ...ოდა [illegible] ...ოლოდა [illegible] ...ენ [illegible] ...ენ [illegible] ...ენ

განვიკითხოთ თუ მოვინანიოთ?

მარქსიზმისადმი, როგორც ხულიერი ხამყაროს ცენტრისადმი.

მანცვიფურებს, თითქოს ჩვენი დღევანდელი ხაუბარი მიმდინარეობდეს ისტორიულ ვაკუუმში. ჩვენ დაგვავიწყდა, რომ ხულ ახლახან, რამდენიმე თვის განმავლობაში დაემხო აღმოხავლეთ ევროპის თითქმის ყველა მარქსისტული, ხოციალისტური ხახელმწიფო. განა იმას, რაც მოხდა ამ ქვეყნებში კავშირი არა აქვს ჩვენს ხაუბართან? ყოველივე, რაც ხდება ან იქ და რაც ხდება ჩვენთან, ადასტურებს, რომ კარლ მარქსის მცდელობა, მოგძენა რაიმე ფასეული ალტერნატივა ტრადიციულ ღირებულებათა და ინსტიტუტებისათვის, ხავსებით ჩაიშალა. მარქსისა და მისი მოწაფეების შეტევა მორალის აბსოლუტურ ნორმებზე, ბაზარზე, კონკურენციაზე, კერძო ხაკუთრებაზე, ოჯახზე, ხახელმწიფოზე, ერზე ხრული მარცხით დამთავრდა. ის, რასაც მარქსი პიროვნებასა და შრომას შორის გაუცხოების ფორმებად მიიჩნევდა, ხინამდვილეში იყო და არის ძირითადი ხაურდენი ცხოვრების, ადამიანთა ცივილიზაციის. ეს ხაშინელი შეცდომაა მეცნიერისათვის, რომელიც გულწრფელად მიიჩნევდა თავს ხერიოზულ მოაზროვნედ. მარქსმა დაიბრმავა თავი იმის მიმართ, რაც არხებობს, რაც ადამიანებმა ისწავლეს და იცოდნენ მის დრომდე. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაუკავშიროთ ჩვენი მომავალი კ. მარქსს. ეს მეცნიერი — წინააღმდეგია ყოველივეხი, რაც ახლა გვაკლია. იგი წინააღმდეგი იყო ზოგადკაცობრიული მორალის, რელიგიური გრძნობის, ხელისუფლების დაყოფის პრინციპის, კონკურენციის, პიროვნების უფლებათა და თავისუფლების, კერძო ხაკუთრების. ვურჩევ კ. კანტორს კიდევ ერთხელ წაიკითხოს ტექსტები კ. მარქსის შრომებისა: „ებრაელთა ხაკითხისათვის“. „ჰეგელისეული ხამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის“ (შესავალი) და იგი დარწმუნდება, რომ კარლ მარქსი იყო მოწინააღმდეგე ქრისტიანული კულტურის ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის, იგი იყო მოწინააღმდეგე თითოეული პიროვნების სრული აბსოლუტური ხულიერი ხუვერენიტეტის.

და კიდევ ერთი პრობლემა. ყველა ლაპარაკობს მარქსზე და მარქსიზმზე, მაგრამ მეტად აბსტრაქტულად. კი მაგრამ, მარქსიზმი არაუდროს ყოფილა ერთიანი მოძღვრება. ბერდიაევი პოულობდა მასში სამ, ბოლომდე გაუნივთებელ ელემენტს: მატერიალისტურს, პოზიტივისტურს, იდეალისტურს და რელიგიურ-ესხატოლოგიურს. მინდა თქვენი უურადღება მივაპყრო იმაზე, რომ მარქსთან არის მეტკვიდრეობა ხოციალისტი ფურიესიც და კომუნისტი ბაბეფისაც.

რა არის მნიშვნელოვანი და არსებითი მარქსში? ვფიქრობ, რომ ოილი არ არის პასუხის გაცემა ამ კითხვაზე. ჩემი თვალსაზრისით, მაინც მარქსი უპირველესად ყოვლისა იყო რევოლუციონერი, ბაბეფისტი, მან დაუმორჩილა რევოლუციურ მიზანს თავისი მოძღვრებაც ზედმეტი ღირებულების შესახებ და თავისი მოძღვრებაც კლასთა კვდომისა. ნორმალურმა ელემენტმა არსებითად გამოდევნა მეცნიერული, მოახდინა მისი დეფორმირება. კამათი არაფერს მოგვცემს, ვიდრე არ გავარკვევთ რომელ მარქსიზმზეა ლაპარაკი. ჩემთვის ნათელია, რომ ზედნაშენი, პოლიტიკური დასკვნები და რეკომენდაციები კარლ მარქსისა სრულიად მოძველდა. ისინი, კერძოდ მისი მოძღვრება, პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, იმთავითვე ყალბი იყო, კრიმინალური გემო დაჰკრავდა. რა თქმა უნდა, ყოველთვის შეინარჩუნებს კულტურულ ღირებულებას მისი მცდელობა შეექმნა გამთლიანებული ხედვა ისტორიული პროცესის, ხოციალურ კატეგორიათა და მცნებათა სისტემა, რომელიც მან შემოიტანა ბრუნვაში. თუ არ იცი კარლ მარქსის შრომები, არ შეიძლება გახდე პროფესიული, მომზადებული ხოციოლოგი. ეს უდავოა.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესების ფონზე ისინი, ვისაც განკითხვის მორალური უფლება აქვს და მოსანანიებელი არაფერი სჭირს, ერთეულები არიან. განსაკუთრებით სულიერ სფეროში მოღვაწეთა დიდი უმრავლესობა მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც პასუხისმგებელია იმისათვის, რაც მოხდა. მათი პასუხისმგებლობა მით უფრო დიდია, რამდენადაც დიდი იყო თითოეულის მოღვაწეობისა და სიტყვის საზოგადოებრივი რეზონანსი, გავლენა... იმ დროს, როცა ხალხი შენ შემოგცქეროდა, შენს სიტყვასა და საქმეს აპყრობდა გულისყურს, შენ ხაითკენ მოუწოდებდი მათ, უსიტყვო მორჩილებისა და ერთგული ხამსახურისაკენ, თუ გამოფხიზლებისა და გამოღვიძებისაკენ? მთელი შენი შემოქმედებითი ენერგია იმაზე იხარჯებოდა, რომ უკეთესი ფორმა მოგეძებნა მორჩილებისა და ქედმოხრისაკენ მომწოდებელი სიტყვებისათვის, რომ მჭუხარე ოვაცია გამოგეწვია, თუ ცდილობდი „ხამართლიანობისათვის თავდადებულ“ უსამართლოთა მოღვაწეობის მიმართ მცირედი ეჭვი მაინც გაგეჩინა? ხალხის გასაბრუებლად და გასაბრიყვებლად გამიზნული კამპანიებს შენც მჭუხარე ტაშს სცემდი, თუ იმდენს მაინც ახერხებდი, ხიყალბით გულდამძიმებულს ნაძალადევად და უგულოდ მოგეხვიდა ხარკი, ვაითუ მთლად არასაიმედოდ არავინ ჩამთვალოსო? ხაზეიმო ტრიბუნებს ენერგიული მარშით, ფართო ღიმილითა და ერთგულების გამომხატველი ხელისქნევით ჩაუვლიდი, თუ შინაგანი ჩუმი პროტესტით, თავდახრილი და ძალადობით შეურაცხყოფილი?

დღეს, როცა ვითარება შეიცვალა, უძრაობის პერიოდის ერთგული ტრუბადურები ისე ახმიანდნენ და ერთბაშად დადგნენ ეროვნული მოძრაობის ავანგარდში, ისე გულამოგლეჯით განიკითხავენ იმათ, ვისაც გუშინ ასევე გულამოგლეჯით ერთგულებდნენ, გეგონებათ, მოსანანიებელი არაფერი ჰქონდეთ.

განკითხვის მორალური უფლება მხოლოდ იმას აქვს, ვინც დღესაც იმ პრინციპებს მსახურებს, რასაც 10-20 წლის წინათ, ვინც მათი მრწამსისა და შეხედულებებისათვის იგემა კომუნისტური რეჟიმის სიავნე, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, შეინარჩუნა ურყეობა და ეროვნული საქმისათვის მსახურების ერთგულება.

დიდი რამაა მორალური უფლება. მაგრამ ცოტა ვინმე გვყავს, ვისაც შეუძლია ამ უფლებით ეწეოდეს ეროვნული მოძრაობის ჭაპანს, უფლებას კი ხალხი ანიჭებს და არა მთავრობები. რამდენიც არ უნდა ეცადო და მიდგე-მოდგე, არაფერი გამოგივა, თუ ხალხს არ სჯერა შენი ზნეობრივი ურყეობისა და ეროვნული საქმისადმი უშიშარი ერთგულებისა. დანარჩენებს, სხვა არა დაგვრჩენია რა, გარდა იმისა, რომ გულწრფელად მოვინანიოთ ჩვენი წარსული შეცოდებანი. ის მაინც მოვინანიოთ, რომ ვიყავით გაბრიყვებულნი და მოტყუებულნი, აზროვნებაშერყვნილნი, გამანჭვრეტებულნი, განიმტკიცებულნი და ახლა — ვხედებით ამას. გაბრიყვებულთა შორის იყვნენ ფანატიკოსები და ნიჰილისტები. პირველთ, მგონი, აღარაფერი ეშველებათ, მაგრამ მეორეთ შეიძლება შემოუბრუნდეთ გული. იყვნენ და არიან ციინიკოსები, რომელთაც არაფერი არ სჯეროდათ, მაგრამ კარიერის იკეთებდნენ პირადი გამორჩენისათვის.

დიდი ტყუილი ისე დაუინებით და ისე დიდხანს ინერგებოდა, რომ ძალიან ბევრმა დავიჯერეთ იგი. დავიჯერეთ, რომ ჩვენს საზოგადოებაში მოხდა დიდი, თანაც აუცილებელი შემობრუნება, რომ ოქტომბრის რევოლუციიდან დაწყო კაცობრიობის ნამდვილი ისტორია, რომ, რაც ხდებოდა, ხდებოდა კაცობრიობის ნათელი მომავლისთვის და ა. შ. ბევრმა, ძალიან ბევრმა მოუხარა ქედი ამ რწმენას სიტყვიერად, წერილობით თუ ხაქმით. და თუ დღეს მაინც მიხვდი, რომ ეს იყო ფალსიფიკაცია და დეზინფორმაცია, როგორ არ უნდა გაგიწიოს გულმა მოსანანიებლად. არადა, ხად გაქრა ეს ხალხი, ნუთუ ასე უბოდიშოდ გადაერთვნენ ახალ ტალღაზე. ნუთუ განხაწმენდელის გარეშე უნდათ შევიდნენ ხალხინებელში. მოუნანიებლად თავსაც იცდუნებენ, სხვასაც აცდუნებენ, ჯოჯოხეთიც არ ასცდებათ.

როცა საზოგადოებაში ისეთი ცვლილებები ხდება, რომელთა მომხწრენიც ჩვენი ვართ, მაშინ მის სიჯანსაღეხა და ხამომავლო პეხრპექტივაზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ რომელი ტენდენცია უფრო მძლავრობს ადამიანებში: განკითხვისა თუ მონანიებისა. პირველი ტენდენცია დამღუპველია, მეორე — იმედის მომცემი. მეჩვენება, რომ დღეს პირველი ტენდენცია უფრო მძლავრობს. განკითხვის მორალური უფლების მქონემ განიკითხოს, ვისაც მოსანანიებელი აქვს, მოინანიოს. ასეთი სიტუაცია ყველაზე ჯანსაღად მეჩვენება. საშიშია აქცენტების აღრევა. შენ, ვისაც მოსანანიებლად გაგიხადეს (თუ გაგიხან ბევრმა მოუხარა ქედი ამ რწმენას სიტყვიერად, წერილობით თუ ხაქმით. და თუ დღეს მაინც მიხვდი, რომ ეს იყო ფალსიფიკაცია და დეზინფორმაცია, როგორ არ უნდა გაგიწიოს გულმა მოსანანიებლად. არადა, ხად გაქრა ეს ხალხი, ნუთუ ასე უბოდიშოდ გადაერთვნენ ახალ ტალღაზე. ნუთუ განხაწმენდელის გარეშე უნდათ შევიდნენ ხალხინებელში. მოუნანიებლად თავსაც იცდუნებენ, სხვასაც აცდუნებენ, ჯოჯოხეთიც არ ასცდებათ.

როცა საზოგადოებაში ისეთი ცვლილებები ხდება, რომელთა მომხწრენიც ჩვენი ვართ, მაშინ მის სიჯანსაღეხა და ხამომავლო პეხრპექტივაზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ რომელი ტენდენცია უფრო მძლავრობს ადამიანებში: განკითხვისა თუ მონანიებისა. პირველი ტენდენცია დამღუპველია, მეორე — იმედის მომცემი. მეჩვენება, რომ დღეს პირველი ტენდენცია უფრო მძლავრობს. განკითხვის მორალური უფლების მქონემ განიკითხოს, ვისაც მოსანანიებელი აქვს, მოინანიოს. ასეთი სიტუაცია ყველაზე ჯანსაღად მეჩვენება. საშიშია აქცენტების აღრევა. შენ, ვისაც მოსანანიებლად გაგიხადეს (თუ გაგიხ-

...

...ოგიურს, ნაციონალურს. ათეული მილიონები შეიწირეს. ათეული მილიონები ცოდვისა და უწნეობის გენიაში გახვიეს.

დღეს, როცა ახე თუ ისე, გამოჩნდა ინფორმაცია და თვალი ნაწილობრივ მაინც აგვეხილა, გონს მოვდივართ, გამოვდივართ კომუნისტური იდეოლოგიის ოპიუმის გავლენისაგან, ლამის საკუთარი თავი შეგვჯავრდეს, როცა იძულებული ვართ ვუპასუხოთ კითხვაზე (ჩვენსავე თავს) — რას და ვის ვემსახურეთ? ბევრი რამ ჯერაც არ ვიცით და ღმერთმაც ნუ გაგვაგებინოს...

ხამოცდაათიანი წლების დასაწყისში რამდენჯერმე მომიხდა, როგორც ვამბობთ, კრიტიკული გამოხვლა ხაქართველოს სსრ უმაღლესი და ხაშუალო სპეციგანათლების ხამინისტროს პარტიულ კრებებზე (ხადაც მაშინ ვმუშაობდი ხაზოგადოებრივ მეცნიერებათა ხამმართველოს უფროსად), ამას ის მომაყვა, რომ მაშინდელმა მინისტრმა ლამის ფეხქვეშ გამიგო და გამთელა. ხაქმეში უმაღლესი პარტიული ინსტანციები ჩაერიენენ, მაგრამ გადავრჩი, არა იმიტომ, რომ მე დამიდგნენ გვერდით. არა, მინისტრს არ ამოუდგნენ მხარში და ამით გადავრჩი. თუმცა, ეს რა მოხატანია იმასთან შედარებით, რაც სხვებს გადახდენიათ. მე ხომ სისტემას არ ვებრძოდი. მხოლოდ მას ე. წ. ჩრდილოვან მხარეებს და ცალკეულ პიროვნებებს ვაკრიტიკებდი. ერთი სიტყვით, „კარგი მეფისა“ მჭეროდა. მაგრამ დღეს მაინც ხომ მივხვდი, რომ ამაოდ მჭეროდა.

დავუბრუნდეთ იმას, რაც მოხდა ბოლშევიკებისა და მენშევიკების გათიშვის შემდეგ. მოხდა ის, რომ მენშევიკები გამართლდნენ. მათ გენიალურად იწინასწარმეტყველეს, რა დღე ელოდა რუსეთს ბოლშევიკ-კომუნისტთაგან და ახლა კიდეც. დღევანდელ კომუნისტებს კი ველარ გაარჩევ, ის ძველი ბოლშევიკები არიან თუ მენშევიკური პლატფორმაზე გადადიან.

დღეს კომპარტია აცხადებს, რომ იგი ხელს იღებს ჰეგემონიაზე, პროლეტარიატის დიქტატურასა და ხოციალისტურ რევოლუციაზე (მითუმეტეს, მხოფლიო-ხოციალისტურზე); უკუაგდებს თეზისს კლასთა ბრძოლის შესახებ და აღიარებს საერთო-ადამიანური ღირებულებათა პრიორიტეტს, გამოდის ერიანი — ინტერესების ქედმოდრეკილ, ინტერნაციონალური ლოზუნგების ხანაცვლოდ; გმობს ხელმძღვანელობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ სტილს; უარს ამბობს დემოკრატიულ ცენტრალიზმზე; აღიარებს პიროვნების ხელშეუხებლობას, ხამართლებრივ ხაზოგადოებას; დგება ხრული რელიგიური შემწყნარებლობის პოზიციაზე, აღიარებს პოლიტიკური პლურალიზმის შეხაძლებლობას და სხვ.

დავუშვათ და, ეს ყველაფერი ასე მოხდა. კი მაგრამ, ამის შემდეგ, კომპარტია კომპარტიად დარჩება? მაშინ ხომ მას ეცლება მთელი ის შინაარხი, რითაც ხულდგმულობდა, არხებობდა ათწლეულების მანძილზე, ამოაცალეთ ეს ხული და გული და რაღა დარჩება მისგან?

ჩემთვის ხრულიად გაუგებარია, კომპარტიის იმ წევრთა პოზიცია, რომლებიც თავს კომუნისტებად თვლიან და მოითხოვენ ლენინის ძეგლების აღებას, ლენინის მავზოლეუმის გაუქმებას, მხარს უჭერენ მარქსისა და ლენინის შეხედულებათა რევიზიას. ეს ხომ ნონსენსია, შეუთავსებელია კომპარტიის წევრობასთან. თუ ასე გინდა, გადი კომპარტიიდან და ამის შემდეგ გექნება ასეთი კრიტიკის მორალური უფლება. ნუთუ დღეს ეჭვს იწვევს, რომ კომპარტია დოგმატიკოსთა პარტიაა და იგი შემოქმედებას, ხაკუთარი ideologიური ხაფუძვლების რევიზიას, ფრაქციულობას ვერ გუობს.

ის, რაც დღეს კომპარტიაში ხდება, ტიპიური გამოხატულებაა იმისა, რასაც კომპარტია მუდამ უწოდებდა რევიზიონიზმს, რეფორმიზმს, ოპორტუნიზმს, პარტიის ხაქმისადმი ღალატს, მეტიც, — კონტრრევოლუციას. ამიტომ მართალნი არიან კომპარტიის ის წევრები, რომლებიც მოითხოვენ კომპარტიის ძველი მეთოდების აღდგენას, ძალიერ ხელს და სხვ. თუ კომპარტიის წევრი ხარ, ბოლომდე ერთგული უნდა დარჩე მისი პრინციპებისა და დოგმებისა. თუ არა და, დატოვე პარტია. არავითარი ლიბერალიზაცია და „პერესტროიკა“ აქ არ შეიძლება, ხოლო თუ ამის მსგავსი რაღაც ხდება პარტიაში, მაშინ მან ხრულიად უნდა უარყოს თავისი წარსული და ჩამოყალიბდეს ხულ სხვა პარტიის ხახით, ახალი პროგრამითა და წესდებით. ეს უფრო ლოგიკური და გამართლებული იქნება.

კომპარტიის გასაჭირი ისაა, რომ მან ფაქტიურად დაკარგა გავლენა საზოგადოების ყველა ფენაში. იგრძნო რა საურდენების გამოცლის ხაშიშროება, პარტიამ დაიწყო შეგუება, რაც მისი გადაგვარების მაუწყებელია. ვინც ვერ შელევია კომპარტიის უკვე გამოცდილ მეთოდებსა და პრინციპებს, ვის ცნობიერებაშიც მათ მომხიბლაობას ძალა არ დაუკარგავს, დარჩეს კომპარტიაში და იბრძოლოს. ღმერთმა ხელი მოუმართოთ ისე, როგორც იმსახურებდნენ. მაგრამ მათ უნდა იფიქრონ, რომელ საზოგადოებრივ ძალას დაეყრდნობიან და გაიყოლიებენ ახალი ხასაკლაოებისაკენ.

დღეს ყველამ თვითონ უნდა გამონახოს მონანიების ფორმა. მონანიება კი საჭიროა და აუცილებელი, რომ თითოეული მართალი იყოს სინდისისა და ერის წინაშე.

მოვინანიოთ და ანგარიში გავუწიროთ ჩვენს წარსულს.

ჩემს მონანიებას ნუ ჩამითვლით სხვის განკითხვად. მე მინდოდა ჩემი თავი დამეჯერებინა მონანიების აუცილებლობისა და ხაჭიროებაში.

კარლო გოგსაძე

ეროვნული თანხმობის ქვორუმი

31 აგვისტოს სოხუმში, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა კრება, რომელიც მოიწვიეს ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფის ინიციატივით და ფართო საზოგადოებრიობის მოთხოვნით.

კრების დაწყებამდე დააფიქსირეს აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს სხვადასხვა ეროვნების 71 დეპუტატის გამოცხადება (51 ქართველი, 20 კი სხვა ეროვნების — რუსი, სომეხი, უკრაინელი, ბერძენი, ესტონელი, აფხაზი დეპუტატებისა).

ვინაიდან ქვორუმი შედგა (71 დეპუტატი 140-დან), ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, კრება ჩაეთვალათ აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესიად.

სესია გახსნა აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლამარა კვიტატიანმა, რომელიც სხდომასაც გაუძღვა. მან სესიას გააცნო დეპუტატ დიმიტრი უჩანეიშვილის მიერ მოსკოვიდან გამოგზავნილი დეპეშა, რომელშიც მიმართავს ადრესანტი წერს, რომ არ სცნობს 25 აგვისტოს სესიის დოკუმენტებს და მხარს უჭერს 31 აგვისტოს კრებას.

დამტკიცდა სესიის დღის წესრიგი, რომელშიც შეიტანეს ერთი საკითხი: „აფხაზეთის სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიის შესახებ“.

ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ყოლბაია. მან აღნიშნა, რომ 25 აგვისტოს ჩატარებული სესია ფაქტიურად სესია კი არა, კრება იყო, რადგან იმ სესიის ჩატარებაში გამოვლინდა ბევრი უხეში პროცედურული დარღვევა. სესია მზადდებოდა საიდუმლო ატმოსფეროში, პრეზიდიუმის ყველა წევრის აზრის გათვალისწინების გარეშე, დეპუტატთა დიდი ნაწილის აზრის იგნორირებით.

ვ. ყოლბაიამ თქვა, რომ საჭიროა შეიქმნას დეპუტატთა სპეციალური კომისია 25 აგვისტოს სესიის ჩატარების პროცედურის დარღვევათა გამოსავლენად. მან დეპუტატებს შესთავაზა, აგრეთვე, ჩამოყალიბდეს აფხაზეთის ეროვნული თანხმობის კომიტეტი აფხაზეთის ყველა რეგიონის, ეროვნების, ეთნიკური ჯგუფის, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობების წარმომადგენლებისაგან; ჩატარდეს — აფხაზეთის სსრ არსებული კანონმდებლობის საფუძველზე — აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები.

სესიაზე სიტყვით გამოვიდა დეპუტატი, ეროვნებით აფხაზი ელეონორა ქვარანძია, რომელმაც თქვა: „ვმონაწილეობდი 25 აგვისტოს სესიის მუშაობაში. დადგენილებას რომ ღებულობდნენ, ხმა არ მივეცი, მაგრამ ყურადღება არ მომაქციეს. ჩვენ ახლა ეროვნული აღორძინების გზაზე ვდგავართ და უნდა შევძლოთ ერთად ცხოვრება, თავისუფალ საქართველოში ცხოვრება“.

სესიაზე წარმოდგენილი საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე დეპუტატებმა რევაზ სალუქვაძემ, ვრეკ ზებალიანმა, ალექსანდრე მოსკალენკომ, ნაპოლეონ ქარქაშაძემ. მათ გამოხატეს თავიანთი უთანხმოება 25 აგვისტოს სესიის გადაწყვეტილებისადმი, რომელიც მათი აზრით, ანტიკონსტიტუციური, უკანონოა. სიტყვით გამოსულმა დეპუტატებმა გამოთქვეს სურვილი, რომ აუცილებელია შეუპოვარი ბრძოლა ავტონომიურ რესპუბლიკაში ეროვნული მშვიდობისა და თანხმობისათვის.

31 აგვისტოს საგანგებო სესიამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად სსრ უმაღლესი საბჭოს 25 აგვისტოს სესიის გადაწყვეტილება „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ“ უქმდება, როგორც ანტიკონსტიტუციური, უკანონო და იურიდიული ძალის არმქონე, დაუსაბუთებელი.

ასევე 31 აგვისტოს საგანგებო სესიამ უარყო დეკლარაცია სუვერენიტეტის შესახებ, რადგან იგი ეწინააღმდეგება აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის ძირეულ ინტერესებს და სურვილს.

საგანგებო სესიის დადგენილებაში დაგმობილია დაუსაბუთებელი ბრალდებანი საქართველოსა და ქართველი ხალხის მისამართით, რაც გაისმა 25 აგვისტოს სესიაზე. დაგმობილია, რადგან იგი აყალბებს ისტორიულ სიმართლეს და აფხაზეთი კონფრონტაციის და დესტაბილიზაციის გზით მიჰყავს.

საგანგებო სესიამ მოიწონა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „აფხაზეთის სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებების შესახებ“.

31 აგვისტოს საგანგებო სესიამ გადაწყვიტა შეიქმნას სპეციალური სადეპუტატო კომისია — 1990 წლის 25 აგვისტოს სესიაზე დეპუტატთა რეგისტრაციისას დაშვებული საპროცედურო საკითხების დარღვევების, სესიის მომზადების და ჩატარების პროცესში დეპუტატების მიმართ სამართალ-საწინააღმდეგო მეთოდების გამოყენების ფაქტების გამოსაძიებლად.

31 აგვისტოს საგანგებო სესიამ მოიწონა ყველა დონის (ავტონომიური რესპუბლიკის, ქალაქების, რაიონების, სოფლების) დეპუტატთა ჯგუფის წინადადება იმის შესახებ, რომ აფხაზეთში შეიქმნას ეროვნული თანხმობის კომიტეტი.

საგანგებო სესიის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ აფხაზეთის სსრ არსებული კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყდა 1990 წლის 23 დეკემბერს ჩატარდეს აფხაზეთის სსრ უზენაესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ თუ ადგილი ექნება აფხაზეთის სსრ უზენაესი საბჭოს სესიის მიერ 1990 წლის 25 აგვისტოს მიღებული უკანონო აქტების რეალიზაციის ცდას, უზენაესი საბჭოს ეს შემადგენლობა (31 აგვისტოს საგანგებო სესიის შემადგენლობა — თ. პ.) იტოვებს უფლებას, დაუყოვნებლივ მიიღოს შესაბამისი ზომები.

და ბოლოს, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ საგანგებო სესიამ დადგენილება გაუგზავნა სსრ კავშირის, საქართველოსა და რსფსრ უზენაეს საბჭოებს.

თენგიზ პაჭკორია

სოხუმი, 2 სექტემბერი

ჩვენი მილოცვა

ვლადიმერ ასლამაზიშვილი — 60



დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა ცნობილ საბავშვო მწერალს ვლადიმერ ასლამაზიშვილს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ვლადიმერ!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა გულითადად მოგეხალმებათ ჩვენი ბავშვების საყვარელ მწერალს და გილოცავთ დაბადების 60 წლისთავს.

თქვენი პირველი ნაწარმოებები 50-იან წლებში გამოქვეყნდა და მას შემდეგ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ემსახურებით ქართულ საბავშვო მწერლობას.

თქვენი პროზაული კრებულები „ნიკო და ნიკორა“, „ქვეყნად რამდენი კარგი ადამიანია“, „ციცქნას თავგადასავალი“, „ციცქნას ახალი ფათერაკები“, „ფიფქია და ფიქრია“, „აჩიკუდა ჯარში მიდის“ და სხვები შეიყვარეს ნორჩმა მკითხველებმა. თქვენი არაერთი მოთხრობა შეტანილია ქართული საშუალო სკოლების დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში. არაერთგზის გაგიმარჯვიათ ლიტერატურულ კონკურსებში.

თქვენი საუკეთესო ნაწარმოებები თარგმნილია მოძმე ხალხთა ენებზე, აგრეთვე, გერმანულად.

ნაყოფიერ ჟურნალისტურ მოღვაწეობასაც ეწევით, აქვეყნებთ საინტერესო ნარკვევებს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა, მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლასა და შრომით საქმიანობაზე. დაჯილდოებული ხართ „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით.

თქვენი სახით თავმდაბალი, უაღრესად პატიოსანი და გულითადი თანამოკალმე გვყავს.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს. ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, კიდევ ბევრი შესანიშნავი ნაწარმოებით გაგეხარებინოთ ჩვენი პატარები — საქართველოს ხვალინდელი დღე.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა

დურმიშხან გრიგოლაშვილი — 50

დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ საბავშვო მწერალს დურმიშხან გრიგოლაშვილს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო დურმიშხან!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა გულითადად გილოცავთ დაბადების 50 წლისთავს.

აი, უკვე ორი ათეული წელია, რაც ნაყოფიერად მოღვაწეობთ ლიტერატურის ისეთ ძნელსა და სპეციფიკურ ჟანრში, როგორიც საბავშვო მწერლობაა. მოზარდი თაობის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით, თანამედროვე პედაგოგიკის წინაშე მდგარი პრობლემების გაბედული გააზრებით, თემატიკის ორიგინალური მიგნებითა და აქტუალობით, სიუჟეტურ-კომპოზიციური ალღოთი, ხასიათების პორტრეტული და ფსიქოლოგიური ხატვის უნარით, გამართული და დახვეწილი დიალოგებით, ძარღვიანი, ნათელი და გამჭვირვალე ქართულით ფართო მკითხველის აღიარება და მოწონება დაიმსახურეთ.

ოთხი პროზაული კრებულის ავტორი ხართ: „ბორანი“, „არჩევანი“, „დამდეგ იყო მკათათვისა“ და „უცნაური სტუმარი“ — ყველა ეს ნაწარმოები პრემიებით აღინიშნა. განსაკუთრებული წარმატება ერგო წილად „უცნაურ სტუმარს“, რომელმაც 1971 წელს საქართველოს მწერალთა კავშირისა და რესპუბლიკური პროფსაბჭოს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე პირველი პრემია დაიმსახურა.

თქვენი საზოგადოებრივი საქმიანობაც მჭიდროდაა დაკავშირებული მოზარდი თაობის აღზრდასთან. კარგა ხანია, რაც საქართველოს რადიოს საბავშვო პროგრამების რედაქციის რედაქტორად მუშაობთ და მთელ ძალასა და ენერგიას მათი სულიერი ფორმირების კეთილშობილურ საქმეს აბმართ. 1981 წლიდან უძღვებით გადაცემ მათა ციკლს „მოზარდი. ყველას საფიქრალი და საზრუნავი“, რომელიც საყოველთაო ინტერესით სარგებლობს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს და წარმატებებს გისურვებთ თქვენს აგრერიგად საჭირო საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა

ერის უკვდავების საგალობელი

ანსამბლი „რუსთავი“.

ქართული ხალხური სიმღერის სწორუპოვარი პოპულარიზატორი!

ვირტუოზ შემსრულებელთა საკრებულო!

ანზორ ერქომაიშვილისა და ჰამლეტ გონაშვილის პირმშო!

თავისი არსებობის 22 წლის მანძილზე ანსამბლმა ტიტანური შრომა გასწია ქართული სასიმღერო ხელოვნების ახალ სიმაღლეზე ასაყვანად, ნაკლებად ცნობილი, ანდა სულაც მივიწყებული სიმღერებისათვის ახალი სიცოცხლის მისანიჭებლად.

თუკი უწინ, საქართველოში არსებული ფოლკლორული ანსამბლები ასრულებდნენ მხოლოდ თავიანთი კუთხის სიმღერებს, „რუსთავმა“ წარმატებით შეძლო მრავალდიალექტიანი ქართული მუსიკალური ფოლკლორის სტილისტური და ჟანრობრივი მრავალფეროვნების ათვისება.

სწორედ ესეცაა „რუსთავის“ არნახული წარმატებების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. ანსამბლი „რუსთავი“ პროფესიონალიზმის ჭეშმარიტ ნიმუშს წარმოადგენს. ანსამბლის ხელოვნებას ღრმა ფესვები აქვს და ამ ფესვებით იგი მშობლიური, ხალხური საშემსრულებლო ხელოვნების წიაღთანაა დაკავშირებული.

ალბათ ამიტომაცაა, რომ სადაც კი არ ყოფილა „რუსთავი“ (ყოფნით კი მსოფლიოს ორმოცზე მეტ ქვეყანაში იყო), ყველგან საყოველთაო მოწონება და აღიარება დაუმსახურებია. მის უხადო ხელოვნებას, საშემსრულებლო ოსტატობას ოვაციებით ხვდებოდნენ საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ესპანეთში, ჰოლანდიაში, იაპონიაში...

ტარიელ ონაშვილი, ბადრი თოიძე, სალიერ ვადაჭკორია, რამინ მიქაბერიძე, გენო მუჯირი, ნუგზარ გელაშვილი, ბორის სორდია, ამირან გოლიაძე, ბონდო გუგავა, ლადო თანდილაშვილი, ზურაბ ნინუა, დავით გველესიანი და, ბოლოს, ანზორ ერქომაიშვილი — აი, იმ ქართველ ვაჟკაცთა სახელები, ვინც მთელ მსოფლიოს აცნობს ქართველი ვაჟკაცის სულიერ სიმდიდრესა და ზნეკეთილობას, დაუშრეტელ შემოქმედებით ფანტაზიას, დახვეწილ გემოვნებას, მაღალგანვითარებულ მუსიკალურ აზროვნებას...

სულ ახლახან ფირმა „მელოდიამ“ მშვენიერი ნობათი მიართვა „რუსთავის“ ურიცხვ თაყვანისმცემლებს. ცალკე ფირფიტებად გამოვიდა სამი ალბომი. ერთი მათგანი „ქართული საგალობლებია“. ამ ფირფიტის ღირსებას ისიც აძლიერებს, რომ საგალობლებთან ერთად ჩართულ ლოცვებს კითხულობს უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II. მეორე ფირფიტაზე 12 ქართული ხალხური სიმღერაა ჩაწერილი.

და ბოლოს, რვა ფირფიტისაგან შემდგარი კრებული „ასი ქართული სიმღერა“, რომელიც ანსამბლის მრავალწლიანი შრომისა და რუდუნების შეჯამებას წარმოადგენს და ერთგვარი შემოქმედებითი თვითანგარიშია „რუსთავისა“. კრებულში შესულია სხვადასხვა ჟანრის ხალხური სიმღერები.

ღრმად გვწამს, რომ ანსამბლი „რუსთავი“ კიდევ დიდხანს დაატკბობს მსმენელის სულსა და გონებას და ახალ შემოქმედებით მწვერვალებს დაიპყრობს.

ზაალ გოტკოველი

ვაჟა-ფშაველას სულის მკვლევარი

ლია არჩვაძე

...რა განსაცვიფრებელი ადამიანი ცხოვრობდა ჩვენს გვერდით!..

გრიგოლ კიკნაძის ცხოვრება და მოღვაწეობა ეროვნული მეცნიერების სამსხვერპლოზე მიტანილ კიდევ ერთ სანთელს მაგონებს. რომლის ნათებასაც წყვდიადის შემანგრეველი ძალის მნიშვნელობა ჰქონდა.

გრიგოლ კიკნაძე სინათლისა და სიმართლის გზაზე მავალი წუთისოფლის მგზავრი გახლდათ, რომელმაც ქვეყნისა და ხალხის წინაშე თავისი ადამიანური და მოქალაქეობრივი ვალი პირნათლად მოიხადა:

გულო, გაკლდევდი, გამაგრდი,
ნისლი ნუ გადაგეფარა:
თუ აქამომდე გავძელით
დღეს მტერი გაგვტეხს ვეღარა.

ვაჟა-ფშაველას ეს ხიტყვები ზუსტად მიესადაგება გრიგოლ კიკნაძისა მოქალაქეობრივ პოზიციას. მისი პიროვნება ყოველთვის ქართული გენისათვის დამახასიათებელ პატიოსნებასა და კეთილსინდისიერებას განასახიერებდა. გრიგოლ კიკნაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, ერთი შეხედვით, არაფერი ყოფილა არაჩვეულებრივი და განსაკუთრებული, რადგან ყოველთვის, ყოველ დროში, ასე ებრძოდნენ ზამორჩეულ ადამიანებს. ეს იყო სინათლისა და სიბნელის, ბოროტებისა და სიკეთის, გონიერებისა და უმეცრების ჭიდილი და ეჭვი არავის ეპარებოდა, დღეს თუ ხვალ, სიმართლე თავის გზას მონახავდა. რაც შეეხება პირად მტრებს, ბატონი გრიგოლი მათ არად დაგიდევდათ. რადგან საკუთრივ პირადული მისთვის არ არსებობდა. დღეს შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო მისი მსჯელობა პიროვნების რაობის შესახებ. „საყოველთაოდ აღიარებულია, რომ პიროვნებას მხოლოდ ის ადამიანი წარმოადგენს, რომელსაც აქვს უნარი გამოჰყოს თავისი თავი გარემოსაგან, რათა ახლებურად, მკვეთრი შერჩევით დაუკავშირდეს მას; პიროვნებას წარმოადგენს ის ადამიანი, რომელსაც აქვს თავისი პოზიციები, თავისი მკვეთრად გამოხატული ცნობიერი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, მსოფლმხედველობა, სადამდისაც იგი მივიდა დიდი ცნობიერი მუშაობის შედეგად. ადამიანს, რომელშიაც პიროვნება იგრძნობა, იშვიათად ეპყრობიან განურჩეველად და გულგრილად, ისევე როგორც იგი არ არის ამგვარად მიმართული სხვათადმი: იგი უყვართ ან სძულთ, მას ყოველთვის ჰყავს მტრები, მაგრამ არსებობენ ნამდვილი მეგობრებიც. გარეგნულად რაც უნდა მშვიდობიანად მიმდინარეობდეს ასეთი ადამიანის ცხოვრება, შინაგანად მასში ყოველთვისაა რაღაც მებრძოლი“.

გრიგოლ კიკნაძის სახით ჩვენ ნამდვილ პიროვნებასთან გვქონდა საქმე, გაუტეხელ, მთლიან, მონოლითურ პიროვნებასთან. პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხს, იგი არა მარტო ვაჟა-ფშაველას შემოქმედებასთან მიმართებაში იკვლევდა, არამედ ნამდვილი პიროვნების ბედი მისი ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის სისხლხორცეულ საკითხადაა ქცეული.

ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია გრიგოლ კიკნაძისათვის, შეუძლებელია არ დამახსოვრებოდა დინჯი, დარბაისელი გარეგნობის ქართველი ინტელიგენტი, სოფლის მასწავლებელივით უშუალო და უბრალო, რომელსაც გასაოცარი უნარი შესწევდა, მის მიერ მიგნებული ერთადერთი ფრაზით, ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებითი კრედო აეხსნა. მისი ნაშრომები, პირველ რიგში ყურადღებას იმით იქცევს, რომ მეცნიერულ არგუმენტაციაზე დაყრდნობით გვიჩვენებს, რომ ჭეშმარიტი ლიტერატურათმცოდნე ჭეშმარიტი შემოქმედიც უნდა იყოს. მას ყოველ ნაბიჯზე ხაფანგს უგებდნენ. მისი აზრები, წერილები, შრომები უდიდეს მოწონებასთან ერთად, კრიტიკის ქარცეცხლში იყო გატარებული. უსამართლო კრიტიკა გრიგოლ კიკნაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თანამგზავრი გახლდათ. ეს ის დრო იყო, როდესაც ქართულ ლიტერატურასა და კრიტიკაში ცოცხალი აზრი კი არა, სქემა-ბატონობდა, როდესაც სოციალისტური რეალიზმის სახელითაც ბევრი ჭეშმარიტად მაღალმხატვრული ნაწარმოები ნადგურდებოდა.

დღეს ხშირად გაიგებ ზოგიერთი ჩვენი მეცნიერისაგან: იმის გამო, რომ წიგნი გადამერჩინა, იძულებული ვიყავი ესა თუ ის საკითხი ამომეღო. მათი უპრინციპობით, მეცნიერულ ნაშრომში ვერ შესული ესა თუ ის საკითხი, ჩვენი ისტორიისა და მეცნიერების მნიშვნელოვანი მონაპოვარი გახლდათ, რის გამოც ისევ ჩვენი ისტორია და მეცნიერება დაზარალდა.

გრიგოლ კიკნაძის ნაღვაწისა და ნააზრევის უბრალოდ თვალის გადავლებაც ცხადყოფს, რომ მისი სახით ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას ორიგინალური ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება მოევლინა. ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის მონაპოვარია მისი ფუნდამენტური გამოკვლევები: „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, „ქართული ხატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“, „მეტყველების სტილის საკითხები“, „ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, ეს ის ნაშრომებია, რომლებიც მძლავრი ინტელექტიდან, სწორი, ორიგინალური მეცნიერული ერუდიციიდან ჩამოვიდა. გრიგოლ კიკნაძე ქართულ მწერლობას განვითარებაში განიხილავდა, მსოფლიო ლიტერატურული პროცესების პარალელურად, მათზე შეპირისპირებითა და დაყრდნობით. მისი მეცნიერული მოსაზრებები სწორი და უზადოა, მან სამართლიანად უგულვებელყო ზოგიერთი სქემატური და სტერეოტიპური თვალსაზრისი, რის გამოც მავანისა და მავანის დიდი გულისწყრომა დაიმსახურა. გრიგოლ კიკნაძის თვალთახედვის არეალში ყოველთვის ქართული მწერლობა იდგა, რომელსაც მსოფლიო ლიტერატურის შესანიშნავ ნიმუშებთან მიმართებაში განიხილავდა. ჭეშმარიტი რაინდი ისაა, ვისაც იდეალი მოუპოვებია და მისთვის თავგანწირვა თავის სასიცოცხლო მოთხოვნილებად უქცევიაო — წერდა გრიგოლ კიკნაძე.

გრიგოლ კიკნაძის მეცნიერული ბიოგრაფია ილია ჭავჭავაძის შემოქმედების კვლევით დაიწყო. ილია ჭავჭავაძის პიროვნება მისთვის ერთგვარ ხატად იქცა, რადგან ის, რაც ილიას შემოქმედებით მემკვიდრეობასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში დაინახა, საგზლად გაიყოლა, როგორც მოღვაწეობისა და ბრძოლის პროგრამა. სიტყვა ბრძოლა შემთხვევით არ გვიხსენებია, მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას სხვას ვერაფერს უწოდებს კაცი. ბრძოლა ინტელექტუალურ-ზნეობრივ სფეროს მოიცავდა, რადგან მტერ-მოყვარისათვის ზნეობის მაგალითი იყო, მტერს ამარცხებდა, მოყვარეს კი სულიერად ზრდიდა. გრიგოლ კიკნაძე ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას მისი თავისებურებების კვლევიდან იწყებს და კვლევას კონკრეტულიდან ზოგადისაკენ მიმართავს. მისეული კვლევის მეთოდი სინთეზურ-ანალიზურ მსჯელობას ამლევს უპირატესობას. მან ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი ბუნების წინ წამოწევით გვიჩვენა „მოაზროვნე ხელოვანი“ და ამ ნაშრომით შესძლო ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი პორტრეტი შეექმნა. „ილიას პორტრეტის დახატვისათვის მკვლევარმა საფუძვლიანად შეამზადა ნიადაგი, მისი შემოქმედების განხილვის პროცესში. აქ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შინაგანი ბუნება იყო წარმოჩენილი, რაც ილიას პიროვნული თავისებურებებით იყო სწორედ განსაზღვრული. გონების შეერთება, რის ფონზეც წარმოჩინდა გმირთა ხასიათი. მან ინტელექტუალიზმის ცნება ახალ საფეხურზე აიყვანა.

„ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“ გრიგოლ კიკნაძის ფუნდამენტური ნაშრომია, რომლის საჯარო დაცვა, როგორც დისერტაციისა, 1945 წლის ივლისში შედგა. ნაშრომის ოფიციალური ოპონენტები კორნელი კეკელიძე და შალვა ნუცუბიძე იყვნენ. კორნელი კეკელიძემ ნაშრომი შემდეგნაირად შეაფასა: „გრიგოლ კიკნაძის სახით ჩვენ საქმე გვაქვს სავსებით მომწიფებულ და სერიოზული ერუდიციის მქონე მკვლევართან, ორიგინალურ და დამჯდარ მოაზროვნე ადამიანთან, რომელიც აღუურვიალია ჭეროვანი კვლევა-ძიების მეთოდით. ამით აიხსნება, რომ მან მოგვცა ისეთი სერიოზული და სრული მონოგრაფიული გამოკვლევა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ, რომლის მსგავსი ხშირად არ ჩნდება ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის ჰორიზონტზე“. შალვა ნუცუბიძემაც დადებითად შეაფასა ნაშრომი: დღეს, ვინც მიზნად დაისახავს წინ წასწოს ვაჟა-ფშაველას შემოქმედების კვლევა, იგი გრიგოლ კიკნაძის ფუნდამენტალურ გამოკვლევას გვერდს ვერ აუვლის“. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ვაჟა-ფშაველას კვლევა მან იმ დროს დაიწყო, როდესაც ვაჟა-ფშაველაზე ლიტერატურულ კრიტიკაში ბატონობდა სრულიად უმართებულო შეხედულება, რომ ვაჟა „ფშავის ვიწრო ხეობაში ჩაიკეტა და შინაგანად შეზღუდა თავისი თემატიკა“... (ვაჟა-ფშაველას პოემები. 1951 წ. შ. რადიანი) და სხვა და სხვა. დამეთანხმებით, თუ რა მძიმე ბრალდება წაუყენებიათ დიდი მგოსნისათვის. 1951 წელს გამოსული ვაჟა-ფშაველას პოემათა რუსული თარგმანის წინასიტყვაობასა და 1952 წელს სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლესი სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოს სახით მიღებინეს მოკლე ნარკვევი ქართული ლიტერატურის ისტორიისა, სადაც, შალვა რადიანი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე იმეორებს „ვაჟა-ფშაველა, თავისი დიდი წინაპრების ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისაგან განსხვავებით, შემოქმედებისათვის მასალას ცხოვრების ცოცხალი სინამდვილიდან კი არა, არამედ მთიელი ხალხის პატრიარქალური ცხოვრებიდან იღებდა“... რომ „ვაჟა-ფშაველა, თავისი დროის ამოცანებამდე ვერ ამაღლდა“ (იხილეთ დასახელებული გამოცემა, თარგმანი ჩვენია). ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, თუ რა დიდი მხია იკისრა გრიგოლ კიკნაძემ, რომელმაც მკითხველს შეხთავაზა პირუთვნელი მეცნიერული თვალსაზრისი, რომელსაც მაშინ გარკვეული მოწინააღმდეგენიც ჰყავდა.

გრიგოლ კიკნაძე ვაჟა-ფშაველას კვლევისას ერთ ადგილას არ ჩერდება. მან უნივერსიტეტში ვაჟა-ფშაველას კაბინეტი დაარსა, რითაც ხელი შეუწყო სტუდენტ ახალგაზრდობაში მეცნიერული მუშაობის გაღვივებას. მან კარგად იცოდა, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების კვლევისათვის საჭირო იყო ხანგრძლივი მეცნიერული მუშაობა, წინასწარშედგენილი გეგმა-პროგრამა, რომელიც გზისმკვლევის ფუნქციას შეასრულებდა. განა საგულისხმო არ არის ის ფაქტი, რომ ვაჟა-ფშაველას კაბინეტი დღესაც მის მიერ შედგენილი გეგმით მუშაობს.

მელიც რუს მკითხველს აუწყებდა: „ზოგიერთ ლიტერატურათმცოდნე, რომელთაც ერუდიცია და კვლევის ნიჭი არ აქვთო, ცდილობენ მეჩქარეთ, თავიანთი ჭსკლობები და გამოხვლები „ცრუ აკადემიზმის“ ბურუსში, რის შედეგადაც მათ მიერ დასმული მეტად მნიშვნელოვანი პრობლემები თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრებიდან გამორიცხულნი რჩებიან. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ გრიგოლ კიკნაძის ხატირისა და იუმორის ეანრებისადმი მიძღვნილი წიგნები“. 1972 წელს, როდესაც წიგნი მეორედ გამოიცა, გრიგოლ კიკნაძემ ჩვეული ხიდინჯითა და გონიერებით უპასუხა ოპონენტებსა და ბეხო ეღენტს. წიგნის ბოლოსიტყვაობაში ვკითხულობთ: „საინტერესოა, ხადმე მაინც თუ იმოწმებს რომელიმე მკვლევარი ბ. ეღენტის მეცნიერულ გამოკვლევებს? იქნებ ამიტომაც ლაპარაკობს ის ამ მხრივ განებივრებული მეცნიერის უფლებამოსილებით?! (ქართული ხატირისა და იუმორის „განვითარების ისტორიისათვის“ 1972 წ.“).

წიგნი „მეტყველების სტილის საკითხები“ 1957 წელს გამოსცა. ეს წიგნი გრიგოლ კიკნაძემ მასწავლებლის დიმიტრი უზნაძის მითითებითა და რჩევით დაწერა. ნაშრომი ხიტყვის ხიზუსტითა და გამოსაკვლევი მასალის სწორი მიდგომით გამოირჩევა.

„სტილი თვით ადამიანია“ — ამ გამონათქვამის კვალზე დაასაბუთა, რომ სტილს თვით მწერალი ქმნის. გრიგოლ კიკნაძემ „მეტყველების სტილის საკითხების კვლევისას ბევრი გამოჩენილი ქართველი მწერლის შემოქმედება შეისწავლა და აქაც კვლევის ცენტრში ილია ჭავჭავაძის ფიგურა დგას. სტილის კვლევის თვალსაზრისით მეცნიერისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი დავით გურამიშვილის შემოქმედება გამოდგა.

გრიგოლ კიკნაძის თვალთახედვის არეალში ყოველთვის იდგა ქართული მწერლობა, რომელსაც მსოფლიო ლიტერატურის შესანიშნავ ნიმუშებთან მიმართებაში განიხილავდა. გრიგოლ კიკნაძე მრავალი ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის, ნარკვევისა და წერილის ავტორია, რომელთა შორისაა „რომანტიკოსებიდან რეალისტებისაკენ“, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „ვახტანგ ორბელიანი“, „აკაკი წერეთლის პოლემიკური ლირიკა“, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან თეორიულ საკითხებს აერთიანებს.

გრიგოლ კიკნაძე ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი წერილები: „ალექსანდრე ყაზბეგის შესწავლა მე-10 კლასში,“ „ბავშვის მეტყველების“ ზოგიერთი თავისებურება“. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების, ჩვენი სკოლების აწმყო და მომავალი მისი ინტერესების სფეროში შედგრდა. მას განსაკუთრებით აწუხებდა სახელმძღვანელოებისა და სწავლების დაბალი დონე, რის გამოც არაერთხელ გამოუთქვამს თავისი პირდაპირი, უკომპრომისო მოსაზრება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა უნივერსიტეტში „ამ გულმხურვალე მამულიშვილს პატრიოტული გრძნობა ხმამაღლა არ ალაპარაკებდა, ამ გრძნობის მორალიზებას არ ახდენდა. ძნელად ნახავდით ამ თემაზე ხმამაღლა მოსაუბრეს. იგი საქმეს აკეთებდა, ეროვნულ საქმეს, და იცოდა, რომ ქვეყანას ასეთი პატრიოტები სჭირდებოდა“ (ვლადიმერ მინაშვილი).

ჩვენ ვამაყობდით, რომ ასეთი პედაგოგი გვყავდა და თვითოეული ჩვენთაგანი ცდილობდა, რაღაცნაირად, მიახლოებოდა გრიგოლ კიკნაძის პიროვნებას, წუთით მაინც. შესულიყო იმ სამყაროში, სადაც ვაჟას გმირები სახლობდნენ, სადაც აღაზა „კაი ყმის“ ვაჟკაცურ ხიკვდილს დასტიროდა, სადაც ლუხუმის „ლაშარის გორზე“ შადგომაზე ოცნებობდნენ, სადაც გაუტანლობისა და ორგულობის მახვილით დახერილ სამყაროში იკრებოდა სხვები სინათლისა, რომლის საწყისი ზნეობა და სინდის-პატიოსნება გახლდათ და რა მადლიერები ვიყავით იმ წლების, რომელიც ჩვენმა ამაყმა, ყველასაგან გამორჩეულმა მოძღვარმა გვისახსოვრა.

თავისუფლების მოედანი

ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე **ნიკო ლეკიშვილი**

— ბატონო ნიკო, ამ ათიოდე დღის წინ, თბილისში, ქალაქის საბჭოს შენობის წინ აღებულ იქნა ლენინის ძეგლი. ამ ფაქტის მნიშვნელობაზე ამჯერად ყურადღებას არ გავამახვილებთ, უბრალოდ, აღვნიშნავთ, რომ ის, რაც დღეს ხდება ყოფილ ლენინის მოედანზე, როგორც სიმბოლურად, ისე რეალურად, გამოხატავს არა მარტო დღევანდელობის, არამედ მოსავალი ცხოვრების სულისკვეთებასაც. რას იტყოდით ამის შესახებ?

— როგორც მოგეხსენებათ, კარგა ხანია, დედაქალაქის საზოგადოებრიობა მოითხოვდა ლენინის მოედნის რეკონსტრუქციასა და ლენინის ძეგლის მოხსნას. ამის თაობაზე ჩვენც ბევრს ვფიქრობდით. ამას წინათ, საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა ამ საკითხზე და დაადგინა, დაწყებულიყო ლენინის მოედნის რეკონსტრუქცია ძეგლის გატანით ამ ფაქტს მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს, ჯერ ერთი, აღსრულდა საზოგადოების ნება და მეორეც, ვფიქრობთ, ამით დაიწყო ახლებური მიდგომა გაფეტიშებული დოგმებისადმი, რასაც, ალბათ, დიდი მნიშვნელობა აქვს. ვგულისხმობთ, წარსულის ახლებურად შეფასებას, ავადმოსაგონარი წლების ახლებურად გააზრებას. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ეს ძეგლი, 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიას უკავშირდება და, ამდენადაც, უარყოფით ემოციებს იწვევდა. თბილისელებში. ამის გარდაც, თბილისში, ლენინის ძეგლი მრავლად არის და არ იყო აუცილებელი, ერთი პიროვნების ამდენი ძეგლი გვქონოდა. მივიღეთ, აგრეთვე, დადგენილება, მოედნისათვის სახელის გადარქმევის შესახებ და მას თავისუფლების მოედანი ვუწოდეთ, ვფიქრობთ, ეხეც სიმბოლურია და ზუსტად გამოხატავს ქართველი ხალხის ნება-სურვილს.

— როგორ წარმოგიდგენიათ გათავისუფლებული მოედნის ხვალინდელი დღე, თქვენი აზრით, როგორი სახე უნდა მიიღოს დედაქალაქის ამ პოპულარულმა ადგილმა რეკონსტრუქციის შემდეგ?

— როდესაც ეს გადაწყვეტილება მივიღეთ და განვახორციელეთ, საჭიროდ ჩავთვალეთ, ჯერ-ჯერობით, ამ ადგილას მწვანე გაზონი აღდგენილიყო. შემდეგ, საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და არქიტექტორებს დაევალათ, თავიანთი წინადადებები წარმოადგინონ მოედნის შესახებ, მივმართეთ მოსახლეობასაც, მოგვაწოდონ თავიანთი წინადადებები და მოსაზრებები. ისე, მე თუ მკითხავთ, ეს მოედანი თავისუფლების მოედანია და შესაძლოა, არც იყოს აუცილებელი, რომელიმე მონუმენტის ან ძეგლის დადგმა, თუმცა, უკვე ბევრი წინადადება შემოდის, ამის შესახებ და . განზრახული გვაქვს, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, შევარჩიოთ ისეთი პროექტი, რომელიც მისადები იქნება ყველა თბილისელისა და ქართველისათვის.

— მალე, ალბათ, თბილისმა უნდა დაიბრუნოს ოდინდელი ფუნქცია. იგი უნდა იყოს, არა ცენტრს დამორჩილებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, არამედ სუვერენული სახელმწიფოს დედაქალაქი. ამ გზაზე ბევრი პრობლემის გადაჭრა იქნება საჭირო. თქვენ რომელს გამოყოფდით?

— თბილისი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დედაქალაქია, მაინც მოკლებულია მმართველობის იმ ფორმებს, რომლებიც უზრუნველყოფს მის ნორმალურ ფუნქციონირებას. ამიტომაც იყო, რომ ქალაქის საბჭოს სესიამ განიხილა და მიიღო პროექტი თბილისის სტატუსის შესახებ, რომლის არსიც ისაა, რომ თბილისი უნდა მართოს უშუალოდ ქალაქის მმართველმა ორგანომ. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ თბილისში განლაგებულია საკავშირო დაქვემდებარების ბევრი საწარმო-ორგანიზაცია, რომელთაც, თბილისისათვის არაფერი სარგებლობა მოაქვთ, პირიქით, ზიანსაც კი აყენებენ ეკოლოგიური თვალსაზრისით. საჭიროა, მათი რესპუბლიკისათვის გადმოცემა და მათი სახსრებისა და რესურსების თბილისის ინტერესებისათვის გამოყენება.

ამის გარდა, მიგვაჩნია, რომ თბილისში უნდა განვითარდეს საკუთრების მრავალი სახეობა. ამასთან დაკავშირებით საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმზე მიღებული იქნა კონცეფცია სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, საზოგადოებრივი კვების და სხვა ორგანიზაციების პრივატიზაციის შესახებ. მუშავდება წინადადებები და, ალბათ, წლის ბოლოსათვის დაიწყება ამ საქმის განხორციელება. ისე, თბილისს ბევრი პრობლემა აწუხებს. მომაჩნია, რომ არასწორი იყო, როცა ქალაქის განაშენიანება წარიმართა გარეუბნების ათვისების ხარჯზე და, ფაქტიურად, ხელში შეგვრჩა უსახური მასივები და ნაგებობები. ვფიქრობთ, ქალაქის მომავალი განვითარება ცენტრის რეკონსტრუქციის ნიშნით უნდა წარიმართოს.

ერთი სიტყვით, სუვერენული სახელმწიფოს დედაქალაქი უნდა იყოს დამოუკიდებელი, უპირველესად, მმართველობის თვალსაზრისით, რადგან ქალაქის მმართველ ორგანოზე, ვთქვათ, მომავალ საბჭოზე, უკეთ ვერავინ გადაწყვეტს, თუ რა აწუხებს თბილისს.

— კიდევ რა სიახლეებია მოსალოდნელი ახლო მომავალში თბილისის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში?

— უნდა გაგრძელდეს მუშაობა ძველი ტოპონიმების აღსადგენად, როგორც ცნობილია, რვა რაიონს უკვე გადაერქვა სახელი, მალე დარჩენილ ორ რაიონსაც შეეცვლება ძველი სახელწოდება, სახელი შეეცვლება აგრეთვე ბევრ ქუჩასაც. ახლა თბილისში საარჩევნო სამზადისია, უნდა ავირჩიოთ როგორც პარლამენტის, ისე ქალაქის მმართველი ორგანოს დეპუტატები. საერთოდ, შეიძლება ითქვას, ქალაქში დღეს რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ატმოსფეროა, რაც გამოწვეულია იმ პრობლემებით, ახე უნდა რომ მოეჯარა ჩვენს ცხოვრებას. საჭიროა სწორი და მიზანმიმართული მუშაობა, რათა ქალაქმა დაძლიოს ის სირთულეები და წინააღმდეგობანი, რაც თბილისის სუვერენული სახელმწიფოს დედაქალაქად გადაქცევის პროცესს ახლავს.

ერთი ფურცელი ბიბლიოთეკიდან

პრის „შარავანდი“!

გამოვიდა სრულიად საქართველოს აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოების გაზეთ „შარავანდის“ პირველი ნომერი (რედაქტორი — ბურამ შანჯიკიძე, სარედაქციო კოლეგია: ბალათერ არაბული, გურამ გვერდწითელი, გიგლა გობეჩია, ამირან კალაძე, ტარიელ კიპაროიძე, მურმან ლებანიძე, როინ მეტრეველი, მუხრან მაჭავარიანი, მთავარეპისკოპოსი თადეოზი, ოთარ ტუეშელაშვილი, ჯანსუღ ღვინჯილია, ნოდარ ღოღობერიძე, ნუგზარ ჩოგოშვილი, ვაჟა თორდელი).

ნომერი იხსნება მეთაური წერილით „წელი განვლილი — სამომავლო კონტურები“, რომელიც ქვეყნდება რუბრიკით „სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საზოგადოებაში“.

„შარავანდს“ გზას ულოცავენ გაზეთ „მამულის“ რედაქცია, მდაბალი მთავარეპისკოპოსი, წალკელი და ბოლნელ-დმანელი თადეოზი, საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის თავმჯდომარე თემურ ეორეულიანი.

ნომერში დაბეჭდილია ანა კალანდაძის დიდებული ლექსი „ფეხი დამადგეთ...“, როლანდ ბურჭულაძის „დავადგათ თუ არა ფეხი?!“, „დემონტაჟი“ თუ... ვანდალიზმი?“ (პროტესტი იმის გამო, რომ საკავშირო პრესა კავშირის მთელ რიგ რეგიონებში ლენინის ძეგლის აღებას დემონტაჟს უწოდებს, თბილისში მომხდარ ასეთსავე ფაქტს კი ვანდალიზმის იარლიყს აკერებს), მაია თუნგიას „9 აპრილის ეჭო“, მარიამ ცაცანაშვილის „ტრაგედიის განაჩენი“ (ქართველი პატრიოტის ვოვა ვეკუას მკვლელობის გამო გამოტანილი განაჩენის კომენტარი), ია აბუაშვილის „ტუე შეუნახე შვილებსა...“, ჩვენგან უდროოდ წასულ რეზო თაბუკაშვილთან გამოსათხოვარი სარედაქციო წერილი, ნოდარ კობერიძის „ვით შეერგების?!“, პენსიონერ ვერა ნოზაძის „მკვდარსაც არ გვატანდნენ...“ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ივერიის“ თავმჯდომარის მიხეილ ორჯონიკიძის ღია წერილი. სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოების პრეზიდენტ გურამ ფანჯიკიძისადმი, სარედაქციო რეპლიკა „ბრავო, ოზგან!“, აკაკი ჯობაძის „იქმნება ქართველ ფილოსოფოსთა ასოციაცია“, „ვინ აღმართა გამარჯვების დროშა რაიხსტაგზე?“, „ღია წერილი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ შემოქმედებით კოლექტივს“, ამირან კალაძის „თქვენ რას იტყვით?“ და სხვ.

რასაკვირველია, სავსებით ლოგიკური და ბუნებრივია, რომ გაზეთის პირველ გვერდს ამშვენებს დიდი დავით აღმშენებლის ფრესკული პორტრეტის ფოტორეპროდუქცია, ხოლო ბოლო გვერდს — გელათის ტაძრის ფოტოსურათი.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია ულოცავენ ჩვენს საზოგადოებრიობას გაზეთ „შარავანდის“ დაარსებას უსურვებენ წარმატებულ დღეს, ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

გამოიწვერეთ ალმანახი „კრიტიკა“

ალმანახ „კრიტიკას“, რომლის მიმდინარე წლის სამი ნომერი მკითხველმა „ქართული მწერლობის“ სახელწოდებით, მიიღო, საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით თავდაპირველი სახელი დაუბრუნდა.

ამა წლის მეოთხე ნომრიდან იგი კვლავ „კრიტიკის“ სახელწოდებით გამოვა.

„კრიტიკის“ რედაქცია მრავალ საინტერესო პუბლიკაციას პირდება მკითხველს.

მიმდინარე წლის მეოთხე ნომრიდან დაიწყება და მომავალშიც გაგრძელდება ქართული საბჭოთა ლიტერატურის გადაფასება. ეს იქნება ხანგრძლივი, უოველმხრივი და ყოვლისმომცველი კრიტიკული ანალიზის პროცესი, მიმართული იმის წარმოსაჩენად, თუ რა საშინელ დღეში ჩააგდო ტოტალიტარულმა რეჟიმმა ქართული მწერლობის არაერთი თაობა. გამოქვეყნდება მრავალფეროვანი მასალები, რომლებიც იმეტყველებენ რეპრესირებული ეპოქის მწარე სინამდვილეზე.

„კრიტიკა“ თავის სიტყვას იტყვის ეროვნულ მოძრაობაში. ყოველი პრობლემა, რაც აწუხებს დღეს საქართველოს, მისი ფიქრის უმთავრესი საგანია. კრიტიკოსთა მართალი, გაბედული, უშიღავათო დამოკიდებულება უპასუხებს ეროვნული მოძრაობის სასიცოცხლო მოთხოვნებს. დაინტერესებული მკითხველი „კრიტიკის“ ფურცლებზე იპოვის ქართველი ხალხის შემაშფოთებელი საჭირბოროტო ეროვნული საკითხების ღრმა შეფასებას.

„პერიფერიების პრეტენზიები დედაქალაქისადმი“ — ამ რუბრიკით გამოქვეყნდება სამართლიანი საუვედურები პერიფერიაში მცხოვრები ინტელიგენციისა და მშრომელებისა... ცენტრალიზაციამ ყველაფერს თბილისში მოუყარა თავი. პერიფერიებს დაეკლდა ყურადღება. რა სათქმელი დაუგროვდა საქართველოს ქალაქებს, რაიონებს და სოფლებს? ყოველივე ამაზე ნომრიდან ნომერში გაგრძელებებით გამოქვეყნდება მასალები.

„კრიტიკის“ ფურცლებზე დაისტამბება წინა წლის ქართული პოეზიის, პროზის, დრამატურგიისა და კრიტიკის ვრცელი კრიტიკული მიმოხილვები. „კრიტიკა“ მოვალეა სისტემატურად აჯამებდეს „ლიტერატურულ მოსავალს“, თავის ადგილს მიუჩენდეს ღირებულსა და მნიშვნელოვან ნაწარმოებებს, წარმოაჩენდეს წლის ლიტერატურულ პანორამას.

„კრიტიკა“ მნიშვნელოვან ადგილს დაუთმობს ქართულ ემიგრანტულ ლიტერატურას. მჭიდრო კავშირს დაამყარებს უცხოეთის ქართულ პრესასთან, მკითხველს მიაწვდის უნიკალურ მასალებს, ცხობებსა და ინფორმაციებს.

„კრიტიკა“ სპეციალურ წერილებს უძღვნის მნიშვნელოვან ნაწარმოებებს და წიგნებს, რომლებიც ელიან პირუთნელ მსაჯულს, დაფასებასა და აღიარებას.

რას არ უნდა ენდოს მოსწავლე ახალგაზრდობა, ახალთაობა, სტუდენტობა ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში? ყოველივე ამის შესახებ „კრიტიკა“ სისტემატურად დასტამბავს ქართველ კრიტიკოსთა, პროფესორ-მასწავლებელთა მოსაზრებებს. მასალები გამიზნულია ათეული წლების განმავლობაში გასაგები მიზეზების გამო დაცემული ლიტერატურული და ისტორიული გემონების ასაღორძინებლად. პუბლიკაციები ხელს შეუწყობს დღემდე მოქმედი სახელმძღვანელოების კრიტიკული შეფასების დაჩქარებას და გაუადვილებს სპეციალისტებს ახალი სახელმძღვანელოების შექმნას.

„კრიტიკა“ მკითხველს შესთავაზებს დიალოგებს ცნობილ მწერლებთან, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან.

გამოქვეყნდება საინტერესო საარქივო მასალები.

„კრიტიკა“ არ შემოიხაზღვრება მარტოოდენ ლიტერატურული სამყაროთი. სისტემატურად გამოქვეყნებს წერილებს ქართულ მუსიკაზე, ფერწერაზე, კინოს, თეატრსა და ხელოვნების სხვა სფეროებზე.

„კრიტიკა“ ფართო ადგილს დაუთმობს მკითხველთა მოსაზრებებს და ელოდება მათგან აქტიურ მხარდაჭერას.

„კრიტიკის“ რედაქცია

ანონსი

ანონსი

მეორე მსოფლიო ომი და საქართველო ახე შეიძლება ეწოდოს დიდი ბრიტანეთის კონტრდაზვერვის ყოფილი თანამშრომლის, ამჟამად აშშ-ში (ქალაქ არლინგტონში) მცხოვრებ პოლკოვნიკ მერაბ კვიტაშვილის მემუარების ფრაგმენტს „თეირანის კოფერენცია“ (ბ-ნი მერაბი ამ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა, როგორც ინგლისის კონტრდაზვერვის თანამშრომელი და უინსტონ ჩერჩილის ამალის წევრი).

კონფერენციის მსვლელობის დროს ლ. ბერიამ ის იცნო... ბატონი მერაბ კვიტაშვილი გადმოგვცემს იმ შთაბეჭდილებებს, რაც მასზე მოახდინეს სტალინმა, ჩეკოტმა ნაჭყებიამ, რუზველტმა, ჩერჩილმა, სტალინის დაცვის უფროსმა ნერეთელმა და სხვ.

ამ მემუარების გლობალური სიტუაციების ფარულ დინებაში ამოტივტივდა საქართველოს პრობლემა.

აშშ-ში მივლინების დროს, მწერალ გ. გაჩეჩილაძეს ბატონმა მერაბ კვიტაშვილმა გადასცა თავისი მემუარების ფრაგმენტი: „თეირანის კონფერენცია“ და „ფიქრები საქართველოს მომავალზე“.

შემდეგი ნომრიდან ჩვენ ვიწყებთ „თეირანის კონფერენციის“ ბეჭდვას. ამ პუბლიკაციის გასრულების შემდეგ გთავაზობთ გ. გაჩეჩილაძის სტატიას ბატონ მერაბ კვიტაშვილის პიროვნებასა და ღვაწლზე.

ბოლოს და ბოლოს...

1989 წ. მარტის ბოლოს, ბაქოში ექსკურსიაზე მყოფ კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს (ქათმისხევის) ახალგაზრდობას ბაქოს ხელოვნების მუზეუმში ქალბატონმა აზიზბეკოვამ ასე მიმართა: „თქვენ ნამდვილი აზერბაიჯანელები ხართ. ქრისტიანობა შემდეგ მიიღეთ, ამიტომ უნდა უარყოთ ქართული გვარებიო“. რას ნიშნავს ეს? ალბათ, ნიადაგის მომზადებას — ქართული გვარის მცხოვრებნი რაკი აღარ იქნებიან კახის, ზაქათალის და ბელაქნის რაიონებში, ე. ი. ჰერეთ-საინგილოს მკვიდრ ტერიტორიაზე, მაშინ აზერბაიჯანელებს აღარ დასჭირდებათ დღესასწაულის — „მეჰრიგანის“ გადახდა. დღესდღეობით კი ინგილო ქართველებს გააზერბაიჯანელების მიზნით, ხან ირანელ ე. წ. „გელებად“ ნათლავენ, ხან თურქ-ჰენგილავებად (ჰენგილოვ) გაზ. „კავკასია“ № 4, 1990 წ.

დაბეთ ბედის ირონიას, თუ ადრე ინგილოთა წინაპრებს ათასი ჯურის მტრისაგან არ ჰქონდათ მოსვენება, ახლა სწავლულებმა, პროფესორებმა, აკადემიკოსებმა დაიწყეს თავდასხმები. ჯერ იყო და 1979 წელს მოლა ზადემ გამოაქვეყნა წიგნი „აზერბაიჯანის ჩრდილოეთ რაიონების ტოპონიმიკა“, რომელშიაც ყველა ქართული ტოპონიმი, არამეცნიერული მიდგომით, თურქულიდან წარმოშობილად აღიარა. მერე 1987 წ. გარა ახმედოვამ „ელმ ვე ჰეათში“ დასტამბა სტატია ტოპონიმ „კახის“ თაობაზე, სადაც ინგილოური მეტყველება მიჩნეულია დამოუკიდებელ არაქართულ ენად. ეს კიდევ არაფერი. 1986 წ. აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიამ (ზემოთ ნახსენები ნაშრომებიც ამავე აკადემიის გამოცემებია) დასტამბა გ. ა. გეიბულაევის ყოველგვარ მეცნიერულ არგუმენტაციას მოკლებული წიგნი „აზერბაიჯანის ტოპონიმიკა“, რომელიც ზოგ-ზოგებმა დროშასავით ააფრიალეს და დაიწყეს ყვირილი: აი, ახლაც არ დაიჯერებთ, რომ ინგილოები ქართველები არა ხართ? (იხ. გაზ. „ირმიზი ბაირაკ“, ზაქათალა). რაშია საქმე? რას ამტკიცებს გეიბულაევი? ამის თაობაზე საინტერესო პასუხია გამოქვეყნებული ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაში“ (1987 წ. № 11), რომლის ავტორია პროფ. თენგიზ პაპუაშვილი. გეიბულაევი ყოველად უსუსური „ფაქტების“ მოშველიებით გვიმტკიცებს, რომ ინგილოები წარმოშობილნი არიან ანტიკურ ხანაში კავკასიაში მცხოვრებ სპარსთა ერთ-ერთი ტომის — გელებისაგან. ახდენს „ინ-გელისა“ და „გელის“ „მახვილგონივრულ“ დაკავშირებას და ივიწყებს იმას, რომ „ინგილო“ სოციალური ტერმინია, რომელიც ბოლო საუკუნეებში წამოტივტივდა, და არა ეთნიკური. ეთნიკური პოზიციიდან ინგილოები კახ-ჰერები ყოფილან.

ჩვენ, ინგილოებს, რომლებსაც კარგად გვესმის ჩვენი ვინაობა და ვიცით ისიც, რა უბედურება დაგვატეხა თავს ისტორიამ, ძალიან ეზაღლიზიანებს ზოგიერთი აზერბაიჯანელი სწავლულის ასეთი გამოხდომები (რატომ ივიწყებენ, რომ ეროვნულ სიმზე შეხება ძალზე საფრთხილოა?).

ახლა ორიოდე სიტყვით „მეჰრიგანის“ დღესასწაულის შესახებ: აზერბაიჯანის კპ კახის რაიონული კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილებამ 1989 წლის 26 ოქტომბერს გაავრცელა ფურცლები, რომლითაც პოპულარიზაციას უწევდნენ „მეჰრიგანის“ დღესასწაულს, მოგვაქვს ტექსტი მთლიანად.

„დღესასწაული „მეჰრიგანის“ შესახებ.

დღესასწაული „მეჰრიგანი“ უძველესი ალბანელების ერთ-ერთი უველაზე დიდი ზეიმი ყოფილა.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ალბანელები ცეცხლთაყვანისმცემლები იყვნენ. ამიტომაც ამ ზეიმის სიმბოლო ცეცხლი იყო. ზეიმის ჩატარების იდეა თავისთავად არ დაბადებულა. ჯერ ერთი, ეს ჩვენი წინაპრების გახსენებაა, რათა ისინი ახალგაზრდა შთამომავლებს გავაცნოთ, ამას გარდა, უდიდესი ნიზამი დაკავშირებულია ალბანეთის სახელმწიფოსთან, იმიტომ, რომ ნიზამი, აკადემიკოს ზიჰა ბუნიადოვის აზრით, ირანის ქ. ყუმში კი არა, კახის რაიონის სოფელ ყუმშია დაბადებული.. მას ბავშვობისას აქ გაგონილი მითების საფუძველზე შეუქმნია „ხოსროვი და შირინი“. პოემის ამბავი მეტიდროდაა დაკავშირებული „ყაიაში“ მომხდარ ამბებთან. ზეიმის ჩატარების მიზანია, ახალგაზრდა თაობებს გავაცნოთ ჩვენი დიდი წინაპრები. ისტორიის ამ ბნელით მოცული ფურცლების შესახებ ახალგაზრდობას მოკლე ინფორმაცია მაინც მივაწოდოთ, იმიტომ, რომ კახის რაიონისა და საერთოდ ამ ზონის ისტორია ძალიან ნაკლებად არის შესწავლილი. მომავალში შესაძლოა ამ ზეიმის მონაწილე ახალგაზრდებს შორის ისეთი პიროვნებებიც გამოჩნდნენ, რომლებიც შეისწავლიან და გააშუქებენ ისტორიის ამ ბნელ ფურცლებს.

გავა წლები და ეს დღესასწაული ტრადიციად გადაიქცევა. ახალი ფაქტებით შეივსება ჩვენი ისტორია და ეს დღესასწაული უფრო მრავალფეროვანი გახდება. „მეჰრიგანის“ ზეიმის მონაწილეებს უდიდეს მადლობას ვუცხადებთ.

აზერბაიჯანის კპ კახის რაიონული კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილება, 26 ოქტომბერი, 1989 წ“.

ხომ ხედავთ, არაფერი დავიწყებიათ, არც თავიანთი „დიდი წინაპრები“, არც „საინგილოში არსებულ მითებზე შექმნილი ნიზამის პოემა“, არც ამ კუთხის „ბნელით მოცული ისტორია“ (?!), ყველაფერი გაანგარიშებულად და მიზნობრივადაა მოხმობილი.

არის თუ არა მართლა ბნელით მოცული საინგილოს, ძველი ჰერეთის ისტორია? ჰერეთის ისტორიას აზერბაიჯანელი მეცნიერები აბუნდოვნებენ და ასხვაფერებენ, როგორც ხელს აძლევთ, ისე წარმოგვიდგენენ მას, თორემ საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ჰერეთი ჰერეთია, საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული კუთხე, ალბანები კი დასავლეთ კასპიისპირეთის ბინადარი უძველესი ტომია. კავკასიის ალბანეთის ძირითადი მოსახლეობა ლაპარაკობდა ალბანურ ენაზე ჭკონდა საკუთარი დამწერლობა, თავდაპირველად წარმართები იყვნენ (მთვარისა და მზის თაყვანისმცემლები), IV ს. ქრისტიანობა მიიღეს. XI საუკუნისთვის ალბანელები და ამერკავკასია თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს და მასობრივად დასახლდნენ ალბანეთის ტერიტორიაზე, რასაც ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაცია მოჰყვა. ალბანეთის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა თურქ-სელჩუკებთან შერწყმით, აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბებაში მიიღო მონაწილეობა, მეორე ნაწილი კი კახელებს, მთიანი ყარაბაღის სომხებს და დაღესტნის მოსახლეობას შეერწყა.

ჯერ კიდევ 1913 წელს ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით გამოცემული ძველი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულის II ტომში მოხვ ჯანაშვილი წერილში „ძველი საქართველო, საინგილო“ მიუთითებდა, თუ საიდან იწყებოდა ალბანეთის საზღვარი და რომელ ისტორიკოსებს აქვთ ცნობები ჰერეთისა და ალბანეთის შესახებ, კერძოდ, აქ ნათქვამია: „ვართაშენი — ვარდანაშენი ნუხს შორავს 30 ვერსით. იგი უდთა უმთავრესი სოფელია. მისივე ახლოს არის შესანიშნავი სიმაგრეები ხალხალი (ხილხალი) და ყაბალა. ამ უკანასკნელს სტრაბონი იხსენიებს ალბანიის დიდა ქალაქად (Cabalico) ქართ. ცხოვრება მას სთვლის შირვანის ქალაქად. იგი ამბობს (გვ; 248): „მოვიდეს (1120 წელს) ღანუხს (ქართველობა) და მასვე შვიდეულსა, პირმარხვასა დღესა აღიღო (დავით აღმაშენებელმა) შირვანისა ქალაქი ყაბალა და აღავხო სამეფო თვისი ოქროთა და ვერცხლითა და ყოვლითა სიმდიდრითა და წამოვიდა ქართლს“.

არაბი და სპარსელი მწერლები კაბალაში უჩვენებენ ქართველ მთავარს. 1221-1222 წელს კაბალას ქართველ მთავარს შემოუბრძოლნენ ყიფჩეღნი. დარუბანდის და განჯის მთავრის დახმარებით დაამარცხეს, მაგრამ მერე ქართველებმა დიდი ზიანი მიაყენეს მათ და უკუაქციეს. (Yourn Asiat, 1897 წელი) „არაბ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი საქართველოს შესახებ“, თარგმანი მ. დეფრემერისა).

საქართველოს მიჯნად იწოდება ხალხალი (ხილხალი) არა თუ ქართლის ცხოვრების მიერ (გვ. 272), არამედ სომეხთა ისტორიკოსების ეღიშეს (მე-X ს.) და კალანთკატვაწის (X ს.) მიერაც. (ეღიშე გვ. 124. კალანთკატვაწი გვ. 86). **აქედან დღევანდელი საქართველოს აღმოსავლეთ მიჯნამდე (კახამდე) 80-დე ვერსია.** მთელ ამ მანძილზე ქართველობა აღარ არის. უდთა რიცხვი ნუხის მაზრაში 7000-დე უწევს. ზოგი მათგანი მართლმადიდებელია, ზოგი მაჰმადიანი, ზოგი ურია, ზოგი სომეხი. მათი სოფლებია: ვართაშენი, საცა ცხოვრობენ ბეჟანიშვილები, ჩიკვაიძეები, ჭეირანაშვილები, კოტიაშვილები, ტუკუშაშვილები, პაჭიკაშვილები, ნიუი (შეად. ქართული ნიუგორი) და სხვ. მართლმადიდებელ უდთა შორის 20-მდე ხაშუალო სწავლამიღებული ითვლება. მათი მამამთავარი სტეფანე ბეჟანიშვილი მოამბეობდა ცხონებული ს. მესხის „დროებაში“.

დიახ, სხვაც უამრავ წყაროს ნახავს დაინტერესებული ისტორიკოსი, მაგრამ აზერბაიჯანელ მეცნიერები მაინც ცდილობენ ჰერეთის (საინგილოს) ისტორია ბნელით მოცულად წარმოგვიდგინონ; ალბანეთი ჰერეთში — „გაიგივონ, ალბანელები კი თავიანთ წინაპრებად — წარმოგვიდგენონ, თუმცა თავადაც კარგად მოეხსენებათ, რომ თავსაც იტყუებენ და მეცნიერულ კეთილსინდისიერებასაც ღალატობენ.

ახალი დღესასწაულის „მეჰრიგანის“ ჩატარება კახისა და ზაქათალის რაიონებში და ამ ზღაბრებით სავსე საპოპულარიზაციო ფურცლების გავრცელებაც, სწორედ ამ მიზანს ემსახურება — ნიზამი ირანის ყუმში კი არა, კახის რაიონის ყუმშია დაბადებულიო. „ხოსროვი და შირთანიც“ ბავშვობაში აქ გაგონილი მითის მიხედვით შექმნაო.

მოდი და ნუ გაგეცინებათ. აზერბაიჯანში აკადემიკოსმა კი არა, მწყემსმაც კი იცის, რომ ნიზამი განჯელი დაბადებულია ქალაქ ვაჭჯაში, დღევანდელ კიროვაბადში და ამის შესახებ თავად გენიალური პოეტიც წერს: „მე მიყვარს ჩემი ქალაქი, რომელსაც დავუკავშირე ჩემი სახელი („ნიზამი განჯელი“ „აზერბაიჯანის სსრ. პედაგოგიკური აზროვნების ანთოლოგია“. გვ. 509. გამომც. „პედაგოგიკა“, ქ. მოსკოვი, 1989 წ.)

„მეჰრიგანის“ დღესასწაულის შესახებ დაბეჭდილ „პროკლამაციას“ ადგილი მიუჩინეს ქართული ალავერდის ეკლესიაშიც, რომელიც კახის აზერბაიჯანულ მხარეთმცოდნეობის მუზეუმად აქციეს. რითი ნიღბავენ ისტორიის გამყალბებელ, სიცრუით სავსე ამ ყოვლად უსუსურ ფურცლებს? რითა და ფურცლის თავზე წარწერილი ლოზუნგით — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

ძალიან ცდილობს ზოგიერთი აზერბაიჯანელი ვაიმეცნიერი და პარტიის ვაიხელმძღვანელი, დაგვიწყოს საინგილოში მცხოვრებ ქართველებს ჩვენი კუთხის გაუჩნდელი თუ ზორეული ისტორია. არ ერიდებიან ისტორიის დამახინჯებას და, სამწუხაროდ, ხშირად მათი გამოხდომები უპასუხოდ რჩება, რაც სამართლიან გულისტკივილსა და სინანულის გრძნობას უტოვებს საინგილოელ ქართველებს.

ბოლოს და ბოლოს, იქნებ ქართველმა ისტორიკოსებმა აზერბაიჯანელი მეცნიერების ეს წიგნები მათი ავტორების თანდასწრებით ფართო მსჯელობის საგნად აქციონ და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვან. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ისტორიის აშკარა ფალსიფიკაციის უფლებას არავის უნდა ვაძლევდეთ.

მიხეილ კულოშვილი

ჰონორარი გადაირიცხა „ჰერეთის“ საზოგადოებაში.

„როგორ მესმის ფილოსოფია“

საკავშირო გამომცემლობა „პროგრესმა“ გამოსცა გზმოჩენილი ქართველი მეცნიერის, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **მერაბ მამარდაშვილის** ნაშრომთა კრებული **„როგორ მესმის ფილოსოფია“** (შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი ი. სენოკოსოვი, რედაქტორი — ო. კესიდი).

ორიოდე ცნობა წიგნის ავტორზე:

მერაბ მამარდამვილი დაიბადა 1930 წელს, ქ. გორში. მუშაობდა ჟურნალებში „ვოპროსი ფილოსოფიი“ და „მშვიდობისა და სოციალიზმის პრობლემები“ (პრაღა), საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინსტიტუტის განყოფილების გამგედ. 1968-დან 1974 წლებში იყო ჟურნალ „ვოპროსი ფილოსოფიის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, ამჟამად არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-მუშაკი.

წიგნში შესულია გამოჩენილი ფილოსოფოსის რჩეული სტატიები, მოხსენებები, გამოსვლები და ინტერვიუები. ამ წიგნის ძირითადი თემებია: ადამიანის სიცოცხლის საზრისი და სიკვდილის პრობლემა, ფილოსოფიის როლი და ადგილი საზოგადოებაში, ცნობიერება და კულტურა, ხელოვნების, მეცნიერებისა და რელიგიის პრობლემები. ავტორი ამ თემებსა და პრობლემებს იკვლევს ევროპული სულიერი ისტორიული ტრადიციის კონტექსტში.

წიგნი გამიზნულია ფილოსოფიით დაინტერესებული საზოგადოებრიობისათვის.

კრებულს ახლავს მ. მამარდაშვილის რუსულ და ევროპულ ენებზე გამოქვეყნებულ ნაშრომთა ვრცელი ბიბლიოგრაფია.

წიგნის ყდის გაფორმებაში გამოყენებულია მხატვარ ფრანცისკო ინფანტეს ნამუშევარი „ენერგიის ფრქვევა-შთანთქმა“ (1964 წლის დინამიკურ სპირალთა სერიიდან).



თბილისის ძველი უბანი. ვ. დემეტრაშვილის ფოტო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო მკითხველებო!

დაიწყო ეროვნულ-გაზეთებზე ხელმოწერის კამპანია — ჩვენს ცხოვრებასავით პირველი და ზნეცვალებადი.

მოგეხსენებათ, თავს ზემოთ ძალა არ არის, პრესის საკავშირო კაბალამ თავისი მძიმე პრესის ქვეშ ჩვენც მოგვიყოლა.

„მთავრობამ საკაროობა გაძვირაო", — წერდა ამას წინათ ერთი გაზეთის რედაქცია. ეშმარიტად, მაგიური სიტყვა „გლასნოსტი" მარტო უცხოურ ვალუტაზე არ „გადის", იგი არაქათგამოლეულ რუსულ მანეთსაც ხათნოდ შეიტკბობს.

ახლა, სიმართლის მთქმელს ადრე თუ შეკაზმული ბედაური შველოდა, დღეს ხელი ჯიბეში თუ გადაარჩენს.

საბაზრო ეკონომიკას ადამიანის ენაზე ვერ დაელაპარაკები, მას მხოლოდ ფულის ნიშნებით თუ აუხსნი რამეს.

როგორც წასულ პარასკევს მოგახსენეთ, საბაზრო ორომტრიალში ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინეთ და გაზეთის ფასი გავაორმაგეთ. ცხადია, ამ ოპერაციას ძალზე მძიმედ განვიცდიდ, ვინაიდან ფასის გაძვირება ხელისმომწერის, მკითხველის დაკარგვას მოასწავებს, მკითხველი კი გაზეთისათვის, მოგეხსენებათ ისაა, რაც ჰაერი — სულიერისთვის.

ერთი სიტყვით, გვინდა თუ არ გვინდა, პრესაზე ხელმოწერის წლევანდელ კამპანიას გარდაქმნის ეკონომიკის ფასებით ვიწყებთ:

„ლიტერატურული საქართველოს" ერთი წლის კომპლექტის ფასია 20 მანეთი და 80 კაპიკი;

ექვსი თვისა — 10 მან. 40 კაპ.

სამი თვისა — 5 მან. 20 კაპ.

„სოიუზპეჩატის" ჭრელ კატალოგებში სწორედ ეს ნიხრი დახვდებათ ჩვენს მკითხველებს, რომელთაგან ზოგი, ყველაფრის მიუხედავად, კვლავ გამოიწერს „ლიტერატურულ საქართველოს", ზოგიც შეელევა და დაეშვიდობება ჩვენს გაზეთს. ამ უკანასკნელთა შორის, ალბათ, ისინიც იქნებიან, ვინც წელს პირველად გამოიწერა „ლიტერატურული საქართველო" და რომელთა წყალობითაც გაზეთმა თავის არნახულ ტირაჟს (270.000) მიაღწია.

დიახ, შეხვედრას განშორებაც მოჰყვება.

გვსურს, „გულწრფელი" მადლობა მოვახსენოთ ამ მკითხველებს; არ დავმალავთ, მათმა თანადგომამ რწმენა და შრომის ხალისი შეგვმატა.

მათ, ვინც საგაისოდ არ აპირებს ჩვენს გაზეთზე ხელმოწერის შეწყვეტას, ვპირდებით, რომ ამაოდ არ დაელოდებიან ყოველ პარასკევ დილას, „ლიტერატურული საქართველო" კვლავაც ეცდება დარჩეს მართალი, პირუთვნელი სიტყვის მაცნედ.

ძნელია, საერთო ხელმოკლეობის პირობებში ხალხს მოუწოდო აუცილებლად გამოიწერეთ გაზეთი, მაგრამ როცა ყოფნა-არყოფნის ზღვართან ვდგავართ და სხვა ხსნა არაა, გარდა იმისა, რომ მკითხველი მოგვეშველოს, აუცილებლად მიგვაჩნია მივმართოთ ყველას — გამოიწერეთ „ლიტერატურული საქართველო"!

წინასწარ მოგახსენებთ მადლობას თანადგომისათვის.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია

„ლიტერატურული საქართველო"

1 წლით — 20 მან. 80 კაპ.

6 თვით — 10 მან. 40 კაპ.

სამი თვით — 5 მან. 20 კაპ.

რედაქტორთა საბჭო

სარედაქციო კოლეგია: თამაზ გიგილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე, ელიზბარ ჯაველიძე (მთავარი რედაქტორი).

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი მამუკა წიკლაური.

რედაქციის მისამართი:
380005, თბილისი,
გუდიაშვილის
მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისალები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-03-65. 95-86-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ
СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკევობით

ИНДЕКС 06436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა.